ფინანსური ქაოსი დაიწყო A4

ავიაკატასტროფა ტრაპიზონში A5

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 27 მაისი, 2003 წელი. №143 (355)

ფასი 50 თეთრი


## პოლიტიკა

### "ვარჩიეთ ვყოფილიყავით ზვიადნი, ვიდრე ჭაბანნი"

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობიდან 10 წელზე მეტი გავიდა. საქართველოს პირველი პრეზიდენტის მთავრობის წარმომადგენლებიდან, ზოგი საქართველოში დაბრუნდა, ზოგი კი კვლავ ემიგრაციაშია, საკუთარი პრინციპები შეინარჩუნა და საქართველოში დაბრუნებაზე ოცნებობს. სწორედ ამ ბოლო კატეგორიას მიეკუთვნებიან საქართველოს განდევნილი პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი და გოჩა ბახია.

A3

## ეკონომიკა

### უსაფრთხო გარემო და მზარდი ეკონომიკა ევროპისათვის

გასულ კვირას ევროპის ერთ-ერთი უდიდესი ქვეყნის – უკრაინის დედაქალაქმა უმასპინძლა გაერო-ს ევროპის ეკონომიკური კომისიის მიერ ორგანიზებულ ფორუმს – "გარემო ევროპისათვის".

A4

## უცხოეთი

### სომხეთში არჩევნები ჩატარდა - ყველაფერი იყო ძველებურად

ყველაფერი ჩატარდა ძველებურად, სულ ძველებურად, ისე, როგორც ჩვენში წინათ ხდებოდა ყველგან, სადაც კი არჩევნებს ატარებდნენ. მობილიზებული ძალოვნები და საარჩევნო ადმინისტრაცია. ძალ-ღონე არ დაიშურეს!

A5

## საზოგადოება

### „სოროსის ბაღები" - მითი და რეალობა

27-29 მაისს თბილისის N1 საბავშვო ბაღში ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველო"-ს წარმომადგენლები ე.წ "სოროსის ჯგუფების" მასწავლებელთათვის მორიგ ტრეინინგს ატარებენ.

A6

## სამართალი

### პოტენციურ მოწინააღმდეგეს "ალფა" რუსულად მიმართავდა

26 მაისს უშიშროების მინისტრმა სამინისტროების სხვა წარმომადგენლებთან ერთად ბატალიონი მოინახულა და მეომრების საბრძოლო სულისკვეთებაში, სპეციალურად ამ შემთხვევისთვის დადგმული სანახაობით, კიდევ ერთხელ დარწმუნდა.

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 27 |
| ქუთაისი | 27 |
| ბათუმი | 23 |
| სოხუმი | 24 |
| ფოთი | 24 |
| თელავი | 26 |
| ზუგდიდი | 27 |
| გორი | 24 |
| ახმეტა | 26 |
| ჭიათურა | 26 |
| გაგრა | 22 |
| სამტრედია | 27 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1475 |
| ევრო | 2.5134 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.5129 |
| რუბლი | 0.0697 |

# ვითარება სწრაფ გადაწყვეტილებას მოითხოვს

*პოლიტიკური სამკუთხედი - "ახლები", "დემოკრატები", "ნაციონალური მოძრაობა" - კვლავ შეუკვრელია. დიდი ოპოზიციური გაერთიანების შექმნის ძირითად დამაბრკოლებელ ფაქტორს საარჩევნო სტრატეგიისადმი განსხვავებული მიდგომები წარმოადგენს. თბილისის საკრებულოში მიმდინარე პროცესებმა კი სიტუაცია შეიძლება ნაწილობრივ შეცვალოს.*

ბადრი კოპლატაძე

ხელისუფლებიდან წამოსვლის შემდეგ, მიხეილ სააკაშვილის მოწინააღმდეგეების ძირითადი არგუმენტები მის მიერ ხელისუფლებაში გატარებულ წლებს უკავშირდებოდა. სააკაშვილმა ეს ბარიერი იოლად დაძლია, ამიტომაც ადგილობრივ არჩევნებში "ნაციონალური მოძრაობის" წარმატება მოულოდნელი არავისთვის ყოფილა. ამის შემდეგ, სააკაშვილისათვის მორიგი გამოცდის ჟამი დადგა. "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი "ლეიბორისტების" პირველივე შეთავაზებას დათანხმდა და საკრებულოს თავმჯდომარეობა ითავა. მისი ეს გადაწყვეტილება პოლიტიკურ წრეებში არაერთგვაროვნად შეფასდა. თავიდანვე ცხადი იყო, რომ სააკაშვილის ხელისუფლებაში (თუნდაც ადგილობრივში) დაბრუნება საკმაოდ სარისკო ნაბიჯი იყო, რადგანაც მისი პოლიტიკური პერსპექტივა უშუალოდ საკრებულოს საქმიანობაზე იქნებოდა მიბმული. საკრებულოს პარალიზება კი ხელისუფლებას არასოდეს უჭირდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# კვერცხები ხელისუფლებისთვის

ვასილ ბულეური

26 მაისის აღნიშვნა გორში "ნაციონალური მოძრაობის" ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ორიგინალურად გადაწყვიტეს - დაახლოებით დღის 12 საათისთვის ახალგაზრდები სტალინის სახლ-მუზეუმის უკან, პატარა მოედანზე შეიკრიბნენ. შემდეგ კი, რამდენიმემ ერთდროულად დაიწყო ბეტონის კედელზე ხელისუფლების წარმომადგენელთა უზარმაზარი კარიკატურების გაკვრა. ხუთიოდე წუთში ფეხით მოსიარულეებიც და ტრანსპორტით მიმავლებიც ინტერესით უცქერდნენ საქართველოს პრეზიდენტის, შიდა ქართლის გუბერნატორის, გორის რაიონისა და ქალაქის გამგებლების, გორის მაჟორიტარი დეპუტატის და სხვათა გამოსახულებებს. მაგრამ, ახალგაზრდებმა გამვლელებს საკუთარი შემოქმედებით ტკბობა დიდხანს არ აცალეს - ჩანს, ფიქრობდნენ, რომ ხელისშემშლელები მალე გამოჩნდებოდნენ და განზრახვას ბოლომდე ვერ მიიყვანდნენ - კარიკატურებს კვერცხები დაუშინეს. **"კვერცხები დავუშინეთ იმ ადამიანების კარიკატურებს,**

გაგრძელება A2 გვერდზე



ვასილ ბულეურის ფოტო

*გორელმა ახალგაზრდებმა შუადღისას ქალაქის ცენტრში ხელისუფლების წევრთა კარიკატურები გამოფინეს.*

# სანდოა თუ არა პოლიციის მიერ შედგენილი სიები

თამარ მჭედლიშვილი

*რამდენიმე დღეში შინაგან საქმეთა სამინისტრო საარჩევნო უფლებების მქონე პირთა რეგისტრაციის პროცესს დასრულებულად გამოაცხადებს. პირველ ივნისს ეს მონაცემები საჯარო გახდება და იგი ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გადაეგზავნება. ცესკო კი, თავის მხრივ, ამ მონაცემებს საოლქო საარჩევნო კომისიებს გადაუგზავნის დასაზუსტებლად, ხოლო საუბნო კომისიები დაკომპლექტების შემდგომ, ამომრჩევლებს ადგილებზე შეამოწმებენ.*

შინაგან საქმეთა სამინისტრო თავისი საქმიანობით კმაყოფილია. როგორც მინისტრის მოადგილე დავით თოდუა ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს, სულ მალე სამინისტროში გაიმართება სპეციალური თათბირი და სწორედ ამ თათბირზე დასახელდება საარჩევნო უფლების მქონე პირთა რაოდენობა.

შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ეს დავალება რამდენიმე თვის წინ მისცა. ამ მიზნისათვის შეიქმნა სამ-სამი პოლიციელით დაკომპლექტებული 1037 ჯგუფი. მართალია, სახელმწიფო ბიუჯეტს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ამ საპატიო ამოცანის შესასრულებლად 180 ათასი ლარი უნდა გამოეყო, მაგრამ, როგორც "24 საათს" შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის უფროსმა პაატა გომელაურმა განუცხადა, **"ეს თანხა სამინისტროს ჯერაც არ მიუღია და უწყებამ ამ ოპრაციის შესასრულებლად საკუთარი სპეცსახსრებიდან მოხსნილი ლარები გამოიყენა (ჩვენი მონაცემებით, დაახლოებით 350 ათასი ლარი)".**

გაგრძელება A2 გვერდზე

# პატიმართა შიმშილობის ორგანიზატორი ახალი აქციებით იმუქრება

ბექა სისაური
*ქუთაისი*

ცოტა ხნის წინ, სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მიმდინარე მოშიმშილე პატიმართა ფართომასშტაბიანი აქციის ორგანიზატორი აბელ გოგნაძე პატიმრობიდან გაათავისუფლეს. სამართალდამცველთა ინფორმაციით, გოგნაძე განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ითვლება. იგი ყაჩაღობისათვის ხუთჯერაა ნასამართლევი. სასჯელის ძირითადი ნაწილი რუსეთის ციხეებში აქვს მოხდილი. ამჟამად გოგნაძე მიიჩნევს, რომ მისი კრიმინალური ცხოვრება წარსულს ჩაბარდა და ახლა მისი ამჟამინდელი გატაცება ლექსების წერაა.

გაგრძელება A7 გვერდზე

# აშშ: რა ვუყოთ ირანს?

შოთა უტიაშვილი

რამდენიმე დღის წინ, ვაშინგტონმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ირანთან ყოველგვარ კავშირს წყვეტს. ეს განცხადება საუდის არაბეთში განხორციელებულ ტერაქტს მოჰყვა. ერ-რიადში მომხდარ აფეთქებაში ამერიკელები ირანს თავშეფარებულ ალ-ქაიდას წევრებს ადანაშაულებენ.

ამერიკული მედიის ცნობით, ტერაქტის წინ, დაზვერვის ელექტრონულმა საშუალებებმა ირანსა და საუდის არაბეთში მყოფ ალ-ქაიდას უჯრედებს შორის ინტენსიური კონტაქტები დააფიქსირეს. აშშ თავდაცვის მინისტრის დონალდ რამსფელდის მტკიცებით, ირანსა და ალ-ქაიდას შორის კავშირი უეჭველად არსებობს.

ვაშინგტონმა განაცხადა, რომ ირანთან ყოველგვარ ურთიერთობას დროებით წყვეტს და მოიწვია სპეციალური უწყებათშორისი კომისიის სხდომა, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, რა გზას აირჩევს ვაშინგტონი თეირანთან ურთიერთობაში.

გაგრძელება A5 გვერდზე

# ახალი სამხედრო ალიანსი და აფხაზეთის კონფლიქტი

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

*2003 წლის აპრილში დუშანბეს სამიტზე ჩამოყალიბდა კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების ორგანიზაცია (კუხო), რუსეთის, ბელორუსის, სომხეთის, ტაჯიკეთის, ყაზახეთის და ყირგიზეთის მონაწილეობით. ხელშეკრულების წევრმა სახელმწიფოებმა მოილაპარაკეს, რომ წინ აღუდგებიან ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო უშიშროებისადმი გამოცხადებულ ნებისმიერ საფრთხეს და გააქტიურდებიან ამ მიმართულებით, განახორციელებენ რა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართულ კონკრეტულ ქმედებებს. მოსკოვში, "ინტერფაქსის" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ნიკოლაი ბორდიუჟამ ახალ ალიანსს "პოსტსაბჭოთა სივრცის უშიშროების სისტემა" უწოდა.*

*გთავაზობთ ინტერვიუს ნიკოლაი ბორდიუჟასთან.*

**- ცნობილია, რომ კუხო-ში სწრაფი რეაგირების კორპუსიც შეიქმნა, ტაჯიკეთში რუსეთის 201-ე მოტომსროლელი დივიზიის ბაზაზე. რამ განაპირობა სწრაფი რეაგირების კორპუსის ჩამოყალიბება, რა შედის მის ფუნქციებში?**

- ამჟამად მიმდინარეობს სწრაფი რეაგირების კოლექტიური ძალების ფორმირება, რომელიც ფუნქციონირებას ცენტრალური აზიის რეგიონში დაიწყებს. შეგახსენებთ, რომ კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების ორგანიზაციას მთელი რიგი პრიორიტეტული მიმართულებები გააჩნია. აქედან მთავარია, წევრი ქვეყნების საგარეოპოლიტიკური პოზიციებიდან გამომდინარე, უშიშროების უზრუნველსაყოფად პოზიციათა კოორდინაცია და საჭირო მექანიზმების მოფიქრება.

გაგრძელება A2 გვერდზე

# შუშაკის პირველი ქართული ტიტული

"სიონის" გულშემატკივრები, ფეხბურთელები და მწვრთნელები... "სიონის" წინააღმდეგ

მიხეილ აბაიშვილი

"უაღრესად კმაყოფილი და ბედნიერი ვარ. ეს ჩემს სამწვრთნელო კარიერაში მოპოვებულ ჯილდოებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია. დღევანდელი მატჩით "დინამომ" დაამტკიცა, რომ ქართული საკლუბო ფეხბურთის ლიდერის ფუნქციას იბრუნებს. მიხარია, რომ ამაში მეც შევიტანე წვლილი", - იტყვის თასის ფინალის შემდეგ ივო შუშაკი, რომლისთვისაც დავით ყიფიანის თასი პირველი ქართული ტიტულია.

მატჩი მეტად ხალისიანი და თვალსასეირო გამოდგა. "სიონი" დაცვაში არ "ჩაჯდა" და პირველივე წუთებიდან გახსნილი თამაში შესთავაზა მასზე ბევრად გამოცდილ, ტიტულოვან და ძლიერ მეტოქეს. როგორც ჩანს, ბოლნისელთა დამრიგებელი, თემურ მახარაძე ასეთი სითამამით მეტოქის შეცბუნებას აპირებდა, მაგრამ უკუეფექტი მიიღო: "დინამომ" კარგად ისარგებლა მეტოქის წინდაუხედავი საქციელით. შუშაკის შეგირდებმა საქმე არ გადადეს და უკვე მე-15 წუთზე სოლიდური უპირატესობით - 2:0 დაწინაურდნენ, ანჩაბაძის მიერ ტაიმის ბოლო წუთზე გატანილმა ლამაზმა გოლმა კი საბოლოოდ გადაწყვიტა გამარჯვებულისა და დავით ყიფიანის თასის ბედი.

გაგრძელება B4 გვერდზე



*გამარჯვებული "დინამო" ზეიმობს.*


A2 ინფორმაცია A3 ექსკლუზივი A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ექსკლუზივი

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

## შეიძლებოდა, ხელისუფლება 26 მაისს უკეთესად შეხვედროდა, - აცხადებს ნინო ბურჯანაძე

პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ თავდაცვის სისტემის დაუფინანსებლობის გამო, უკვე მეექვსე წელია საქართველოს მთავრობა დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს სამხედრო აღლუმის გარეშე აღნიშნავს.

ბურჯანაძის თქმით, ასეთი მნიშვნელოვანი თარიღის განსაკუთრებულად აღნიშვნას მომავალი თაობების ეროვნული სიამაყის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს. მისი თქმით, შეიძლებოდა ხელისუფლება 26 მაისს უკეთესად შეხვედროდა. **მედია-ნიუსი**

## თბილისში სამხედრო აღლუმი თავდაცვის სამინისტროს ობიექტების მონახულებით შეიცვალა

"დამოუკიდებელი საქართველოს 12-წლიანი ისტორიის განმავლობაში, საქართველო, როგორც სახელმწიფო, აშენდა," - ასე შეაფასა ბოლო 12-წლიანი პერიოდი საქართველოს შეიარაღებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა, პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე - 26 მაისი, სამხედრო აღლუმის ნაცვლად, სამხედრო-საჰაერო ძალების დათვალიერებით აღნიშნა.

მისი თქმით, 26 მაისის აღნიშვნის ტრადიცია უკვე დიდი ხანია დაირღვა და აღლუმები თბილისში ყოველწლიურად აღარ იმართება. " მსგავსი ღონისძიებები გარკვეულ ხარჯებს მოითხოვს, რაც ამჯერად ხელისუფლებამ დაზოგა," – განაცხადა ქვეყნის უმაღლესმა მთავარსარდალმა და თავდაცვის მინისტრს აღლუმის გარეშე ჩატარებული დღესასწაული მოუწონა.

თავდაცვის მინისტრ დავით თევზაძის თქმით, უსახსრობის გარდა სხვა ხელისშემშლელი ფაქტორები აღლუმის ჩასატარებლად არ არსებობდა. "იმედი მაქვს, მომავალი წლისთვის აუცილებლად შევძლებთ ეს დღე აღლუმით აღვნიშნოთ," – განაცხადა მან.

„მთავარია მთავარსარდალს, ქვეყნის პრეზიდენტს ჰქონდეს წარმოდგენა იმაზე, თუ რა ხდება ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში. ფაქტობრივად, ესეც აღლუმია“, — ამბობს პრეზიდენტი შევარდნაძე.

დამოუკიდებლობის დღის 26 მაისის აღნიშვნა მთავრობის წევრებმა გუშინ, დილის 10 საათიდან მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ასვლითა და ქართველ საზოგადო მოღვაწეთა და ეროვნულ გმირთა საფლავების ყვავილებით შემკობით დაიწყეს.

ამის შემდეგ პრეზიდენტმა ბოტანიკურ ბაღში 19-ე საუკუნის ფრანგული ორანჟერეა მოინახულა და ჭავჭავაძისა და კოსტავას ქუჩებზე ახლადაშენებული მრავალსართულიანი სახლების ოფიციალურ გახსნას დაესწრო.

გუშინვე პრეზიდენტმა შევარდნაძემ კიკვიძის პარკში აფხაზეთში დაღუპული მეომრების მემორიალი გახსნა. მან 26 მაისს ქვეყნის უპირველესი დღესასწაული უწოდა. **მედია-ნიუსი**

## საქართველოს პრეზიდენტმა წარჩინებული სტუდენტები 200-200 ლარით დააჯილდოვა

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ სახელმწიფო კანცელარიაში ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების წარჩინებული სტუდენტები დააჯილდოვა. გარდა სამახსოვრო საჩუქრებისა, სტუდენტებს პრეზიდენტმა სახელობითი წერილები, სიგელები და ფულადი პრემია - 200-200 ლარი გადასცა.

ჯილდო სულ 69 სტუდენტმა მიიღო, რომლებმაც 57 სხვადასხვა დისციპლინაში გაიმარჯვეს.

დაჯილდოების ცერემონიალს პრეზიდენტის გარდა, განათლების მინისტრი ალეკო კარტოზია, სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი როინ მეტრეველი და სხვა უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ. **ინტერ-პრესი**

## საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გალის რაიონს აფხაზური მილიციის გაძლიერებული რაზმები აკონტროლებდნენ

გალის რაიონში აფხაზ სეპარატისტთა მილიციის ქვედანაყოფებმა ე.წ. პატრულირება დაიწყეს. ამჟამად გალის რაიონის სოფლებში დამატებით 60 მილიციელია შეყვანილი. პატრულირებაში მონაწილეობენ არძინბას ე.წ. ანტიტერორისტული ჯგუფების ხელმძღვანელები - ბუთბა და ტურანბა. ისინი ცნობილნი არიან ქართველებისადმი აგრესიული დამოკიდებულებით და განსაკუთრებული „მონდომებით“ სადამსჯელო ღონისძიებების განხორციელებით. გალის რაიონის ქართული მოსახლეობა შეშფოთებულია და შიშობს, რომ სეპარატისტები ე.წ. დარღვევების აღმოჩენის საბაბით მოსახლეობას, ტრადიციულად, მძევლად აიყვანენ.

პატრულირების დაწყების საბაბად სეპარატისტებმა გამოიყენეს მათ მიერვე გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს ქართველი პარტიზანები 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნას გალის რაიონში ტერაქტებითა და აფეთქებებით აპირებდნენ. **მედია-ნიუსი**

## არძინბასთვის ლენინგრადის ბლოკადა თავგანწირვის საუკეთესო მაგალითია

აფხაზეთის სეპარატისტული რესპუბლიკის თვითმარქვია პრეზიდენტმა ვლადისლავ არძინბამ სანკტ-პეტერბურგის მერს ვლადიმირ იაკოვლევს უკვე გაუგზავნა მილოცვა, რომელიც ქალაქის 300 წლისთავის იუბილეს უკავშირდება.

"ჩვენი ქვეყნის ისტორია მჭიდრო კავშირშია სანკტ-პეტერბურგთან, რადგან პირველ მანიფესტს აფხაზეთის რუსეთის მფარველობაში შეყვანის შესახებ სწორედ თქვენმა იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა მოაწერა ხელი,"- წერს ვლადისლავ არძინბა სანკტ-პეტერბურგის მერისადმი მიწერილ წერილში.აფხაზეთის თვითმარქვია პრეზიდენტის თქმით, "ლენინგრადის ბლოკადის" დროს ამ ქალაქის მცხოვრებთა სიმამაცე აფხაზებისთვის დღემდე სამაგალითოა. მისივე თქმით, აფხაზეთის ომის დროს ქალაქი ტყვარჩელი წელიწადზე მეტხანს იბრძოდა ფაქტობრივი ბლოკადის პირობებში.

არძინბა სანკტ-პეტერბურგის მერს ქალაქის იუბილეს თავისი "ოფიციალური" დელეგაციის ვიზიტითაც მიულოცავს. მასში შედიან "პრემიერი" რაულ ხაჯიმბა და "პრეზიდენტის" თანაშემწე ასტამურ ტანია. **მედია-ნიუსი.**

## ჯემალ გოგიტიძე დევნილებს აფხაზეთში დაბრუნებას დაჰპირდა

საპარლამენტო ფრაქციის "აღორძინების" თავმჯდომარე ჯემალ გოგიტიძე აფხაზეთიდან დევნილებს, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში "აღორძინების დემოკრატიული კავშირის" მხარდაჭერის შემთხვევაში, აფხაზეთში დაბრუნებას დაჰპირდა. "მოგიწოდებთ საპარლამენტო არჩევნებზე მხარი დაუჭიროთ ასლან აბაშიძის პარტიას. თუ შევარდნაძეს ხელისუფლებას ჩამოვაშორებთ, თქვენ აფხაზეთში დაბრუნდებით," - განაცხადა ჯემალ გოგიტიძემ გუშინ "აღორძინების კავშირის" აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციის ფორუმზე, რომელსაც 550-მდე დელეგატი ესწრებოდა. **ინტერ-პრესი**

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მომხრეებმა გუშინ რესპუბლიკის მოედანზე საპროტესტო აქციით აღნიშნეს. აქცია მთაწმინდა-კრწანისის რაიონული პოლიციის მეთვალყურეობით მიმდინარეობდა. ექსპრეზიდენტის ქვრივი მანანა არჩვაძე-გამსახურდია პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან ერთად, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას პოლიტიკურ კურსსაც აკრიტიკებდა და მას კომუნისტურს უწოდებდა. პრეზიდენტის ქვრივმა თავის მომხრეებს მოუწოდა, კვლავ რადიკალური ბრძოლა დაიწყონ ხელისუფლების წინააღმდეგ. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**ახალციხე.** სამცხე-ჯავახეთს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე მეზობელი ქვეყნის - თურქეთის არდაგანის გუბერნიამ მიულოცა. როგორც სამცხე-ჯავახეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულმა თემურ მოსიაშვილმა განაცხადა, თურქეთიდან ჩამოსულმა 100-კაციანმა დელეგაციამ, რომელსაც არდაგანის გუბერნატორი ხელმძღვანელობდა, ახალციხეში გამართულ ღონისძიებებში მიიღო მონაწილეობა. დღის ბოლოს მესხეთის დრამატულ თეატრში ერთობლივი კონცერტი გაიმართა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**ფოთი.** გუშინ ფოთში საქართველოს დამოუკიდებლობის დღე სამხედრო აღლუმით აღინიშნა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ფოთში დისლოცირებულმა სამხედრო ნაწილმა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** სოხუმის ხელისუფლების შინაგან საქმეთა მინისტრის აბესალომ ბეიას მტკიცებით, აფხაზური მხარე ზაფხულის თვეებში ქართველი პარტიზანების სავარაუდო გააქტიურებას გალის რაიონში საპასპორტო რეჟიმის გამკაცრებას დაუპირისპირებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**რუსთავი.** გუშინ რუსთავის ვიცე-მერმა თემურ დალაქიშვილმა თანამდებობა დატოვა. წასვლის შესახებ განცხადება მან მერიის ტრადიციულ, ორშაბათის თათბირზე გააკეთა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპარლამენტო ფრაქციის "XXI საუკუნის" წევრი ჯემალ გამახარია დარწმუნებულია, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი ნოემბრისთვის დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებზე მხარს ედუარდ შევარდნაძეს დაუჭერს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის ლეგიტიმური უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებს. ამჟამად მას აქტიური კონსულტაციები აქვს ყველა პოლიტიკურ ძალასთან, გარდა ბლოკ "აღორძინებისა". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტმა უკვე მოაწერა ხელი ბრძანებულებას, რომლის მიხედვითაც 2003 წლის საგაზაფხულო გაწვევა დღეს დაიწყება და 24 აგვისტომდე გაგრძელდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გერმანიის ქალაქ ბაუნჰოლდერგის სამხედრო პოლიგონზე დასრულდა ნატოს პროგრამით გათვალისწინებული კავშირგაბმულობის საერთაშორისო წვრთნები "კომბაინ ენდეავორ - 2003", რომელშიც საქართველოს შეიარაღებული ძალების 15-კაციანი ჯგუფიც მონაწილეობდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით მისალოცი წერილი გამოუგზავნა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერებსა და თანამებრძოლებში გაკვირვებას იწვევს ექს-პრეზიდენტის შვილის, გიორგი გამსახურდიას საქციელი, რომელიც სახელისუფლებო ბლოკს "ახალი საქართველოსთვის" თან ახლავს რეგიონებში წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისას. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** უკრაინა მზადაა, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობოები გააგზავნოს, რაც მხოლოდ გაეროს მანდატით განხორციელდება.

"ეს, უკრაინის მთელი ისტებლიშმენტის პოზიციაა", - განაცხადა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანატოლი ზლენკომ. **პრაიმ-ნიუსი**

# კვერცხები ხელისუფლებისთვის

პირველი გვერდიდან



*გორის რაიონის ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა კარიკატურები ჩამოხსნა.*

**ვინც საკუთარი სახელით არცხვენს საქართველოს დამოუკიდებლობას და საკუთარი თანამდებობებით დაცულნი არიან კვერცხებისგან და ბევრი სხვა რამისგანაც. გადავწყვიტეთ, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ასეთი ზეიმი მოგვეწყო ჩვენთვის, უბრალო ადამიანებისათვის,"** - განაცხადა "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელმა ლადო გეგელაშვილმა.

ყველას გასაკვირად, პოლიციამ რამდენჯერმე უხმაუროდ ჩაუარა გამხიარულებულ ახალგაზრდებს. სამაგიეროდ, გორის რაიონის ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი იყო ფხიზლად - შემთხვევის ადგილზე, მეგობრებთან ერთად, ოპერატიულად გამოჩენილმა დეპარტამენტის თავმჯდომარემ ამირან გიგუაშვილმა აქციის მონაწილეებს ჯერ წესრიგისკენ მოუწოდა, მერე კი, როცა მათ სიცილითა და შეძახილებით უპასუხეს, არც გინება დააკლო. შემდეგ მან და მისმა მოადგილემ საკუთარი ხელით ჩამოხიეს კვერცხებით დასვრილი კარიკატურები.

სწორედ წინა საპარლამენტო არჩევნებზე იყო, როდესაც გორში ჩამოსულ ვახტანგ რჩეულიშვილს და მის მომხრეებს "მოქკავშირის" ახალგაზრდა აქტივისტებმა დაუშინეს კვერცხები. ამჯერად, მათი მაგალითი "ნაციონალებისთვის" აღმოჩნდა მისაბაძი. ერთი კია, ვახტანგ რჩეულიშვილს ბედი არ სწყალობს გორში - ოპოზიციაშია თუ ხელისუფლების მხარეს, მისთვის კვერცხებს არ იშურებენ (ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების გვერდით მისი კარიკატურაც იყო გაკრული).

"ნაციონალებისგან" განსხვავებით, "ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის" სამხარეო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მშვიდობიანი, თუმცა ასევე ორიგინალური გზით აღნიშნეს საზეიმო დღე. მათ დროშებით ხელში მშვიდობიანი მსვლელობა მოაწყეს, წინ ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალ-ვაჟი მიუძღოდათ და გამვლელებს თასებით წითელ ღვინოს სთავაზობდნენ, რა თქმა უნდა, საქართველოს დამოუკიდებლობის სადღეგრძელოსთვის. ცხადია, მოსახლეობისთვის ასეთი აღნიშვნა სასიამოვნო იყო, ერთი ეგაა, ვინც მათ ბოლოს შეუერთდა, მზეზე გამთბარი ღვინით მოუწია სადღეგრძელოს შესმა.

სხვა მხრივ, გორში 26 მაისს რაიმე გამორჩეული არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით ხელისუფლების მიერ მოწყობილ ოფიციალურ შეხვედრებს და საზეიმო კონცერტს.

# ვითარება სწრაფ გადაწყვეტილებას მოითხოვს

პირველი გვერდიდან

ბოლო დროს "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერს ხშირად უყვარს იმის აღნიშვნა, რომ, წინააღმდეგობების მიუხედავად, მათ ბევრი პრობლემის დაძლევა შეძლეს და ახლა იგივეს გაკეთებას ქვეყნის მასშტაბით აპირებენ (აღსანიშნავია, რომ მსგავსი შინაარსის სლოგანი თავის დროზე "აღორძინებასაც" ჰქონდა). "ნაციონალური მოძრაობის" მიერ აფიშირებული სახურავების შეკეთება, მოედნების აღდგენა, პენსიების სამი ლარით მომატება სწორედ ის თემებია, რომლითაც 2 ნოემბრის არჩევნებზე სააკაშვილი ამომრჩევლების გულის მოგებას შეეცდება. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში შექმნილი პრობლემების ფონზე ეს არგუმენტები შეიძლება არც თუ ისე დამაჯერებლად გამოიყურებოდეს, სააკაშვილი უკვე დღესვე აცხადებს, რომ ხალხს უწინარესად გაკეთებული საქმეები, სამოქმედო პროგრამა და ლიდერი სჭირდება. ბუნებრივია, დიდი მარჩიელობა არ უნდა იმის მიხვედრას, თუ ვინ იგულისხმება ლიდერში, რომელ გაკეთებულ საქმეებზე და რა პროგრამაზეა საუბარი.

ჯერჯერობით საკმაოდ ძნელია იმის შეფასება, თუ რამდენად წარმატებული იქნება საბოლოო ჯამში მიხეილ სააკაშვილის მოღვაწეობა საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე. დაბეჯითებით მხოლოდ ერთის თქმა შეიძლება: თუ "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი არჩევნებს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის რანგში შეხვდება, მისი მოძრაობის წინასაარჩევნო კამპანიის ძირითადი ღერძი სწორედ ამ პოსტზე მოღვაწეობის პერიოდში მიღწეული შედეგები გახდება. ეს შესაბამისად აისახება კიდეც "ნაციონალური მოძრაობის" ტაქტიკაზე.

განვლილი პოლიტიკური გზიდან და ურთიერთობებიდან გამომდინარე, არჩევნებისადმი განსხვავებული მიდგომები ექნებათ "გაერთიანებულ დემოკრატებს" და "ახლებს". ასეთ პირობებში, ოპოზიციურ პარტიებს, სურვილის შემთხვევაშიც კი, ძალზე გაუჭირდებათ ისეთი ერთიანი წინასაარჩევნო სტრატეგიის შემუშავება, რომელშიც დომინანტის ფუნქცია გაერთიანების არც ერთ სუბიექტს არ მიენიჭება.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საარჩევნო კოალიციის ფორმირება ბევრად გაიოლდება, თუ მისი წევრები სახელისუფლო პოსტებისგან თავისუფალნი იქნებიან. ამ შემთხვევაში საერთო წინასაარჩევნო სქემების შემუშავებაც შედარებით ადვილი იქნება. ამ კუთხით შეიძლება არც თუ ისე შემთხვევითი იყოს მიხეილ სააკაშვილის მიერ საკრებულოს სხდომის დატოვება და მისი ფრაზა, რომ "აღარ სურს ამ ჭაობში ყოფნა".

თუმცა ჭაობის დატოვებისაკენ სააკაშვილს უწინარესად საკრებულოში შექმნილი სიტუაცია უბიძგებს. "ლეიბორისტებთან" გამწვავებული დაპირისპირება, ფაქტობრივად, საკრებულოს პარალიზებას იწვევს, რაც "ნაციონალურ მოძრაობას" თბილისში მიღწეულ წარმატებებზე დაყრდნობილ საარჩევნო კამპანიას ძალზე გაურთულებს. სახელისუფლო ძალები ყოველთვის კარგად იყენებენ ამგვარ ორთაბრძოლებს. ხშირად თვითონვე ახდენენ პროვოცირებას, რათა უფრო ადვილი იყოს მოსახლეობის დარწმუნება, რომ გაურკვეველ მომავალს ისევ შეჩვეული ჭირი სჯობს. ასე მოხდა წინა მოწვევის საკრებულოში, მსგავსი პროცესები ვითარდება ახლაც. დროში რაც უფრო გაიწელება ეს მოვლენები, მით უფრო გაუჭირდება "ნაციონალურ მოძრაობას" პოლიტიკური მორევისაგან თავის დაღწევა. "ახლების" და "დემოკრატების" ხელისუფლებასთან რადიკალური დაპირისპირების ფონზე კი, საკრებულოს შიდა გარჩევები ამომრჩევლებისათვის, შეიძლება, საინტერესო სულაც არ აღმოჩნდეს. ამ ფაქტორებმა "ნაციონალურ მოძრაობას", შესაძლებელია, სხვა ოპოზიციურ პარტიებთან უფრო აქტიური თანამშრომლობისაკენ უბიძგოს.

გასული კვირის საპარლამენტო დაპირისპირებამ ნათლად აჩვენა, რომ სახელისუფლო გაერთიანება მხოლოდ ძალების უკიდურესი დაძაბვით ახერხებს გარეგნული სიმშვიდის შენარჩუნებას. ოპოზიციის ხალხისადმი ერთი მოწოდებაც კი საკმარისი აღმოჩნდა, რომ ისინი მწყობრიდან გამოსულიყვნენ და რევოლუციაზე დაეწყოთ საუბარი. ამიტომაც, შექმნილი ვითარება პოლიტიკურ პარტიებს გადაწყვეტილებების სწრაფად მიღებისაკენ უბიძგებს.

# სანდოა თუ არა პოლიციის მიერ შედგენილი სიები

პირველი გვერდიდან

იმის მიუხედავად, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს ამომრჩეველთა მონაცემების სიზუსტეში ეჭვი არ ეპარებათ, არასამთავრობო სექტორი და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ციფრების დაზუსტების აუცილებლობაზე საუბრობენ.

"გაერთიანებული დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გაბაშვილი აცხადებს, რომ მისი პარტიის წარმომადგენლები აუცილებლად გადაამოწმებენ ამ მონაცემებს, რადგან მათ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ციფრების არ სჯერათ.

**"გაერთიანებულმა დემოკრატებმა" ჩვენი მხარდამჭერების რეგისტრაცია დავიწყეთ. რამდენიმე კვირაში ეს პროცესი დასრულდება და ამის შემდეგ ჩვენ დავიწყებთ სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მონაცემების შემოწმებას. ჯერ ვნახავთ, არიან თუ არა ამ სიებში ჩვენი მხარდამჭერები. მოგვიანებით კი სხვა ციფრებსაც გადავამოწმებთ. სხვათა შორის, "ახალმა მემარჯვენეებმა" ადგილობრივი არჩევნების დროს გამოქვეყნებული სიები უკვე გადაამოწმეს და ცდომილება ოფიციალურად დასახელებულ და რეალურ ციფრებს შორის 50-60 პროცენტი აღმოჩნდა. ასე რომ, სულაც არ არის გამორიცხული, ხელისუფლებამ ამჯერადაც მოისურვოს ამომრჩეველთა რაოდენობით მანიპულირება - ასეთ ინფორმაციას უკვე ვფლობთ"**, - აცხადებს გიორგი გაბაშვილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოპოვებული ინფორმაციის მონიტორინგის აუცილებლობაზე საუბრობენ "ახალი მემარჯვენეებიც". მით უფრო, რომ "ახლებმა" თითქმის მთელ საქართველოში (აჭარასა და ქვემო ქართლის გარდა) უკვე დაასრულეს ამომრჩეველთა რეგისტრაცია და დამოუკიდებლად, საკუთარი ძალებით შეადგინეს მონაცემთა ბაზა. დავით კოლუაშვილის თქმით, **"ეს მონაცემები აბსოლუტურად ობიექტურად და მაღალპროფესიულ დონეზეა შედგენილი".**

**"კარგია, რომ "ახლების" ინიციატივა ერთგვარი მაპროვოცირებელი გახდა იმისათვის, რომ ხელისუფლებას ყურები გამოებერტყა და თავადაც ეზრუნა ამომრჩეველთა ზუსტი მონაცემების დასადგენად. ჩვენ მათ მცდელობას მივესალმებით - სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. თუმცა ჩვენ, ჩვენი მხრივ, აუცილებლად გადავამოწმებთ ციფრებს და თუკი სერიოზულ ცდომილებებს აღმოვაჩენთ და დავრწმუნდებით, რომ ციფრები შეგნებულად არის გაყალბებული, აუცილებლად საჯაროდ განვაცხადებთ ამის თაობაზე"**, - განუცხადა დავით კოლუაშვილმა "24 საათს".

გაცილებით სკეპტიკურად არიან განწყობილნი არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები. "სამართლიანი არჩევნების" წევრი ნუგზარ კუპრეიშვილი აცხადებს, რომ მისი ორგანიზაცია აუცილებლად გამოითხოვს ამ მონაცემებს შინაგან საქმეთა სამინისტროდან და საკუთარი ძალებით ჩაატარებს მონიტორინგს. მისივე თქმით, "სამართლიანი არჩევნები" არ დაელოდება, როდის იქცევა ეს მონაცემები საარჩევნო სიებად. **"ყველა რაიონში გადავამოწმებთ მონაცემებს, ცდომილების აღმოჩენის შემთხვევაში შევატყობინებთ პოლიციის რაიონულ განყოფილებებს და გამგეობებს. თუკი ჩვენი მონაცემები სწორი აღმოჩნდება და ისინი მაინც არაფერს იღონებენ, სხვა ინსტანციებს მივმართავთ. უკვე შემიძლია გითხრათ, რომ ცდომილება პოლიციის მიერ დასახელებულ და რეალურ ციფრებს შორის საკმაოდ დიდი იქნება, რადგან, ჩვენი მონაცემებით, ეს პროცესი საკმაოდ ქაოტურად მიმდინარეობდა. პოლიციელები ძალიან ბევრ ამომრჩეველთან არც კი მისულან. ზოგ რაიონში კარდაკარ სიარულით შეაგროვეს ინფორმაცია, ზოგან კი, უბრალოდ, უკვე არსებული მონაცემების გადაწერით დაკმაყოფილდნენ. ასე რომ, ჩვენი აზრით, სამინისტროს მიერ დასახელებულ ციფრებში ძალზე ბევრი შეცდომა იქნება"**, – ამბობს ნუგზარ კუპრეიშვილი.

რაც შეეხება სახელისუფლებო პარტიებს: როგორც მოქალაქეთა კავშირის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ზურაბაშვილი აცხადებს, ხელისუფლების წარმომადგენლებმა არაერთგზის გამოხატეს საკუთარი სურვილი არჩევნების სამართლიანად, გაყალბების გარეშე გამართვის თაობაზე. **"სწორედ ამიტომაც, შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ მონაცემებს საჯაროს ხდის და ყველას ექნება ინფორმაციის გადამოწმების საშუალება. თავად პარტია სავსებით ენდობა სამინისტროს"**, – აცხადებს "მოქკავშირის" აღმასრულებელი მდივანი.

# ახალი სამხედრო ალიანსი და აფხაზეთის კონფლიქტი

პირველი გვერდიდან

მეორე უმთავრესი საკითხია შეთანხმების სამხედრო კომპონენტი – სწრაფი რეაგირების კორპუსი. ამ მიზნით გადაწყდა ჩვენი ორგანიზაციის გაერთიანებული შტაბის შექმნა. შტაბის ფუნქციებში შედის უშიშროების ძალების ოპერატიული ხელმძღვანელობა, რეგიონული სტრუქტურებისათვის სამხედრო ოპერაციების გეგმის შემუშავება და უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფა, რათა წინ აღვუდგეთ კონკრეტულ გამოწვევებს. ეს გამოწვევებია: ტერორიზმი, ნარკოტრეფიკი, ორგანიზებული დანაშაული და უკანონო მიგრაცია, ასევე - სხვა აქტუალური საკითხები. ამ საფრთხეთა მინიმიზირებისთვის ჩვენ კომპლექსურად, მიზანმიმართულად ვიმუშავებთ. ამ მიზნებს მოემსახურება სწრაფი რეაგირების კორპუსი, რომელიც ამჟამად ოთხ ბატალიონს მოიცავს. ჩვენს პოლიტიკურ გეგმებში შედის კოლექტიური უშიშროების სისტემის რეგიონული დაჯგუფებების შექმნა. ამ მხრივ საყურადღებოა რუსეთ-სომხეთის, რუსეთ-ბელორუსის ორმხრივი ურთიერთობანი. უფრო კონკრეტულ საკითხებს შტაბი ამუშავებს.

**- რამდენად შეიძლება განვიხილოთ თქვენი ორგანიზაცია, როგორც ფართომასშტაბიანი სამხედრო ბლოკი, როგორიც იყო, მაგალითად, ვარშავის ხელშეკრულება?**

- ჩვენ თავდაცვითი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია შევქმენით. ამდენად, თუ მონაწილე სახელმწიფოები იგრძნობენ, რომ საკუთარი ძალებით საფრთხეს ვერ გაუმკლავდებიან, და ამაში თერთმეტმა სექტემბერმა უკვე დაგვარწმუნა, არის სპეციალური სტატია, რომელიც პარტნიორი ქვეყნის სუვერენიტეტისადმი წარმოქმნილ საფრთხეს განიხილავს, როგორც საკუთარ თავზე თავდასხმას და მის თავიდან ასაშორებლად მიიღებს ადეკვატურ ზომებს. ხელშეკრულებაში არის დებულება, რომლის თანახმადაც წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია დამოუკიდებლად გადადგას ისეთი ნაბიჯები, რაც ავნებს პარტნიორი სახელმწიფოს ეროვნულ უშიშროებას. მე მგონი ეს ძალზე სერიოზული სტატიაა და ერთმანეთზე პასუხისმგებლობას გვაკისრებს.



*ალექსეი ბორდიუჟა*

REUTERS

**- როგორი ურთიერთობა ექნება კუხო-ს ნატოსთან?**

- ეს გახლავთ რეგიონული უშიშროების საერთაშორისო ორგანიზაცია და გაეროშია რეგისტრირებული. ჩვენთვის ამოსავალია ის, რომ ნატო-სა და რუსეთს დღეს საერთო ამოცანები აქვთ. ამიტომ ჩვენს გეგმებში შედის ნატო-ს ბლოკთან თანამშრომლობა.

**- როგორ განიხილავს თქვენი ორგანიზაცია საქართველო-ნატო-ს თანამშრომლობას?**

- როცა დანიაში რუსეთის ელჩი ვიყავი, მაშინ ვთქვი და ახლაც იგივეს გავიმეორებ: ჩემთვის გაუგებარია, რას ნიშნავს ნატო-ს გაფართოება რუსეთის საზღვრებთან, კუხო-ს საზღვრებთან. არ მესმის, რატომ იქმნება ინფრასტრუქტურები, რისთვის მუშავდება გეგმები საქართველოში, არის თუ არა ამისთვის საფუძველი? არის დღეს საქართველოში სამხედრო შეჭრის საფრთხე?

აქედან გამომდინარე, ნებისმიერ ქმედებებს, კუხო-ს სახელმწიფოები უპასუხებენ ადეკვატური ძალისხმევით, რათა უზრუნველვყოთ საკუთარი უსაფრთხოება. კუხო-ს შექმნა ცენტრალურ აზიაში აშშ-ის გააქტიურებამ გამოიწვია.

**- აფხაზეთში საომარი მოქმედებების განახლების შემთხვევაში, თქვენი ორგანიზაცია ჩაერევა იქ მიმდინარე პროცესებში?**

- ამ ჰიპოთეტურ შეკითხვას ასე ვუპასუხებ: ბუნებრივია, ჩვენ რეაგირებას მოვახდენთ, რადგანაც კონფლიქტის ხსენებული კერა პირდაპირ გვემუქრება.

**- რას გულისხმობთ რეაგირებაში?**

- ამას რუსეთის პრეზიდენტი გადაწყვეტს.

**- საქართველო არ არის ამ ხელშეკრულების წევრი ქვეყანა და ეს ნიშნავს იმას, რომ შესაძლებელია საქართველოზე სამხედრო დარტყმა?**

- აფხაზეთი ანუ კონფლიქტის ეს ჰიპოთეტური ზონა მდებარეობს რუსეთის - კოლექტიურ უშიშროებაზე ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოს მეზობლად. რეაგირება იქნება ზუსტად ისეთი, როგორიც იყო ავღანეთში - რუსეთს ექნება სრული უფლება, შეუთანხმდეს თავის პარტნიორებს და, მოვლენათა განვითარებიდან გამომდინარე, პირველ რიგში პოლიტიკური ნაბიჯები აამოქმედოს, რათა კონფლიქტი ფართემასშტაბიან ომში არ გადაიზარდოს.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# "ვარჩიეთ ვყოფილიყავით ზვიადნი, ვიდრე ჭაბანნი"

*ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობიდან 10 წელზე მეტი გავიდა. საქართველოს პირველი პრეზიდენტის მთავრობის წარმომადგენლებიდან, ზოგი საქართველოში დაბრუნდა და ჩრდილში დგომას ამჯობინებს, ზოგი პოლიტიკაში ჩაერთო და არჩევნების გზით აპირებს ხელისუფლებაში მოსვლას, ზოგმა საერთოდ უარი თქვა თავის ძველ პრინციპებზე და ხელისუფლების ჯამიდან ცდილობს თავის რჩენას, ზოგი კი კვლავ ემიგრაციაშია, საკუთარი პრინციპები შეინარჩუნა და საქართველოში დაბრუნებაზე ოცნებობს. სწორედ ამ ბოლო კატეგორიას მიეკუთვნებიან საქართველოს განდევნილი პრემიერ-მინისტრი* ***ბესარიონ გუგუშვილი*** *და* ***გოჩა ბახია****. ისინი ოჯახებთან ერთად ფინეთში არიან გადახვეწილები, მაგრამ საქართველოსთან კონტაქტს ერთი წუთითაც არ წყვეტენ. ბატონი ბესარიონი ერთ-ერთი ქართული ინტერნეტ-პორტალის - "ქართული კარიბჭე" - შემქმნელი და ქართული ინტერნეტ-ფონტის "გლახოს" ავტორია, ხოლო ბატონი გოჩა ამავე პორტალში ქართულენოვანი ინტერნეტ-გაზეთის "ექოს" რედაქტორია. თუმცა, ამის შესახებ საქართველოში ცოტამ თუ იცის. მათთან ჩემი შეხვედრა ბატონი ბესარიონის ოჯახში, ჰელსინკში შედგა. საქართველოს ყოფილმა პრემიერმა ინტერვიუზე თანხმობა განაცხადა. თუმცა, ინტერვიუს დაწყებამდე, მან განაცხადა, რომ ის ზვიად გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებით ახალს არაფერს იტყოდა. გარდა ამისა, გასაგებია, რომ ეს მისთვის ძალზე მტკივნეული თემაა და შესაბამისად ამაზე საუბარიც არ სურს.*
*აღსანიშნავია, რომ ბატონი ბესარიონი ქართულ პრესას, დიდი ხანია, თავს არიდებს, რადგან, როგორც თავად აცხადებს, მის ნათქვამებს შეგნებულად ამახინჯებენ. "24 საათი" ქართველ მკითხველს საშუალებას აძლევს, ბატონ ბესარიონთან და ბატონ გოჩასთან ინტერვიუ უცვლელი კუპიურების გარეშე წაიკითხოს.*


*ბესარიონ გუგუშვილის სახლში.*

ლევან ღირსიაშვილი

**- ბატონო ბესო, როგორ ჩანს საქართველო შორეული ფინეთიდან?**

- კარგი არაფერი ჩანს. მსოფლიო მოვლენების ფონზე ქვეყნის დადებითი გზით განვითარება არ ხდება. შეიძლება მდგომარეობა იყოს კარგი ან ცუდი, მაგრამ მთავარია ქვეყნის განვითარების და მიმართულების გეზი. სახელმწიფოს განვითარების რაციონალური მხარე საერთოდ არ არის გამოკვეთილი. სახელმწიფო თავის ფუნქციას არ ასრულებს.

**- ამის მიზეზად რა მიგაჩნიათ?**

- ის, რაც ბოლო ათი წლის განმავლობაში მოხდა. ჩვენთან, პირველ რიგში, იქმნებოდა სახელმწიფო და არა მთავრობა. და თუ როგორი წინააღმდეგობა გაუწიეს ამ სახელმწიფოს შექმნას, ყველასათვის ნათელია. 1992 წელს გამსახურდია ან მთავრობა კი არ დაამხეს, არამედ შეუძლებელი გახადეს იმ სახელმწიფოს შექმნა, რომელიც ხალხის ინტერესების დაცვის ფუნქციას იტვირთებდა. აი, ამიტომ მათ მაშინდელი ხელისუფლების ყველა შტოს დამხობა მოუხდათ. ეს არ იყო ხელისუფლების შიგნით მომხდარი გადატრიალება. პრეზიდენტი კი არ დაამხეს მხოლოდ, არამედ მასთან ერთად დაამხეს პარლამენტი და ადგილობრივი ხელისუფლებები, ე.ი. დაამხეს სახელმწიფოს ყველა ინსტიტუტი, რის შემდეგაც ერთი ტიპის სახელმწიფო შეცვალა მეორე ტიპის სახელმწიფომ. ჩვენი სახელმწიფო კი ჯერ დაბადებულიც არ იყო. ის რომ გაძლიერებულიყო, იცოდნენ, ვერ მოერეოდნენ. ამიტომ მათ იჩქარეს, რადგან სურდათ მოესწროთ, ვიდრე ის გაძლიერდებოდა და თავის დაცვას შეძლებდა.

საერთოდ, ანალიზი შედარების გარეშე არ არსებობს. ჩეჩნებმა უფრო მეტხანს გაძლეს. ჯოხარ დუდაევის მიერ ჩამოყალიბებულმა სახელმწიფომ ომსაც გაუძლო და გამარჯვებაც მოიპოვა. აი, ასეთი თავდაცვითი ფუნქციების შესრულება შეძლო არა მთავრობამ, არამედ სახელმწიფომ. ჯოხარ დუდაევი მოკვდა, მაგრამ სახელმწიფო ინსტიტუტები და თავდაცვის მექანიზმები ისე იყო ჩამოყალიბებული, რომ პირველი ომი მოიგო და მეორე ომსაც, ასე თუ ისე, უძლებს. თუმცა, ამჯერად შეიძლება ითქვას, რომ მარცხდება. ამის მიზეზი ის არის, რომ ძალები აშკარად არათანაბარი იყო. მაგრამ ფაქტია, რომ ომი დღესაც გრძელდება.

**- რატომ ვერ გაძლო საქართველომ და რატომ გაძლო ჩეჩნეთმა?**

- როდესაც 1991 წლის ოქტომბერში საქართველოს უზენაეს საბჭოში დადგა საკითხი, რომ სექტემბერ-ოქტომბრის მოვლენებისათვის პუტჩი დაგვერქმია, ე.წ. ინტელიგენცია ხითხითებდა: რა პუტჩი, რის პუტჩიო. ისინი ქმნიდნენ შთაბეჭდილებას, რომ საქართველოში პუტჩი შეუძლებელია და ეს ლათინური ამერიკის ტიპის სახელმწიფოს ატრიბუტია. თუმცა, საქართველოს შემდეგ, პუტჩი მოხდა აზერბაიჯანში, შემდეგ რუსეთშიც - როდესაც პარლამენტს ტანკები მიაყენეს და ზარბაზნები დაუშინეს. ახლა უკვე აღარავის გაუკვირდება იმის გაგება, რომ რომელიმე პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში მოხდა პუტჩი. საქართველო კი პირველი იყო. მართალია, ე.წ. ინტელიგენციას სასაცილოდ არ ჰყოფნიდა იმის გაგონება, რომ საქართველოში ოქტომბრის თვეში პუტჩი მოხდა, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ ეს პუტჩი თვითონვე სიამოვნებით დააკანონეს.

სხვათა შორის, ჯოხარ დუდაევი ჩეჩნეთის ტელევიზიით გამოვიდა და პირდაპირ განაცხადა, რომ ჩეჩნეთში თბილისის ვარიანტი არ გავიდოდა. ჯოხარ დუდაევი მარტო არ იყო, ვინც ეს განაცხადა - მთელი ჩეჩენი ხალხი ამ აზრის იყო. როდესაც მოსკოვიდან ჩეჩნეთში რუსლან ხასბულატოვი ჩამოვიდა, რათა დუდაევის დამხობისათვის ეხელმძღვანელა, მას პირდაპირ უთხრეს, რომ თბილისის მოვლენები ჩეჩნეთში არ განმეორდებოდა. რატომ? იმიტომ, რომ ხალხი მაგალითებით სწავლობს. ხალხი იდიოტი არ არის, რომ ადვილად მოატყუო. შეიძლება ერთხელ ვერ გაიგოს, თუ რა მოხდა, მაგრამ ერთი და იგივე მოვლენები რომ რამდენჯერმე განმეორდება, ხალხისათვის უკვე ყველაფერი ცხადი ხდება.

რატომ მოხდა საქართველოში ეს ტრაგედია? იმიტომ, რომ ჩვენმა ხალხმა ვერც კი წარმოიდგინა, მათ მიერ არჩეულ პრეზიდენტს და პარლამენტს ტყვიას თუ ესროდნენ და რუსთაველის გამზირს დაბომბავდნენ. ვერ წარმოიდგინეს, რომ მეოცე საუკუნის ბოლოს შესაძლებელია მოგიწყონ ეთნიკური წმენდა უზარმაზარ ტერიტორიაზე. სწორედ ამით ისარგებლეს მტრულმა ძალებმა.

**გოჩა ბახია:** აქვე მინდა დავამატო, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არის, ჩვენდა სამწუხაროდ, ხალხი, რომელმაც ვერ გაიგო, თუ რა მოხდა და რატომ. ჩეჩნებმა ჩვენს მაგალითზე ეს შესანიშნავად ისწავლეს და გააცნობიერეს. ჩვენ კი, სამწუხაროდ, ჯერ ვერაფერი ვისწავლეთ. ვერ გავიგეთ და დღემდე ვერ დავარქვით სახელი იმ ტრაგედიას, რაც საქარათველოში დატრიალდა. არ ვიცით - ეს პუტჩი იყო, გადატრიალება თუ რევოლუცია.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ არსებითი პრობლემა მაინც ხალხის მენტალიტეტია?**

**ბესარიონ გუგუშვილი:** ხალხის მენტალიტეტი იმდენად არა, რადგან მენტალიტეტს ქმნის გარემოება. საბჭოთა კავშირის დროს ქართველ ხალხს ერქვა საბჭოთა ქართველი ხალხი, რომელიც რუსეთის ინტერესებისათვის ყველა ომში მანამდეც თავგანწირვით ომობდა. მარტო ჰიტლერის წინააღმდეგ კი არა - მანამდეც. პირველ მსოფლიო ომში 150 ათასი ქართველი დაიღუპა ფრონტებზე. ვისი ინტერესებისათვის? რუსეთის ინტერესებისათვის. და აი, ამ ხალხმა ერთ მშვენიერ დღეს გაიღვიძა და ფეხზე წამოდგა. მაგრამ ხალხს სჭირდება კიდევ გზაზე დაყენება.

მინდა, კიდევ ერთ გარემოებას გავუსვა ხაზი. ეს არის მეცნიერების როლი სახელმწიფოს განვითარებასა და წინსვლაში. ვინ უნდა მიაწოდოს ხალხს მოვლენების დეტალური ანალიზი? - მეცნიერებამ. რას ემსახურებოდა მეცნიერება კომუნისტურ პერიოდში? - მიმდინარეობდა სუფთა წყლის პოლიტიკური მუშაობა საბჭოთა იდეოლოგიის გაძლიერების და ხალხის ცნობიერებაში ჩანერგვის მიზნით. იგივეს აკეთებს აშშ-ს მთავრობა აშშ-ს ინტერესების უზრუნველსაყოფად. სწორედ ახლა მიმდინარეობს პროპაგანდის ისტერიები.

ამერიკელებს, ერაყის ომთან დაკავშირებით, უამრავი მასალა უკვე გამზადებული ჰქონდათ. ძალიან მოკლე პერიოდში, მარტო სადამ ჰუსეინზე 10-15 სრულმეტრაჟიანი ფილმი აჩვენეს. ამას ხომ უნდა მომზადება. ე.ი. ამ პროპაგანდის წარმართვაზე სერიოზული ბიუროკრატიული აპარატი მუშაობს. ცალკე მუშაობენ ინტელიგენციაზე, ცალკე სტუდენტობაზე, ცალკე იდიოტებზე და ა.შ., ანუ იქმნება სრულყოფილი ანალიზი და ამ ანალიზს ქმნიან მეცნიერები. ჩვენთან კი, სამწუხაროდ, მეცნიერები მუშაობენ ისეთ აბსტრაქციებზე, რასაც პრაქტიკული გამოყენება არასდროს არ ექნება. მეცნიერებმა, პირველ რიგში, ეს ანალიზი და შედარებები ხალხს უნდა მიაწოდონ. ხალხმა კი შემდეგ უნდა აარჩიოს, რა არის მისთვის მისაღები. აი, ეს არის დემოკრატია. ჩვენთან კი ეს არ არსებობს.

დღეს ლაპარაკია ნატო-ში შესვლაზე, ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენზე და ა.შ. რატომ არ მიდის ანალიტიკური მუშაობა ორივე მიმართულებით, თუ რა დადებით და უარყოფით შედეგებს მოგვიტანს ან ნატოში გაწევრიანება ან ბაქო-ჯეიჰანი? რატომ არავინ ამბობს, რომ ბაქო-ჯეიჰანს არავითარი ეკონომიკური მოგება არ ექნება. ამ პროექტით ყოველწლიურად შემოსულ 30 მილიონ დოლარს ჯიბეში ჩაიდებს მაფია და შეჭამს. გარდა ამისა, დაბინძურდება გარემო. ეს სახელმწიფომ უნდა გააკეთოს, მაგრამ იმ ტიპის სახელმწიფო, რომელსაც ამ ანალიზის და ხალხისათვის მიწოდების უნარი ექნებოდა, მოსპეს. ამის მაგივრად, მათ შექმნეს სახელმწიფო, რომელიც ხალხის ძარცვას და ექსპლუატაციას ეწევა.

**- საქართველოში, განსაკუთრებით ზვიად გამსახურდიას მიმდევრები ფიქრობენ, რომ თქვენს ხელისუფლებას უფრო მეტი სიმტკიცე რომ გამოეჩინა, ამ ტრაგიკული მოვლენების თავიდან აცილება შესაძლებელი გახდებოდა.**

**ბესარიონ გუგუშვილი:** ეს სავსებით სამართლიანი და სწორი კითხვაა. ხალხი ამბობს: ჩვენ აგირჩიეთ, ხელისუფლების სადავეები გადმოგეცით და თქვენ ვალდებულები იყავით, ჩვენც და თქვენი თავიც დაგეცვათ. მაგრამ აქ უნდა გავითვალისწინოთ, თუ რა მდგომარეობაში იყო სახელმწიფო. უნდა გავიხსენოთ და შევაფასოთ, თუ რა ძალას ფლობდა ჩვენი მთავრობა, პრეზიდენტიდან დაწყებული, ადგილობრივი ხელისუფლებით – პრეფექტებით დამთავრებული. ჩვენ ხომ სათავეში რევოლუციის გზით არ მოვსულვართ? ჩვენ არჩევნების გზით მოვედით და სახელმწიფო პირამიდის წვერი, სულ პატარა ნაწილი შეიცვალა. პირამიდა კი, როგორც სხეული, იგივე დარჩა. ამის შემდეგ, სახალხო და საყოველთაო რეფერენდუმზე დაყრდნობით, ხელისუფლებამ გამოაცხადა დამოუკიდებლება და ამის გამო ფაშისტებად შეგვრაცხეს. ამასთანავე, ნურც ის დაავიწყდებათ, რომ ჩვენ არ გვყავდა არმია. ამის თაობაზე თავად ჯაბა იოსელიანმაც განაცხადა: ზვიად გამსახურდიას დამხობას რა უნდა, მარტო 30 კაცი იცავსო. ეს მართლაც ასე იყო. ჩემი დაცვა კი სამი კაცისგან შედგებოდა, სხვა მინისტრების – თითო-ოროლა. ჩვენს წინააღმდეგ კი მოქმედებდა უზარმაზარი ძალა - რუსეთის საოკუპაციო ჯარი, ჩვენივე პოლიცია, რომელიც მთლიანად რუსეთის კონტროლის ქვეშ იყო და სუკი, რომელიც ასევე მოსკოვს ემორჩილებოდა. ამდენად, ხელისუფლებაში კი ვიყავით, მაგრამ ძალაუფლება არ გვქონდა. ჩვენ ხომ იმდენად ხანმოკლე ვადა მოგვეცა, რომ იარაღიც კი ვერ შევიძინეთ. პუტჩის დაწყებისას გამოირკვა, რომ მთავრობის სასახლეში მხოლოდ 30-მდე ავტომატი გვქონდა გამართული. დანარჩენი იყო ის, რასაც იარაღი შეიძლება პირობითად ვუწოდოთ. აი, ასე უნდა დაგვეცვა თავი იმ ძალისგან, რომლის უკანაც რუსეთის ჯარები და იარაღი იდგა. ეს პუტჩის დღეებში. მანამდე კი, რა უნდა ექნა ზვიად გამსახურდიას? დაეჭირა, დაეხვრიტა ჯაბა იოსელიანი, კიტოვანი და სიგუა? მაშინ ხომ ზვიად გამსახურდია ზვიად გამსახურდია აღარ იქნებოდა. ის იქნებოდა შევარდნაძე ან სადამ ჰუსეინი. და ამას არსებითი რეალური შედეგიც კი არ ექნებოდა. ხშირად ხდება ჯოხარ დუდაევის სიმტკიცესთან შედარება. მაგრამ როდესაც განტემიროვის დაჯგუფება დუდაევის დასამხობად შემოიჭრა, მის განადგურებაში ჯოხარ დუდაევს მონაწილეობა არ მიუღია. იქ მოხდა საინტერესო დამთხვევა. კერძოდ, განტემიროვმა გროზნოს საავადმყოფოში მოკლა უდანაშაულო კაცი, რომელიც დაჭრილი იყო. სწორედ იმ მოკლულის ნათესავები და ახლობლები ჩაუსაფრდნენ გროზნოში შემოჭრილ განტემიროვს და მოკლეს. დუდაევის ნაწილები გამზადებულები კი იყვნენ თავდასაცავად, მაგრამ განტემიროვის განადგურებაში მათ მონაწილეობა არ მიუღიათ. მართალია, ასეთი დამთხვევა რომ არ მომხდარიყო, დუდაევი თავად მოუვლიდა განტემიროვს, მაგრამ აქ ერთი დეტალია საინტერესო. დუდაევს არცერთი პუტჩისტი არ დაუხვრეტია. რუსეთმა კი პირველი ომი ჩეჩნეთში ე.წ. დუდაევის ოპოზიციის დახმარების საბაბით დაიწყო. ჩრდილოეთ ჩეჩნეთში არსებულმა ოპოზიციურმა დაჯგუფებამ რუსეთს დახმარებისათვის მიმართა და მოსკოვმაც მათ "გული არ დასწყვიტა." ამის საფუძველზე ელცინმა "ჩეჩნეთში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის დაწყება" გამოაცხადა. დუდაევს რომ თავისი ოპოზიცია გაენადგურებინა, რუსეთი ამ საბაბით ველარ დაიწყებდა ომს, მაგრამ თავად ჩეჩნეთში ძალიან ცუდი პროცესები წავიდოდა.

**- ბატონო ბესო, დასკვნის სახით რომ ვთქვათ, თქვენს ხელისუფლებას დრო არ ეყო?**

**ბესარიონ გუგუშვილი:** ჩვენ რომ ცოტა დრო კიდევ გვქონოდა, ამას უკვე ველარ გაბედავდნენ. აი, დღეს, შევარდნაძის ოპოზიცია რატომ არ გამოდის ქუჩაში? ხომ ამბობენ, რომ შევარდნაძე გარეწარია, ასეთია და ისეთია, მაგრამ რატომ არ გამოდიან? ვერ ბედავენ და იმიტომ. შევარდნაძემ მოახერხა იმ ძალოვანი სტრუქტურების შექმნა, რომელთაც რაღაცის გაკეთება შეუძლიათ. ეს რაღაცა კი, პირველ რიგში, თავად შევარდნაძის დაცვაა.

აქ არის კიდევ ერთი მომენტი. ასეთ რთულ ვითარებაში ხალხმა უნდა იცოდეს, რომ სხვის იმედზე ყოფნა არ შეიძლება. ისევ ჩეჩნების მაგალითი რომ ავიღოთ, მათ ეს, სულ ცოტა, ორჯერ მაინც გამოავლინეს. ის, რომ დუდაევს არც ერთხელ არ მოუწია პუტჩისტებთან პირისპირ შეჯახებამ, ხალხის დამსახურება იყო. მე ბევრჯერ ვთქვი ინტერვიუებში, რომ არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც დუდაევის მომხრეთა მიტინგი პუტჩისტების საერთო რაოდენობას, სულ ცოტა, ხუთჯერ მაინც არ აღემატებოდა. ჩვენთანაც ასე იყო ბოლო მოვლენებამდე. 1991 წლის ოქტომბერში საქართველოში პუტჩი ვერ შედგა, რადგან პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია ჩვენი მხარდამჭერებით იყო სავსე და პუტჩისტებმა ვერ გაბედეს. დეკემბერშიც რომ ასე ყოფილიყო, იმ მოვლენებს თავიდან ავიცილებდით.

ომის დაწყების დღეს, პარლამენტის შენობის წინ ხალხი, ფაქტობრივად, აღარ იყო. შემდეგ, ასიათასობით კაცი გამოვიდა ქუჩებში ჩვენს მხარდასაჭერად, მაგრამ უკვე გვიან იყო. მატარებელი წავიდა. მე გაგახსენებთ პრეზიდენტის სიტყვებს. ჯერ კიდევ მაშინ, როცა პუტჩი არ იყო დაწყებული: "დღეს საჭიროა ქუდზე კაცი. დღეს საქართველოს ბედი წყდება." ზვიად გამსახურდია, ჯოხარ დუდაევისგან განსხვავებით, მრავალსიტყვიანი არ იყო. ჯოხარ დუდაევი ხალხის გასანათლებლად ტელევიზიით საათობრივ ლექციებს ატარებდა. ზვიადი კი მიიჩნევდა, რომ ქართველი ხალხი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე განათლებული ხალხია, თუნდაც დიპლომების მიხედვით, და ეს არ სჭირდებოდა. დუდაევმა იცოდა, რომ მისი ხალხის დიდ ნაწილს საშუალო სკოლაც კი არ ჰქონდა დამთავრებული. ზვიადმა ხალხს მოუწოდა და ნურავინ დაიმშვიდებს თავს, რომ პრეზიდენტს მათთვის არაფერი უთქვამს. მას არ უთხოვია, რომ ხალხს იარაღი აესხა. იქ იარაღი სულაც არ იყო საჭირო. საკმარისი იყო, მთავრობის სახლის წინ, სულ ცოტა, ათი ათასი კაცი მაინც მდგარიყო და კიტოვანი თბილისს ახლოს ვერც გაეკარებოდა.

ეს არის ერთი მიზეზი, თუ რატომ ვერ შევძელით ამ ტრაგედიის თავიდან აცილება.

ახლა მეორე - ამ ფაქტს პირველად ვამბობ: საქართველოში ჩამოვიდნენ ამერიკელი კონგრესმენები. მათ პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ, კიტოვანთან და ოპოზიციასთან შეხვედრა მოითხოვეს. ზვიადმა თანხმობა განაცხადა და თან ჩვენი ხალხი გააყოლა. ერთ-ერთს ჯიბეში დიქტოფონიც ედო. მან ამერიკელი კონგრესმენების და კიტოვანის საუბრის აუდიო-ჩანაწერი მოგვიტანა. ამერიკელი კონგრესმენები პირდაპირ მოუწოდებენ კიტოვანს - დღეს მთელი დემოკრატიული სამყარო თქვენ გიყურებთ და დიქტატორი თქვენ უნდა დაამხოთო. აი, ეს ჩანაწერი ჩვენ ხელთ აღმოჩნდა.

**- ეს რომელ კონგრესმენებზეა საუბარი, 2 სექტემბერს რომ ჩამოვიდნენ?**

**ბესარიონ გუგუშვილი:** არა, მაგის შემდეგ კიდევ ერთი დელეგაცია ჩამოვიდა. სხვათა შორის, მათი მიზანი იყო, რომ დაეფიქსირებინათ საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევა და ა.შ. მათ პირდაპირ უთხრეს კიტოვანს, რომ თქვენ დიქტატორი უნდა დაამხოთ და საქართველოში დემოკრატია დაამყაროთო. ჩვენ ხომ ეს საუბარი ჩუმად ჩავიწერეთ და,

გაგრძელება A8 გვერდზე

სიახლე ჯეოსელისგან!

ამოიცანით დაფარული ნომერი!

ჯეოსელი გთავაზობთ ახალ სერვისს -
დაფარული ნომრის იდენტიფიკაცია.

სერვისის აქტივაციისათვის მიაკითხეთ
ჯეოსელის მომსახურების ოფისებს.

ინფორმაციისათვის დარეკეთ:
928 ან 822 770177.

ჯეოსელი
GEOCELL
www.geocell.ge

# ფინანსური ქაოსი დაიწყო

ცენტრალური ბიუჯეტიდან წინა კვირას გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია N1 ცხრილში.

**ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციაში, როგორც იქნა, სახაზინო ვალდებულებების დისკონტის ხარჯები ასახულია სწორად.**

წინა კვირას გაგრძელდა აპრილის თვის შრომის ანაზღაურების დაფინანსება. აგრეთვე მცირედი თანხები (565 ათასი ლარი) გადაირიცხა სოციალურ ფონდში.

ენერგოსექტორის სუბსიდირებაზე წინა კვირას დაიხარჯა 1 მილიონ 50 ათასი ლარი.

სულ წინა კვირას "პრაკრუტკის" ბაზამ 1 მილიონ 505 ათას 600 ლარი შეადგინა.

**თუ წლის დასაწყისში სახარჯო პოლიტიკის ერთადერთი პრიორიტეტი ბიუჯეტის ქაღალდზე შესრულება იყო და ხარჯებიც გარკვეული ლოგიკით ნაწილდებოდა, მაისის ხარჯების ანალიზისას ნათლად ჩანს უწესრიგობის ნიშნები. ჩვენი აზრით, სახეზეა ფინანსური ქაოსის დასაწყისი. ვითარება, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, კიდევ უფრო გაუარესდება.**

"ავღანელთა კავშირის" ხელმძღვანელი მთავრობის პოლიტიკური მხარდაჭერისათვის უკვე დაჯილდოვდა საგანგებო ლეგიონის უფროსის თანამდებობით. წინა კვირას კი "ავღანელთა კავშირმა" პრეზიდენტის ფონდიდან დამატებით მიიღო ფინანსური დახმარება 30 ათასი ლარის ოდენობით.

სარეზერვო ფონდიდან ი. მეუნარგიას საიუბილეო ღონისძიება მხოლოდ იმიტომ დაფინანსდა, რომ მას დაესწრო სახელმწიფო მინისტრი.

**ერთი თეთრითაც არ არის ჯერ დაფინანსებული მაისის თვის ლტოლვილთა შემწეობა და პენსიები.**

დაზუსტდა თებერვლის თვის პენსიების დაფინანსების ოდენობა: გარღვევა დაახლოებით 9,1 მილიონი ლარია, ნაცვლად წინა კვირას წარმოდგენილი 8,8 მილიონისა.

დაწყებულია მარტის თვის პენსიების დაფინანსება, თუმცა გარღვევა 9,4 მილიონ ლარს შეადგენს. ასევე დაწყებულია აპრილის თვის პენსიების გაცემა, თუმცა აქ გარღვევა 13,1 მილიონ ლარს შეადგენს.

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დაფინანსების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია N2 ცხრილში.

მოსახლეობის სტაციონალური დახმარების პროგრამა ოთხი თვის გეგმასთან (?!) შედარებით 24 მაისისთვის დაფინანსებულია 76,6 პროცენტით, მოსახლეობის ამბულატორიული დახმარების პროგრამა - 55,1 პროცენტით, მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა - 90,9 პროცენტით. სულ ჯანდაცვის პროგრამები დაფინანსებულია ოთხი თვის გეგმის (?!) 74,1 პროცენტით.

მიუხედავად იმისა, რომ მაისი (მე-5 თვე) უკვე იწურება, 5 თვის გეგმაც კი არ არსებობს. დაფინანსებაზე საუბარიც ზედმეტია.

**საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოლაიდელი და ქავთარაძე"**

ცხრილი №1

**2003 წლის 19-23 მაისის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები**

| № | დასახელება | თანხა (ათას ლარებში) |
|---|---|---|
| 1 | აპრილის თვის ხელფასები | **5,177.5** |
| 2 | სოციალური ფონდის ტრანსფერი | **565.0** |
| | რეფორმული პენსიები | 65.0 |
| | უმწეო ოჯახების სოციალური დახმარება | 500.0 |
| 3 | პრეზიდენტის ფონდი | **67.6** |
| | ტრანსფერი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტს | 19.0 |
| | [illegible] | 18.6 |
| | ავღანელთა კავშირის დახმარება | 30.0 |
| 4 | სარეზერვო ფონდი | **17.0** |
| | ზუგდიდის რაიონის გამგეობას | 17.0 |
| 5 | სხვა საქონელი და მომსახურება | **355.6** |
| | სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური | 80.0 |
| | იუსტიციის სამინისტრო | 60.0 |
| | სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო | 60.0 |
| | კონტროლის პალატა | 6.6 |
| | საქართველოს პროკურატურა | 20.0 |
| | განათლების სამინისტრო | 2.6 |
| | აფხაზეთის საგზაო სამმართველო | 1.4 |
| | უშიშროების სამინისტრო | 53.0 |
| | დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი | 32.9 |
| | საგზაო სამმართველო | 15.5 |
| | სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური | 5.0 |
| | ეროვნული საინვესტიციო სააგენტო | 1.7 |
| | [illegible] | 0.7 |
| | ცენტრალური საარჩევნო კომისია | 0.6 |
| | საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი | 20.0 |
| | კულტურის სამინისტრო | 5.2 |
| | სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექცია | 0.4 |
| 6 | პროგრამული ხარჯები | **661.4** |
| | კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი | 100.0 |
| | კულტურის სამინისტრო | 28.8 |
| | განათლების სამინისტრო | 20.1 |
| | ჯანდაცვის სამინისტრო | 400.0 |
| | ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტი | 12.5 |
| | სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი | 100.0 |
| 7 | საინვესტიციო ხარჯები | **59.1** |
| | სახელმწიფო კანცელარია | 16.7 |
| | სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური | 16.5 |
| | კონტროლის პალატა | 5.4 |
| | უშიშროების სამინისტრო | 4.4 |
| | საქართველოს პროკურატურა | 1.0 |
| | საქართველოს პარლამენტი | 5.0 |
| | შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია | 3.3 |
| | [illegible] | 2.9 |
| | უშიშროების საბჭო | 1.5 |
| | განათლების სამინისტრო | 0.6 |
| | სახელმწიფო საარქივო დეპარტამენტი | 0.5 |
| | კულტურის სამინისტრო | 0.3 |
| 8 | სუბსიდიები | **1,157.3** |
| | სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო | 1,050.0 |
| | საქართველოს ტელევიზია და რადიომაუწყებლობის სუბსიდია | 107.3 |
| 9 | ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები | **1,135.0** |
| | ეროვნული ბანკის კრედიტი | 695.0 |
| | [illegible] | 440.0 |

ცხრილი №2

**მონაცემები 24 მაისის მდგომარეობით**

ათას ლარებში

| დასახელება | ოთხი თვის გეგმა | ფაქტი | % ოთხ თვესთან |
|---|---|---|---|
| ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები | 27,392 | 20,301 | 74.1% |
| მოსახლეობის ამბულატორიული დახმარების პროგრამა | 4,548 | 2,508 | 55.1% |
| მოსახლეობის სტაციონარული დახმარების პროგრამა | 16,929 | 12,961 | 76.6% |
| [illegible] | | 63 | |
| მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა | 5,315 | 4,832 | 90.9% |
| წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა | 793 | 778 | 98.1% |

სპს "დამენია, ვარშალომიძე, ნოლაიდელი და ქავთარაძე"
სამართლებრივი, საფინანსო და მართვის კონსულტაციები

www.dvnk.ge

office@dvnk.ge

# უსაფრთხო გარემო და მზარდი ეკონომიკა ევროპისათვის

## ღარიბი ბიუჯეტი სახელმწიფოს პასუხისმგებლობას მოსახლეობისადმი არ ამცირებს

გიორგი გახელაძე



მინისტრი ნინო ჩხობაძე და ელჩი გრიგოლ ქათამაძე კონფერენციის გახსნაზე.

გიორგი გახელაძის ფოტო

გასულ კვირას ევროპის ერთ-ერთი უდიდესი ქვეყნის – უკრაინის დედაქალაქმა უმასპინძლა გაერო-ს ევროპის ეკონომიკური კომისიის მიერ ორგანიზებულ ფორუმს – "გარემო ევროპისათვის". გარემოს დაცვის მინისტრების პანევროპული მე-5 კონფერენცია უფრო ფართო მასშტაბის მოვლენის - "კიევი-2003"-ის შემადგენელი ნაწილი იყო. 19-24 მაისს, 55 სახელმწიფოს ოფიციალური დელეგაციის გარდა, სამუშაო შეხვედრებსა თუ სხვადასხვა გარემოსდაცვითი პროექტების პრეზენტაციებში მონაწილეობდნენ საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები, საქმიანი წრეებისა და სამრეწველო საწარმოების წარმომადგენლები, ასევე გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები. ამასთან, 1991 წელს დაწყებულ პროცესში - "გარემო ევროპისათვის" აქტიურად მონაწილეობს როგორც აშშ და კანადა, ასევე ცენტრალური და აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებიც. "კიევი-2003" სხვადასხვა სტატუსის ოთხი ათასამდე მონაწილეს მასპინძლობდა. ფორუმი მრავალმხრივ ასახავდა გარემოს მდგომარეობას ევროპაში და ეკოლოგიური პოლიტიკის ტენდენციებს, პრაქტიკულად, მთელ მსოფლიოში. კონფერენციას ლაიტმოტივად გასდევდა გარემოსდაცვითი და ეკონომიკური სექტორების თანამშრომლობისკენ სწრაფვა. საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები და განვითარებული ეკონომიკის სახელმწიფოები სამი დღის განმავლობაში არაერთხელ მიუბრუნდნენ ეკონომიკის გაეკოლოგიურობის აუცილებლობის საკითხს. კონფერენციაზე შემუშავებული თანამშრომლობის სტრატეგია - "აღმოსავლეთი-დასავლეთი" - სწორედ ამ სულისკვეთებით არის გაჟღენთილი. ეს განსაკუთრებით ეხება ენერგოპოლიტიკას, წყლისა და მიწის რესურსების მართვას როგორც ევროპაში, ისე კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. ამ სტრატეგიის დოკუმენტის განხილვისას აშშ-ის დელეგაციამ, ყველასათვის მოულოდნელად, ისეთი მხარდაჭერა გამოხატა, რომ ბევრად უფრო "მწვანე" ევროპელებიც კი გაოცდნენ.

კიევის კონფერენციაზე ხელი მოეწერა რამდენიმე არსებით დოკუმენტს. ყველაზე დიდ ინტერესს იწვევდა "გარემოს დამაბინძურებლების გამოყოფისა და გადატანის რეგისტრების შესახებ ოქმი". ამ ოქმის საბოლოო ტექსტის შესახებ წარმართულმა მოლაპარაკებებმა დიდი ვნებათა ღელვა გამოიწვია. რამდენიმე სახელმწიფო დელეგაციისა და ევროპული არასამთავრობო კოალიციის (200 ორგანიზაცია) – "ეკო-ფორუმის" უკმაყოფილება ვერაფრით განელდა. ჯერ იყო და აშშ-ის დელეგაციამ კონფერენც-ცენტრიდან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა გაყვანა მოითხოვა: მათ კონფერენციის განმავლობაში "ეკო-ფორუმის" თანდასწრებით მუშაობა არ სურდათ. ეს შანტაჟი არ შედგა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უკრაინის მთავრობის შუამდგომლობით, მაგრამ, სამაგიეროდ, აშშ-ის მხარემ ამ ოქმის მზადების ორწლიან პერიოდში თავისი ზეწოლით მიღწეული შედეგი არ დათმო. დამაბინძურებელთა რეგისტრის ოქმი საერთოდ არ ასახავს ატომური ენერგეტიკის სფეროსა და რადიაქტიული ნივთიერებების გამოყენებას, ასევე სასურსათო და წყლის რესურსების უსაფრთხოების საკითხებს. საბოლოო ჯამში, ოქმში დაფიქსირდა 86 – ძირითადად, ქიმიური დამაბინძურებელი ნივთიერების რეგისტრების წარმოების ვალდებულება ხელმომწერ სახელმწიფოებში. ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი გარემოსდაცვითი ორგანიზაციის - "ეკოთანხმობის" წარმომადგენელმა ვიქტორია ჰელესმა პირდაპირ განუცხადა კონფერენციის მონაწილეებს: **"აქ, უკრაინაში, რადიაქტიური ნარჩენების საკითხის უგულებელყოფა დანაშაულის ტოლფასია"**. მართალია, ასე ხისტად არა, მაგრამ იგივე აზრი მინისტრების სამუშაო შეხვედრაზე დაადასტურა საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრმა ნინო ჩხობაძემ. რაოდენ გასაკვირიც შეიძლება იყოს ბევრი ჩვენი თანამემამულისათვის, ნინო ჩხობაძე ევროპელ კოლეგებს შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და იგი კიევში დააჯილდოვეს როგორც ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე. კიევის კონფერენციაზე ევროკომისიის, მსოფლიო ბანკის, ჰოლანდიის, დანიისა და კიდევ ბევრი სხვა დელეგაციის წევრებმა მკაფიოდ გამოთქვეს სურვილი მეექვსე კონფერენციის საქართველოში ჩატარების შესახებ. ევროპისთვის ატიპური, მაგრამ საქართველოსათვის, სამწუხაროდ, ნიშანდობლივი თავგადასავალი ჩვენს სახელმწიფო დელეგაციას მაინც გადახდა. კონფერენციის სამდივნომ ნინო ჩხობაძის სახელმწიფო უფლებამოსილების ოფიციალური დასტური ოქმების ხელმოწერის ოფიციალურ ცერემონიამდე სულ რაღაც სამი საათით ადრე მიიღო თბილისიდან. სახელმწიფო მინისტრს დავიწყებია ოფიციალურ წერილზე დროულად ხელის მოწერა.

დამაბინძურებლების რეგისტრების ოქმი გახდა - 1998 წელს დანიის ქალაქ ორჰუსში, მეოთხე პანევროპულ კონფერენციაზე მიღებული კონვენციის თანმხლები დოკუმენტი. საკუთრივ ორჰუსის კონვენცია ხელმომწერ სახელმწიფოებს ავალდებულებს, უზრუნველყონ: გარემოს შესახებ ინფორმაციის სრული საჯაროობა, გარემოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მოსახლეობის მონაწილეობა და მართლმსაჯულების მაქსიმალური ხელმისაწვდომობა. სხვათა შორის, ეს კონვენცია საქართველოში რატიფიცირებულია და 2002 წლიდან ძალაში არის შესული. კონვენციით, გარემოს დაზიანებითა თუ დაბინძურებით მიყენებულ ზიანზე (ან ინფორმაციის დამალვაზე) სარჩელის აღძვრა შეუძლია არა მხოლოდ უშუალოდ დაზარალებულ მხარეს, არამედ ნებისმიერ დაინტერესებულ ორგანიზაციას. ორჰუსის კონვენცია ვალდებულებების ტვირთს ქვეყნის საჯარო დაწესებულებებს აკისრებს ისევე, როგორც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. დამაბინძურებელთა რეგისტრების შემუშავებაც სახელმწიფო სტრუქტურების ვალდებულებაა, მაგრამ მათ, ეროვნული კანონმდებლობით, ეს ვალდებულება საწარმოებს უნდა გადაუნაწილონ. **"მართალია, საწარმოდან მოქალაქემდე ასეთი ინფორმაციის სარწმუნო და რეგულარული ნაკადის უზრუნველყოფა საკმაოდ დიდ ფინანსურ დანახარჯებსაც ითხოვს, მაგრამ ღარიბი ბიუჯეტი მთავრობას ხომ არ უხსნის პასუხისმგებლობას თანამემამულეების ჯანმრთელობაზე?"** – დარწმუნებულია საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე ზაალ ლომთაძე, რომელიც კიევში დააჯილდოვეს საპატიო მედლით "პანევროპული პროცესის განვითარებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის".

კიევის კონფერენციაზე ხელი მოეწერა კიდევ ორ ოქმს, რომლებიც ასახავენ ხელმომწერი სახელმწიფოების ვალდებულებებს გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების დროს. ასევე მიღებული იყო ე.წ. კარპატული კონვენცია, რომელიც ამ უნიკალური რეგიონის მომცველი ქვეყნების ურთიერთპასუხისმგებლობას აწესრიგებს.

როგორც უკვე აღინიშნა, კიევის კონფერენციის მთავარი მიზანი ეკონომიკური პროგრესისა და მდგრადი ეკოლოგიური განვითარების ერთიანი სტრატეგიული პრინციპების შემუშავება გახლდათ. ძალიან ხშირად გაიგონებდით: **"აქამდე მწვანე მოძრაობა იდეალისტურად და არარაციონალურად აღიქმებოდა. დროა, გარემოს დაცვა მომგებიანი გახდეს, ეკონომიკური პროგრესი კი ეკოლოგიურად სუფთა."** იმავე დამაბინძურებლებზე მსჯელობისას ბრიტანელმა ექსპერტმა ჯონ ჰანთერსტონმა პირდაპირ თქვა: **"გადასახადები გარემოს დამაბინძურებელ ნივთიერებებსა თუ ტექნოლოგიებზე ისევე აუცილებელია, როგორც ადამიანის შრომის დაბეგვრა. ჩვენ ხომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ვცხოვრობთ."**

**საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახაზინო სამსახური**

**ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით მიმდინარე წლის 13-16 მაისის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა: 5 441.8 ათასი ლარი**

**1) ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 61.3 ათასი ლარი:**

**■ სასამართლოს გადაწყვეტილებებით ჩამოჭრილი თანხები - 61.3 ათასი ლარი;**

**2) საბიუჯეტო ორგანიზაციების წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა - 316.0 ათასი ლარი:**

**რეგიონებში განლაგებული საბიუჯეტო ორგანიზაციების წინა პერიოდის სახელფასო დავალიანება - 316.0 ათასი ლარი;**

**3) ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 3 650.4 ათასი ლარი;**

**საბიუჯეტო ორგანიზაციების აპრილის თვის კვების ხარჯები - 1 323.6 ათასი ლარი;**

■ თავდაცვის სამინისტრო - 550.0 ათასი ლარი;
■ შინაგან საქმეთა სამინისტრო - 338.6 ათასი ლარი;
■ იუსტიციის სამინისტრო - 228.7 ათასი ლარი;
■ საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი - 133.3 ათასი ლარი;
■ უშიშროების სამინისტრო - 69.0 ათასი ლარი;
■ დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი - 4.0 ათასი ლარი;

**ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო - 25.0 ათასი ლარი;**

■ ლტოლვილთა ერთჯერადი დახმარება - 25.0 ათასი ლარი;

**ტრანსფერი სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს – 1 500.0 ათასი ლარი;**

■ საპენსიო ტრანსფერი - 1 000.0 ათასი ლარი;
■ უმწეო ოჯახების სოციალური დახმარება - 500.0 ათასი ლარი;

**სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი (სასურსათო უზრუნველყოფის პროგრამა) - 367.0 ათასი ლარი;**

**განათლების სამინისტროს პროგრამული ხარჯები (შრომის ანაზღაურება) - 10.3 ათასი ლარი;**

**კულტურის სამინისტროს პროგრამული ხარჯები (შრომის ანაზღაურება) - 9.5 ათასი ლარი;**

**საქართველოს პრეზიდენტის ფონდი – 8.0 ათასი ლარი;**

**■ საქართველოს კულტურის სამინისტრო (საქართველოს პრეზიდენტის 25.03.03. N333 განკარგულების თანახმად აკაკი ბაქრაძის მრავალტომეულის პირველი ტომის გამოსაცემად) – 8.0 ათასი ლარი;**

**სახელმწიფო სარეზერვო ფონდი - 407.0 ათასი ლარი;**

**■ ტრანსფერი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს (საომარი მოქმედებების შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღსადგენად) - 407.0**

**4) 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 1 414.1 ათასი ლარი;**

**სხვა საქონელი და მომსახურება - 289.1 ათასი ლარი;**

■ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური - 121.6 ათასი ლარი;
■ ეროვნული საინვესტიციო სააგენტო - 100.0 ათასი ლარი;
■ საქართველოს პარლამენტი (მ.შ ავტობაზის მუშაკთა შრომის ანაზღაურება 40.0 ათასი ლარი) - 42.5 ათასი ლარი;
■ ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტი (ომის ვეტერანთა ჰოსპიტალი) - 14.0 ათასი ლარი;
■ უშიშროების სამინისტრო - 8.0 ათასი ლარი;
■ აფხაზეთის უმაღლესი სასამართლო - 2.0 ათასი ლარი;
■ ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი - 1.0 ათასი ლარი;

**სამივლინებო ხარჯები - 57.0 ათასი ლარი;**

■ კონტროლის პალატა - 35.0 ათასი ლარი;
■ საქართველოს პარლამენტი - 15.0 ათასი ლარი;
■ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო - 3.6 ათასი ლარი;
■ უშიშროების საბჭო - 3.4 ათასი ლარი;

**სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ღონისძიებები - 50.0 ათასი ლარი;**

**სახელმწიფო საინფორმაციო სამსახურის სუბსიდია – 18.0 ათასი ლარი;**

**სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო (ენერგეტიკის სექტორის სუბსიდირება) - 1 000.0 ათასი ლარი;**

**სულ ხარჯი: 5 441.8 ათასი ლარი;**

**1.ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 61.3 ათასი ლარი:**

**■ სასამართლოს გადაწყვეტილებებით ჩამოჭრილი თანხები - 61.3 ათასი ლარი;**

**2. საბიუჯეტო ორგანიზაციების წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა - 316.0 ათასი ლარი:**

**3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 3 650.4 ათასი ლარი;**

**4. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 1 414.1 ათასი ლარი;**

**■ სხვა საქონელი და მომსახურება - 339.1 ათასი ლარი;**
**■ მივლინება - 57.0 ათასი ლარი;**
**■ სუბსიდია - 1 018.0 ათასი ლარი;**

**თბილისი, 380093, მ.ალექსიძის ქ. N1**

**ტელ/ფაქსი: 92-30-03, ელ.ფოსტა: treasury@iberiapac.ge**

# ისრაელმა „საგზაო რუკას" მხარი დაუჭირა

ლევან ღირსიაშვილი

ისრაელის მთავრობამ ხმათა უმნიშვნელო უმრავლესობით ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის დარეგულირების გეგმა "საგზაო რუკა" მიიღო. როგორც ცნობილია, ეს გეგმა ე.წ. საერთაშორისო ოთხეულის (აშშ, რუსეთი, ევროკავშირი, გაერო) მიერ არის შემუშავებული და 2005 წლისათვის პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას ითვალისწინებს.

რამდენიმე მინისტრის და საკუთარი ლიკუდის პარტიის წევრთა წინააღმდეგობის მიუხედავად, რომლებიც რადიკალურ მემარჯვენე პოზიციაზე მყარად იდგნენ, პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა ექვსსაათიანი მძიმე დებატების დასრულება მაინც წარმატებით მოახერხა. საბოლოო ჯამში, "საგზაო რუკას" ხმა მისცა ისრაელის მინისტრთა კაბინეტის 12 წევრმა, შვიდი წინააღმდეგი იყო, ხოლო ოთხმა თავი შეიკავა.

არიელ შარონმა თავისი კაბინეტის წევრები გააფრთხილა, რომ "საგზაო რუკის" უარყოფა აშკარად ნეგატიურ გავლენას მოახდენდა ისრაელ-აშშ-ს ურთიერთობებზე. ეს კი, ალბათ, სიმართლეა, რადგან გეგმის მთავარი შემმუშავებელი და ინიციატორი, პირველ რიგში, აშშ-ს ადმინისტრაცია იყო. თეთრი სახლი დაჟინებით მოითხოვდა, რომ "საგზაო რუკა" ორივე დაპირისპირებულ მხარეს დაემტკიცებინა. პალესტინელებმა ეს ნაბიჯი გაცილებით ადრე გადადგეს და ამით მშვიდობის სურვილის დემონსტრირება მოახდინეს. ამდენად, თუ ისრაელის მთავრობა სამშვიდობო გეგმაზე უარს იტყოდა, შესაბამისად, კონფლიქტის გამწვავების და სისხლისღვრის გაგრძელების მოსურნედ წარმოჩინდებოდა. ეს, რასაკვირველია, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში თეთრი სახლის სტრატეგიულ მიზნებზე ნეგატიურად იმოქმედებდა და ტელ-ავივ-ვაშინგტონის ურთიერთობებსაც დაძაბავდა. სწორედ ამ მარტივი მიზეზის გამო, არიელ შარონის გაფრთხილებამ გაჭრა და ისრაელის მინისტრთა კაბინეტმა სამშვიდობო გეგმას ხმა მისცა. ამის მიუხედავად, ისრაელის მთავრობამ პალესტინელი ლტოლვილების დაბრუნებას იმ ტერიტორიებზე, რომლებიც მათ 1948-1949 წლებში ომის დროს დატოვეს, მხარი არ დაუჭირა. ამან პალესტინის ადმინისტრაციის მკვეთრად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. როგორც ჩანს, ისრაელის მთავრობამ ყველასათვის გასაგები გახადა, რომ "საგზაო რუკა" მათთვის აუცილებელ ვალდებულებად არ ითვლება. ტელ-ავივი კვლავ დაჟინებით მოითხოვს, რომ სამშვიდობო გეგმაში მათი შესწორებები გაითვალისწინონ. ეს ფაქტი კი ცხადყოფს, რომ კონფლიქტის სწრაფად და დაუბრკოლებლად მოწესრიგება მოსალოდნელი არ არის.



არიელ შარონი კმაყოფილია.

მიუხედავად ამისა, "საგზაო რუკის" მიღების ფაქტი უკვე ბევრს ნიშნავს. ნახევარსაუკუნოვანი კონფლიქტის ისტორიაში, ისრაელმა პირველად დაუჭირა მხარი დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფოს შექმნას. ამასთანავე, კენჭისყრის შედეგით, "მწვანე შუქი" მიეცა სამმხრივ შეხვედრას, რომელიც აშშ-ს პრეზიდენტის ხელმძღვანელობით ივნისში გაიმართება. თეთრი სახლის მეთაურის ინიციატივით, შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებენ ისრაელის პრემიერ-მინისტრი და მისი პალესტინელი კოლეგა მაჰმუდ აბასი, იგივე აბუ მაზენი.

ვაშინგტონმა უკვე გამოხატა კმაყოფილება ისრაელის მიერ "სამშვიდობო რუკის" მიღებასთან დაკავშირებით. ხოლო პალესტინის ავტონომიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯერ კიდევ ისრაელის მინისტრთა კაბინეტის კენჭისყრამდე განაცხადა, რომ ორშაბათს დაგეგმილი შეხვედრა პალესტინისა და ისრაელის პრემიერ-მინისტრებს შორის, მხოლოდ იმ შემთხვევაში შედგება, თუკი ტელ-ავივი სამშვიდობო გეგმის განხორციელებას მხარს დაუჭერდა. მიუხედავად იმისა, რომ ისრაელის მთავრობამ პალესტინელი ლტოლვილების დაბრუნებაზე კატეგორიული უარი განაცხადა, პალესტინის ადმინისტრაცია მომხდარი ფაქტით მაინც კმაყოფილია.

**"ჩვენ მივესალმებით ისრაელის მიერ "საგზაო რუკის" მიღებას და ამ ფაქტს პოზიტიურ ნაბიჯად ვაფასებთ. თუმცა, ჩვენ მხედველობაში არ მივიღებთ ისრაელის ცალმხრივ პირობებს. ჩვენ გეგმის ავტორებმა დაგვარწმუნეს, რომ ტექსტში არანაირი ცვლილება არ შევა,"** - განაცხადა პალესტინის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა მიქაელ ტარაზიმ.

პალესტინის ადმინისტრაციისგან განსხვავებით, ისრაელის მიერ სამშვიდობო გეგმის მიღებამ რადიკალური ისლამური დაჯგუფება "ჰამასის" საბრძოლო განწყობაზე არანაირად არ იმოქმედა. დაჯგუფების ლიდერმა შეიხ ჰასან ნასრულამ იარაღის დაყრასა და შერიგებაზე უარი განაცხადა. **"განიარაღების საფუძველი არ არსებობს, რადგან ისრაელს თავის დამპყრობლურ პოლიტიკაზე უარი არ უთქვამს."** საგულისხმოა, რომ მის განცხადებას მხარი დაუჭირა სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა. მისი თქმით, ისლამისტი მებრძოლები **"ისრაელის აგრესიის საწინააღმდეგოდ თავდაცვით ბრძოლას აწარმოებენ."**

უნდა ითქვას, რომ სხვაგვარი რეაქცია რადიკალური დაჯგუფებებისგან მოსალოდნელი არც ყოფილა. ფაქტი ერთია - ისრაელის ხელისუფლებამ "საგზაო რუკის" მიღებით უდავოდ ისტორიული ნაბიჯი გადადგა, ტელ-ავივმა პალესტინის სახელმწიფოს შექმნაზე ოფიციალური თანხმობა განაცხადა. თუმცა, რასაკვირველია, საბოლოო მშვიდობამდე ჯერ კიდევ შორია.

## ავიაკატასტროფა ტრაპიზონში



ტრაგედიის ადგილი.

გუშინ, უკრაინის ავიაკომპანიის "ხმელთაშუა ზღვის ავიახაზების" კუთვნილმა თვითმფრინავმა იაკ – 42-მა, თურქეთის ქალაქ ტრაპიზონის მახლობლად, კატასტროფა განიცადა. თვითმფრინავის ბორტზე 74 ადამიანი იმყოფებოდა. მათ უმრავლესობას ავღანეთიდან დაბრუნებული, ესპანეთის სამშვიდობო ძალების სამხედრო მოსამსახურეები წარმოადგენდნენ. მათ გარდა, თვითმფრინავში ეკიპაჟის 12 წევრი იმყოფებოდა. ყველა მათგანი უკრაინიდან იყო. თვითმფრინავი ბიშკეკიდან სარაგოსასკენ ასრულებდა რეისს და ტრაპიზონის აეროპორტში საწვავის შესავსებად აპირებდა დაჯდომას. კატასტროფის მიზეზი უკვე ცნობილია. თვითმფრინავის პილოტმა, ძლიერი ნისლის გამო, ასაფრენი ბილიკი ვერ დაინახა. თვითმფრინავის ყველა მგზავრი და მთელი ეკიპაჟი დაიღუპა.

## ესპანელები კვლავ აზნარს უჭერენ მხარს

კვირას ესპანეთში საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა, რომელშიც პრემიერ-მინისტრ მარია აზნარის მმართველმა სახალხო პარტიამ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. მან ესპანეთის 13 ოლქიდან შვიდში ხმების აბსოლუტური უმრავლესობა მიიღო. ეს, რასაკვირველია, წინასწარი მონაცემებია, მაგრამ ექსპერტები ვითარების კარდინალურად შეცვლას არ ვარაუდობენ. მეორე ადგილზე მთავარი ოპოზიციური ძალა – სოციალისტური პარტია გავიდა. უფრო მეტიც, მათ სარაგოსაში აბსოლუტური გამარჯვებაც მოიპოვეს, მაგრამ ეს საერთო სურათზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენს, რადგან ისეთ დიდ ქალაქებში, როგორიც მადრიდი, ვალენსია და მალაგაა, აზნარის პარტიამ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. უნდა ითქვას, რომ ერაყის წინააღმდეგ აშშ-ს მოკავშირეობას აზნარის რეიტინგზე ესპანეთში დიდი გავლენა არ მოუხდენია. ოპოზიცია კი საარჩევნო გათვლას სწორედ აზნარის საგარეო პოლიტიკის ამ ნაწილზე აკეთებდა. თუმცა, შედეგმა თავად აზნარის მოლოდინსაც გადააჭარბა. **"ჩვენ სენსაციური შედეგი ვაჩვენეთ,"** - განაცხადა ესპანეთის პრემიერ-მინისტრმა არჩევნების დასრულების შემდეგ, მადრიდში, თავის მომხრეების წინაშე გამოსვლის დროს.

## მიწისძვრა იაპონიაში

გუშინ იაპონიის ჩრდილოეთში ძლიერი მიწისძვრა მოხდა. ბიძგების ძალამ 7 ბალს მიაღწია, მაგრამ მას მნიშვნელოვანი ნგრევა არ მოჰყოლია. ყველაზე ძლიერი ბიძგები ჩრდილოეთის ქალაქ სენდაიში დაფიქსირდა, თუმცა, ძლიერი რყევა სამასი კილომეტრით სამხრეთით, ტოკიოშიც იგრძნობოდა.

წინასწარი ინფორმაციით, ხანძარი გაუჩნდა ორ შენობას, ჩაიმსხვრა მინები და გაწყდა კომუნიკაციები. დაღუპულები და დაჭრილები არ არიან, მიუხედავად იმისა, რომ ეს მიწისძვრა უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ის, რომელიც გასულ კვირას ალჟირში მოხდა.

მიწისძვრის ეპიცენტრი ზღვაში მდებარეობდა, მაგრამ რაკი ბიძგები საკმაოდ დიდ სიღრმეზე მოხდა, ცუნამი არ გამოუწვევია.

# აშშ: რა ვუყოთ ირანს?

პირველი გვერდიდან

აშშ-სა და ირანს დიპლომატიური ურთიერთობები 1979 წლის ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ აღარ ჰქონიათ. თუმცა ბოლოხანს, ავღანეთსა და ერაყში მიმდინარე ოპერაციების პარალელურად, ორ სახელმწიფოს შორის არაფორმალური კონტაქტები აღსდგა. ალ-ქაიდასაც და სადამ ჰუსეინის რეჟიმსაც ირანიცა და ამერიკაც მტრებად მიიჩნევდნენ. თუმცა, მძაფრი იდეოლოგიური დაპირისპირების გამო, მათ შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა.

რამსფელდის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ირანი ალ-ქაიდას მფარველობს, აშშ ადმინისტრაციაში ბევრი არ ეთანხმება. როგორც ადმინისტრაციის ანონიმმა წარმომადგენელმა გაზეთ "ვაშინგტონ პოსტს" განუცხადა, ირანში ალ-ქაიდას სულ რამდენიმე აგენტი მუშაობს და ისინიც ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ავღანეთის საზღვართან არიან თავმოყრილნი. ეს ზონა ნარკოტიკებით ვაჭრობის ცენტრს წარმოადგენს და ხელისუფლების მიერ არ კონტროლდება. სამაგიეროდ, იქ ვითარებას ირანის უშიშროების სამსახურების აგენტები განაგებენ, რომლებიც ნარკოტიკებიდან დიდძალ შემოსავალსაც იღებენ. ერთი სიტყვით, ნამდვილი ირანული პანკისია.

ირანის ხელისუფლება, რასაკვირველია, ყველა ბრალდებას უარყოფს. საგარეო საქმეთა მინისტრმა, ქამალ ხარაზიმ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა ჯერ კიდევ მაშინ ებრძოდა ალ-ქაიდას, როდესაც აშშ-ს ეს ორგანიზაცია არც აინტერესებდა. მინისტრის განცხადებით, ირანმა საუდის არაბეთსა და ავღანეთს ალ-ქაიდას რამდენიმე წევრი გადასცა, კიდევ რამდენიმე – ირანის ციხეებში იმყოფება.

და მაინც, "ნიუ იორკ ტაიმსის" ცნობით, ადმინისტრაციამ დაჟინებით მოსთხოვა ირანს, საუდის არაბეთში მიმდინარე ძიებას დაეხმაროს. დაუმორჩილებლობას ირანისათვის უმძიმესი შედეგები მოჰყვება, – იმუქრება ვაშინგტონი.

როგორი შეიძლება იყოს ეს შედეგები? შესაძლო ალტერნატივების განხილვა, როგორც ვთქვით, ახლა მიმდინარეობს. მასში აქტიურად არიან ჩართულნი კონგრესმენები, მთავრობის წარმომადგენლები, ანალიტიკური ცენტრები და მას-მედია.

"ირანში საკითხი ასე დგას: არიან კარგი ბიჭები, რომელთაც ქვეყნის რეფორმირება სურთ, მაგრამ რეალურად, ხელისუფლებას ცუდი ბიჭები ფლობენ. საჭიროა, რომ ჩვენ ისინი ერთმანეთისაგან განვასხვავოთ, ცუდი ბიჭების იზოლირება მოვახდინოთ და ისინი ხელისუფლების სადავეებს მოვაშოროთ," – ასე გადმოსცა აშშ-ს მიზნები ირანში კონგრესის წარმომადგენელთა პალატის სადაზვერვო კომიტეტის თავმჯდომარემ, პორტერ გოსმა.

"კარგი ბიჭები" მისთვის რეფორმატორები არიან, პრეზიდენტ ხათამის მეთაურობით, რომლებიც ქვეყანაში პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას ცდილობენ და დიდ წინააღმდეგობას აწყდებიან "ცუდი ბიჭების", კონსერვატიულად განწყობილი სასულიერო წრეების წარმომადგენლებისაგან, რომელთა სათავეშიც ქვეყნის უზენაესი ლიდერი (ირანი ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც პრეზიდენტი იერარქიულად, სახელმწიფოში მეორე კაცია) აიათოლა ალი ხამენეი დგას. ისლამური რევოლუციიდან მოყოლებული, ირანს აიათოლები მართავენ. ისინი აკონტროლებენ ჯარს, სასამართლოს, უშიშროების სამსახურებს, მათვე ეკუთვნით საბოლოო სიტყვა კანონმდებლობის მიღებისას.

დაპირისპირება მათ შორის ძალზე მწვავეა. რეფორმისტები აკონტროლებენ პარლამენტს და იმგვარი კანონების მიღებას ცდილობენ, რომელიც ქვეყანაში თავისუფლების ხარისხს (და მათ ძალაუფლებას) გაზრდის, მაგრამ ასეთ კანონებს ვეტოს ადებს რევოლუციის მცველთა საბჭო. თუ რეფორმატორი თავის მოთხოვნებში ძალიან შორის წავიდა (რაკი ირანი თეოკრატიული სახელმწიფოა, აქ მთავრობის წინააღმდეგ წასვლა ღვთის ნების უგულებელყოფად მიიჩნევა), დიდი შანსია, რომ იგი ციხეში აღმოჩნდეს. ამ და სხვა მიზეზების გამო, რეფორმატორთა უმეტესობა აშკარა კონფრონტაციაზე წასვლას ვერ ბედავს.

მაგრამ, გუშინ რეფორმატორთა ერთ ჯგუფს, 127 პარლამენტარს მოთმინება ამოეწურა და უზენაეს ლიდერს ღია წერილით მიმართა, რომელშიც ნათქვამია, რომ მშვიდობიანი გარდაქმნებისათვის დრო იწურება, და თუ აიათოლები სასწრაფოდ არ წავლენ კომპრომისზე და ქვეყნის დემოკრატიზაციას გზას არ გაუხსნიან, ირანი უმძიმესი საფრთხეების პირისპირ აღმოჩნდება, როგორც შიგნით, ისე გარედან. შიგნიდან ქვეყანას მასობრივი არეულობა ემუქრება, გარედან კი - შეერთებული შტატების მზარდი ამბიციები.

ხელისუფლებამ ამ წერილს სწრაფად უპასუხა. ჯერ მისი ტექსტი გააქრეს, ხოლო შემდეგ ხამენეიმ განაცხადა, რომ ირანი ყველაზე დემოკრატიული ქვეყანაა მსოფლიოში.

სწორედ ეს დაპირისპირება წარმოქმნის დილემას ამერიკელთათვის. მათ ირანზე ზეწოლის განხორციელება სურთ, მაგრამ არ უნდათ, რომ ამას რეფორმატორები შეეწირონ (მოსალოდნელია, რომ დასავლეთის მხრიდან ირანზე ზეწოლა პროდასავლური ძალების დისკრედიტაციას მოახდენს). ცხადია, ვაშინგტონს არც ის სურს, რომ კონსერვატორებმა ლიბერალები ამერიკისაგან დამცავ ფარად გამოიყენონ და ძველებურად გააგრძელონ "ტერორიზმის მფარველობა, ისრაელ-პალესტინის სამშვიდობო პროცესისათვის ხელის შეშლა და, რაც ყველაზე უარესია, – ატომური ბომბის შექმნის მცდელობა".

ერაყის ომის შემდეგ, ამერიკის ადმინისტრაციაში ბევრი დარწმუნებულია, რომ ახლოაღმოსავლური დიქტატურების წინააღმდეგ ერთადერთი წამალი არსებობს - სამხედრო ძალა, რომლის ეფექტურობაც ჰუსეინის დამხობის დროს კარგად გამოჩნდა. ძალის გამოყენებას, ტრადიციულად, ყველაზე მეტი მომხრე პენტაგონში ჰყავს.

თუმცა, ირანთან მიმართებაში, ერაყისმაგვარი ოპერაციის განხორციელება, ოპტიმალურ ვარიანტად არ მიიჩნევა. "ყველა პრობლემას თავისი გასაღები უნდა მოვუძებნოთ", - განაცხადა რიჩარდ ჰაასმა სახელმწიფო დეპარტამენტიდან. სულაც არ არის აუცილებელი, რომ ერაყის მოდელი გადმოვიღოთ და იგი სხვა ქვეყნებსაც მივუსადაგოთ, - დასძენს იგი. პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი დემოკრატიული პარტიიდან, სენატორი ჯოზეფ ლიბერმანი აცხადებს, რომ რეჟიმის ცვლილება ერთადერთი გამოსავალია ირანისათვის, მაგრამ ეს ძალის გამოყენების გარეშე უნდა განხორციელდეს. ამ აზრს მრავალი სენატორი იზიარებს.

სამხედრო ძალის გარდა, ვაშინგტონის არსენალში კიდევ რამდენიმე იარაღია: დიპლომატიური ზეწოლა, ეკონომიკური სანქციები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ მყოფი ირანის ოპოზიციური დაჯგუფებებისათვის დახმარება (აშშ-მ არსებობის საშუალება მისცა ერაყში მყოფ ირანულ ტერორისტულ ორგანიზაციას "მუჯახედინ ე-ხალყს", რომელიც თეირანის ხელისუფლებას ებრძვის), ირანში არეულობის გამოწვევის მცდელობა, სახელმწიფო გადატრიალების ინსპირირება და ასე შემდეგ. ამ იარაღებიდან რომელი აღმოჩნდება ყველაზე ეფექტური, ძნელი სათქმელია. თუმცა, იმის თქმა კი შეიძლება, რომ ერაყზე კონტროლის დამყარების შემდეგ, აშშ გაცილებით უფრო ნაკლებად "მომთმენი" იქნება ირანის მიმართ, ვიდრე - ომამდე.

# სომხეთში არჩევნები ჩატარდა - ყველაფერი იყო ძველებურად

რევაზ ბახტაძე

ყველაფერი ჩატარდა ძველებურად, სულ ძველებურად, ისე, როგორც ჩვენში წინათ ხდებოდა ყველგან, სადაც კი არჩევნებს ატარებდნენ. თორმეტი წლის წინათ ხდებოდა იშვიათად, რვა წლის წინათ - ზოგჯერ, ოთხი წლის წინათ - ხშირად და ახლა - თითქმის, ყოველთვის.

კაი მარიფათის გამოდგნენ. ხუთი წელი უცვლელად ხელისუფლებაში. მარტში "მოგებული" საპრეზიდენტო არჩევნები და კოჩარიანის მხარდამჭერი სამი პარტია. მობილიზებული ძალოვნები და საარჩევნო ადმინისტრაცია. ძალ-ღონე არ დაიშურეს!

საარჩევნო დაპირებები და დროშები. აგიტაცია და პროპაგანდა. დაშინება და დაყვავება. მიტინგები და პრეს-კონფერენციები. 1885 გამჭვირვალე საარჩევნო ყუთი სომხეთში, 36 - უცხოეთში. ბევრი დამკვირვებელი და ცოტა ამომრჩეველი.

" ეს არჩევნები სომხეთის საერთაშორისო იმიჯის გაუმჯობესების ბოლო შანსია", - აცხადებს დასავლეთი. "პრობლემებს მინიმუმამდე შევამცირებთ", - ჰპირდება ცივილიზებულ სამყაროს სომხეთის მთავრობა. თუ არ შეამცირეს, მაშინ? პასუხი არ არის.

ზოგიერთმა, პროტესტის ნიშნად, კანდიდატურა მოხსნა. ურთიერთბრალდებები. ერთი და იგივე ხალხით გაჭედილი ავტობუსები სხვადასხვა საარჩევნო უბნებთან. ოპოზიციონერ მანუკ გასპარიანის მონაცემები: ხმებს ყიდულობენ. შეღავათიანი ფასებია: 1 ხმა – 5000 დრამი (9 ამერიკული დოლარი).

ამომრჩეველთა სიებში ნაკლები შეცდომები. ამჯერად სწორად აღრიცხეს. ოპოზიციის ლიდერ დემირჭიანის ცოლი თამარა მაინც არ მოხვდა სიებში. გამორჩათ. "აუცილებლად დავიბრუნებ ბიულეტენს და ხმას მივცემ "სამართლიანობას"! - დაიქადნა.

სომხეთის პრეზიდენტი: "სტაბილურობას მივეცი ხმა". უძრაობას გულისხმობს.

მწარე გამოცდილება და გულგატეხილი ამომრჩეველი. დაბალი საარჩევნო აქტივობა. ყველაფერი ჩატარდა მშვიდად, ძალიან მშვიდად, ისე, როგორც ჩვენში წინათ ხდებოდა ყველგან... ორმოცი წლის წინათ ხდებოდა ხშირად...




მხოლოდ ერთი (უსიამოვნო) ინციდენტი. შაუმიანში საარჩევნო უბანში კაცი შეიჭრა, კომისიის წევრებს ესროლა. რამდენიმე დაიჭრა. თვითონაც დაჭრეს. არჩევნები არაფერ შუაშია. კომისიის წევრ ენოკიანთან ჰქონდა პირადი ანგარიშები. ასე რომ, არ ითვლება.

ტრადიციული განცხადება წინასწარი შედეგების გამოცხადებამდე. "ჩვენ გავიმარჯვეთ!" - ამტკიცებს ოპოზიციური "სამართლიანობის" ბლოკი. "მაგრამ გააყალბებენ", - თავს იზღვევს.

წინასწარი შედეგები: 21.95 პროცენტი - სომხეთის რესპუბლიკურ პარტიას (პროკოჩარიანული), ბლოკ "სამართლიანობას" – 15.61 პროცენტი (გაერთიანებული ოპოზიცია), "ორინაც იერკირს" (სამართლიანობის ქვეყანა) – 12.96 პროცენტი (პროკოჩარიანული), ეროვნულმა ერთიანობის პარტიამ – 10.14, სომხეთის რევოლუციურმა ფედერაცია–დაშნაკციუტუნმა კი – 10.05 პროცენტი (პროკოჩარიანული).

სამმა სახელისუფლო პარტიამ 44.96 პროცენტი მოაგროვა. ეს, ჯერჯერობით, წინასწარი მონაცემებია. მერე, ვნახოთ. "ოპოზიცია კოალიციურ მთავრობაში ვერ მოხვდება"! - ზეიმობს პრეზიდენტი. "თხას...არ გავუშვებ, ნამყენი ხეხილით სავსე კარ-მიდამოს გადაღრღნიან"...

ბევრი ლაპარაკი დარღვევებზე და ცოტა საბუთი. სომხეთის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 23 საჩივარი შეიტანეს.

დსთ-ს დამკვირვებლები: სომხეთში ჩატარებული არჩევნები "ლეგიტიმური და დემოკრატიულია". "თავისუფალი კონკურენცია იყო", - ნაცარს გვაყრის რუსი ჩინოსანი. მოსკოვი კმაყოფილია. ერევანი - მითუმეტეს.

ეუთო და ევროსაბჭო: "სომხეთის საპარლამენტო არჩევნები საპრეზიდენტოსთან შედარებით უკეთ ჩატარდა. საერთაშორისო სტანდარტებს საკვანძო ასპექტებით მაინც არ შეესაბამებოდა".

დაბალი აქტიურობა იყო. ამომრჩევლებმა არჩევნების ნდობა დაკარგეს, - ასკვნის ეუთო. ეთანხმება ევროსაბჭო. ნდობა უნდა გაზარდოთ! – პირში მიახალეს ხელისუფლებას.

ევროსაბჭოს რჩევა: "დამრღვევები უნდა დასაჯოთ"!

ყველაფერი ჩატარდა ძველებურად, სულ ძველებურად, ისე, როგორც ჩვენში წინათ ხდებოდა ყველგან, სადაც კი არჩევნებს ატარებდნენ. თორმეტი წლის წინათ ხდებოდა იშვიათად, რვა წლის წინათ - ზოგჯერ, ოთხი წლის წინათ - ხშირად და ახლა - თითქმის, ყოველთვის.

ასეთი არჩევნები უძეგლოდ არ დაიკარგება!

# „სოროსის ბაღები" - მითი და რეალობა

*27-29 მაისს, თბილისის N1 საბავშვო ბაღში, ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველო"-ს წარმომადგენლები ე.წ "სოროსის ჯგუფების" მასწავლებელთათვის მორიგ ტრეინინგს ატარებენ. ასეთი ტრეინინგები სხვადასხვა ბაღებში წელიწადში რამდენჯერმე ტარდება. საქართველოს ბაღებში "სოროსის ჯგუფების" რაოდენობა ყოველ წელიწადს იზრდება, შესაბამისად, მატულობს მათ მიმართ ინტერესიც. ყოველ გაზაფხულ-ზაფხულზე, როდესაც მშობლები თავიანთი შვილებისათვის ბაღის შერჩევაზე იწყებენ ფიქრს, თავიდან ჩნდება კითხვა - რა არის ეს "სოროსის ბაღი," რით განსხვავდება ჩვეულებრივი ჯგუფებისაგან, როგორია გადასახადი, კვება და ა.შ.*

ნინო ცინცაძე

სოროსის ფონდის სკოლამდელი ასაკის ბავშვთა პროგრამამ - "ნაბიჯ-ნაბიჯ," რომელიც მიზნად ისახავს აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას, საქართველოში მუშაობა 1998 წლიდან დაიწყო. თავიდან ამ პროექტში ათი საბავშვო ბაღი ჩაერთო. დღეს კი ასეთი პროგრამა უკვე საქართველოს 57 საბავშვო ბაღის 201 ჯგუფში მუშაობს. ამ ჯგუფებში მოსწავლეთა საერთო რაოდენობა 5330-ს შეადგენს. თბილისის გარდა, ამ პროგრამით უკვე რუსთავის, გორის, ხაშურის, ქუთაისის, ფოთის, ოზურგეთის, ჭრებალოს, ცხინვალის, თელავის, ბათუმის, ამბროლაურის, თიანეთის, ბორჯომის, სადმელისა და მახინჯაურის ბაღებიც სარგებლობენ.

ბევრს შეიძლება გაუკვირდეს, - ბაღის ასაკის ბავშვებში რა დროს დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებააო, მაგრამ მერწმუნეთ: ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში დემოკრატიის ფასი კარგად იციან და სრულიად საფუძვლიანად თვლიან, რომ თუ ნორმალურ ქვეყანაში გინდა ცხოვრება, ბავშვის აღზრდა ამ მიმართულებით თავიდანვე უნდა დაიწყო. ამ მიზნის მიღწევას კი ორი რამ - შესაბამისი გარემო და ბავშვებთან ურთიერთობის შესაბამისი მეთოდი სჭირდება. ასეთ ჯგუფებში საკლასო ოთახები დაყოფილია ე.წ. აქტივობის ცენტრების მიხედვით, იქნება ეს ხელოვნების ცენტრი, სადაც ბავშვს საკუთარი სურვილის მიხედვით საშუალება აქვს ხატოს, ძერწოს ან რაიმე გამოჭრას, თუ მშენებლობის ცენტრი, რომელიც ბავშვებს საშუალებას აძლევს შემოქმედებითად გამოიყენონ ხის მასალისგან დამზადებული "კუბიკები" და სხვადასხვა მასალები, ანდა ქვიშისა და წყლის ცენტრი, სადაც ბავშვებს შეუძლიათ, ითამაშონ ასაწყავი საშუალებებით და ისეთი სათამაშოებით, რომლისთვისაც სხვადასხვა ფორმის მიცემა შეიძლება. ბავშვები ცენტრებს საკუთარი სურვილის მიხედვით ირჩევენ და ჯგუფურად ან ინდივიდუალურად თამაშობენ. კლასში მასწავლებელი ბავშვებთან ერთად რამოდენიმე სიტუაციურ წესს შეიმუშავებს ხოლმე. შემდეგ კი მოზარდები ცდილობენ, ამ წესებს დაემორჩილონ. მაგალითად, რა ხდება მაშინ, როდესაც ორი კაცი ერთად ლაპარაკობს? არავის არაფერი ესმის. აქედან წესი – დავაცადოთ ერთმანეთს საუბარი. ესეც დემოკრატიის ორი მთავარი პრინციპი: არჩევანის გაკეთების უნარი და სხვა ადამიანის პატივისცემა.

თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის სოროსის საბავშვო ბაღებში ეს ორი პრინციპი მთლად ისე ვერ მუშაობს, როგორც სასურველია. პირველ რიგში, ამას ხელს უშლის კლასებში ბავშვების სიმრავლე. წესით, ასეთ ჯგუფებში მოზარდების რაოდენობა ოცდახუთს არ უნდა აღემატებოდეს. თბილისში კი ასეთ კლასებში ბავშვთა საშუალო რაოდენობა ორმოცია, რომ არაფერი ვთქვათ ზოგიერთ ბაღზე, სადაც სიაში 52 ბავშვიც კი წერია. კიდევ კარგი, ყოველ დღე ყველა არ დადის. ასეთ სიტუაციაში "დემოკრატობანას" თამაში, დამეთანხმებით, ძნელია. ამიტომ არის რომ ბაღიდან შინ დაბრუნებული ჩვენი შვილები ხანდახან ჩივიან, - დღეს მარტო ერთი თამაში - "სიჩუმობანა" ვითამაშეთო.

ბევრს სოროსის სახელის გაგონებაზე ჰგონია, რომ ბავშვს ასეთ ჯგუფში თუ მოახვედრებს, მას უკეთ გამოკვებავენ. "შეცდომილთათვის" უნდა ითქვას, რომ ფონდს კვებასთან არავითარი საქმე არ აქვს. საქართველოში სახელმწიფო ბაღების ყველა ჯგუფში ყველას ერთნაირად და თანაც უვარგისად კვებავენ. ამ შემთხვევაში პრეტენზიებით ქალაქის მუნიციპალიტეტს და საბავშვო ბაღის ადმინისტრაციას უნდა მივმართოთ.

პროგრამისადმი ნეგატიურად განწყობილი ადამიანებისგან შეიძლება ისიც მოისმინო, რომ სოროსის ჯგუფები სხვა ჯგუფებისაგან მხოლოდ გადასახადით განსხვავდება. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ გადასახადის რაოდენობა პროგრამასთან არანაირ კავშირში არ არის. ამ აზრის გავრცელებაში დამნაშავე რამოდენიმე ბაღის ადმინისტრაციაა, რომლებიც, იმის გამო, რომ სოროსის ჯგუფებზე უფრო დიდი მოთხოვნილებაა, გადასახადსაც უფრო დიდს აწესებენ. სხვადასხვა ბაღში საფასურის რაოდენობა განსხვავებულია. თუ ვარკეთილელ მშობლებს ბავშვის ბაღში "შენახვა" 8 ლარი უჯდებათ, ცენტრში ეს სიამოვნება ზოგიერთ ბაღში 45 ლარი ღირს. ეს გადასახადი კი, ნაწილობრივ - კვებას, ნაწილობრივ - მასწავლებელთა ხელფასს და, ნაწილობრივ, მოწვეული მასწავლებლების ანაზღაურებას ხმარდება. რაც შეეხება მოწვეულ ხატვის, ინგლისურის, ცეკვისა თუ სხვა მასწავლებლებს, ანდა ბაღშივე არსებულ ასეთ წრეებს, რომელთა დაფინანსებაც მშობლებს უწევთ, სოროსის პროგრამით გათვალისწინებული სულაც არ არის. პირიქით, იმ პრინციპებისთვის, რასაც ეს პროექტი ემსახურება, ასეთი წრეების არსებობა ზედმეტიც კია. ის რომ ასეთ აქტივობებს სოროსის ჯგუფებში მაინც ადგილი აქვს, სკოლამდელი ბავშვების განათლების ჩვენს ეროვნულ პროგრამას უნდა "ვუმადლოდეთ."

არ ვიცი, განათლების ეროვნულ პროგრამაში რამდენად შედის საბავშვო ბაღში საახალწლო, საშემოდგომო, საზაფხულო, დამამთავრებელი და ა.შ. ზეიმების მოწყობა, მაგრამ ეს რომ "ნაბიჯ-ნაბიჯ" პროგრამის პრინციპებს ეწინააღმდეგება, ფაქტია. ბევრგან სასწავლო პროცესი ზეიმისათვის მზადებადაა გადაქცეული. ზეიმისთვის მომზადება რამდენიმე თვით ადრე იწყება. ბავშვები იზეპირებენ გრძელ ლექსებს, ყოველდღე გადიან რეპეტიციებს, შინ დაღლილები და აღგზნებულები ბრუნდებიან. ეს ყველაფერი კი მთავრდება ვიდეოკამერებიანი და ფოტოაპარატებიანი მშობლებითა და ნათესავებით გადაჭედილ დარბაზში, სადაც დაძაბული ბავშვები სრულიად უნიჭოდ დადგმულ პროგრამებს წარმოადგენენ. ვის სჭირდება ეს ყოველივე, გაუგებარია. მასწავლებლებს, რომ მშობლებისა და ქალაქის განათლების განყოფილების წარმომადგენლებთან თავი მოიწონონ, თუ – მშობლებს, თავიანთი შვილის ცეკვა-თამაშით ნათესავებისა და მეგობრების წინაშე რომ იამაყონ? დარწმუნებული ვარ, რომ თავად ბავშვებს ისეთი რამ უფრო გაეხარდებოდათ, რაც "სოროსის პროგრამაში" უკვე თავისთავად დევს. მაგალითად, სტაფილოს ზეიმი. ყოველგვარი რეპეტიციებისა და სტრესის გარეშე, ბავშვები თავად დაამზადებდნენ სტაფილოს სალათს, გააკეთებდნენ სტაფილოს დიდ აპლიკაციებს, დახატავდნენ, გამოძერწავდნენ ან, თუნდაც, შეჭამდნენ სტაფილოს და იქნებოდნენ უფრო ლაღები და ბედნიერები. მაგრამ, ალბათ, საბჭოური ზეიმების "ხიბლს" ჯერ კიდევ გადალახვა სჭირდება. იმედია, "სოროსის ბაღების" არსებობა დროთა განმავლობაში ამ საქმეში დაგვეხმარება.

და კიდევ ერთი, პროგრამაში "ნაბიჯ-ნაბიჯ" რელიგიური აღზრდა ჩადებული არ არის. გამომდინარე იქიდან, რომ ბაღში შეიძლება განსხვავებული კონფესიისა თუ ეროვნების წარმომადგენელთა ოჯახების შვილები სწავლობდნენ, "მამაო ჩვენოს" დღეში სამჯერ ხმამაღალი "დაგუგუნება" (ბევრს საბავშვო ბაღში გავრცელებული პრაქტიკა) დემოკრატიის განვითარებას ხელს ვერანაირად ვერ უნდა უწყობდეს. მაგრამ, ფონდის წარმომადგენლები ქართული რეალობიდან გამომდინარე, ამ საქმეში განსაკუთრებით არ ერევიან. ალბათ, თავისებურად მართლებიც არიან: ჩვენი საზოგადოებაში ძნელი არ არის მასონის, იეღოველის და უცხოეთის აგენტის იარლიყის მიწებება. რას იზამ, როგორც იტყვიან, დემოკრატია ლობიოობა არ უნდა გვეგონოს.

## მოკლედ

**თბილისი.** თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ თბილისის მერიის სტიპენდიანტ ბავშვებს გუშინ საზეიმო ვითარებაში გადასცა 50-50 ლარი და, მათი ნიჭიერებით მოხიბლულმა, საკრებულოს დეპუტატების ჩანაცვლება შესთავაზა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ თბილისის ბოტანიკურ ბაღში ახალი სამეურნეო-საორანჟერეო განყოფილება გაიხსნა და ახალდამონტაჟებული წყალსაქაჩი ძრავა ამოქმედდა. შედეგად, ბაღი საკმარისი რაოდენობის წყლით ყოველდღიურად მოირწყვება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** უახლოეს დღეებში იმერეთში დაიწყება მსოფლიო ბანკის პროექტების განხორციელება, რაც ოთხი წლის განმავლობაში რეგიონში გზების აღდგენისათვის 10 მილიონი ლარის დახარჯვას ითვალისწინებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილიდი.** ინსულტიის პრევინციასა და პროფილაქტიკას ეძღვნება ორდღიანი სემინარი, რომელიც გუშინ სასტუმრო "შერატონ მეტეხი-პალასში" დაიწყო. მასში აშშ-ს, ისრაელისა და ევროპის ქვეყნების ექსპერტები მონაწილეობენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურმა ქვემო ფონიჭალის დასახლების ტერიტორიაზე დიდი და უკანონო ნაგავსაყრელი აღმოაჩინა. ექსპერტების განცხადებით, იგი სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის ქალაქს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით, 20 მოსწავლე განათლების სამინისტროს შენობასთან მდებარე 80-კვ.მეტრიანი კედლის ერთი ნაწილს მოხატავს. მეცენატები მოსწავლეებს ნაყინითა და ცივი ჩაით გაახალისებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**რუსთავი.** რუსთავში მაწანწალა და მიუსაფარი ბავშვების ზუსტ რიცხვს ვერ ადგენენ, თუმცა ოფიციალურად აღრიცხულია ამ კატეგორიის 75 მოზარდი და მათი უმრავლესობა თბილისელია. **მედია-ნიუსი**

# ერთი დღე ბულვარში




საკრებულოს თავმჯდომარე და თბილისელები შეპირებულ ბულვარში.

ნანა ქადაგიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარემ და ქალაქის მთავარმა არქიტექტორმა საივნისოდ შეპირებული ბულვარი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე გუშინ ერთი დღით გახსნეს და ექსპერიმენტით თვითონაც მოიხიბლნენ და მოსახლეობაც. "თუკი პრეზიდენტი ხელს არ შეგვიშლის, მთელი ზაფხულის განმავლობაში მოქალაქეები აქ ფეხით ისეირნებენ, ხეების ჩრდილში დაისვენებენ, ნაყინსა და წვენებს მიირთმევენ და მტკვარზე კატერით ისრიალებენ", - შეჰპირდა სააკაშვილი გარს შემოხვეულ თბილისელებს.

საკრებულოს თავმჯდომარის მისვლამდე, ბულვარის ცენტრი, 300 არაგველის მემორიალის მიდამოები ჭრელ-ჭრელი ხალიჩებით მოეფინათ. სხვათა შორის, ხალიჩების დიდი უმრავლესობა ერთი პიროვნების, ელდარ მამედ-ზადეს საკუთრება გახლდათ. რამდენიმე ხალიჩა დანარჩენ მოქალაქეებსაც მიეტანათ და მოსეირნეები ბალახის ნაცვლად ხალიჩებზე დაბიჯებდნენ. მამედ-ზადეს ხალიჩებზე ნარდის სათამაშო მაგიდაც დაედგათ. ჟურნალისტებთან გასაუბრების შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარე ამ მაგიდას მიუჯდა და სახელდახელოდ არჩეულ პარტნიორთან, ნასიმ მეხტიოღლისთან ერთი ხელიც წააგო. ჯერ სუსტი მოთამაშე ხარ, მაგრამ ისწავლიო, - დაამშვიდა სააკაშვილი ნასიმმა, რომელსაც ეს მოგება ერთი თვე ეყოფა სატრაბახოდ.

საკრებულოს თავმჯდომარის წასვლის შემდეგ რამდენიმე მოქალაქემ საკუთარი ხალიჩები აკეცა და სახლში წაიღო. თუმცა, ბულვარში კიდევ ბევრი რამ დარჩა საინტერესო - მამედ-ზადეს ძვირფასი ხალიჩები, ბავშვების მიერ ფერადი ცარცით მოხატული ტრასა, მტკვრის ნაპირას სახელდახელოდ შემწვარი მწვადები, გასაყიდი წიგნებით სავსე დახლი და საკონცერტოდ მოწყობილი სცენა. ზაფხულში მეტეხიდან რესტორან "კრწანისამდე" თავისუფალ ადგილს ველარ ნახავთ - აქაურობა, ტრანსპორტის ნაცვლად, ღია კაფეებითა და დამსვენებელ-მოსეირნეებით იქნება გადატენილიო, - განაცხადა ქალაქის მთავარმა არქიტექტორმა.

ასე რომ, პრეზიდენტს საკუთარი მოსახლეობის სიამოვნებისთვის კრწანისის რეზიდენციამდე მიმავალი ტრასის დათმობა მოუწევს. პრეზიდენტმა ერთი ხეივანი დაგვითმოს და თვითონ მაგისტრალით იაროსო, - ამბობდნენ ხეების ჩრდილში ხალიჩებზე წამოგორებული მოხუცები.

## მოლარე

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს მოლარის თანამდებობის დასაკავებლად.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობა:**
**მოლარის ძირითადი მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:**

- ადგილობრივი მომწოდებლებისთვის საბანკო გადარიცხვების განხორციელება დამტკიცებული და აუცილებელი გადახდების ფარგლებში;
- ფულის მიმღებების გადამოწმება ფულის გაცემის დროის შესახებ, ფულადი გადახდების განხორციელება და გადახდის დამტკიცებულ მოთხოვნაზე თანდართული გადახდის ქვითრის მიღება;
- ბანკის ყოველდღიურად გადამოწმება ფულის კონვერტაციის შესახებ;
- ბუღალტრულ სისტემაში მონაცემების გატარება ნაღდი და უნაღდო ოპერაციების აღრიცხვის მიზნით;
- ყოველდღიურად ფულის ნაშთების და შესაბამისობის ანგარიშის მომზადება;
- ადგილობრივ ანგარიშზე ფულის ნარიცხის შესახებ მოთხოვნების გაგზავნა ("სითიბანკიდან" გადარიცხვების წარმოება);
- ბუღალტრისთვის ხელფასების უწყისის მომზადება;
- მონაცემთა დაარქივების ზუსტი სისტემის წარმოების ხელშეწყობა;
- საჭიროებისამებრ სხვა მოვალეობების შესრულება.

**სამუშაო გამოცდილება და განათლება:**
**სამუშაოზე აყვანის კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:**

- ბუღალტრული ჩანაწერების ანდა ხელფასის უწყისების წარმოების 1-2-წლიანი გამოცდილება;
- ზოგადი განათლების კარგი დონე, სასურველია ფინანსური დისციპლინის დამთავრების დიპლომი;
- პერსონალურ კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები (MS Word, Excel და ა.შ.);
- ინგლისურ/ქართულ/რუსულ ენებზე წერისა და ზეპირმეტყველების კარგი უნარი;
- ურთიერთობის კარგი უნარი და კოლეგიალობა;
- კანდიდატი უნდა იყოს საიმედო და ჰქონდეს მჭიდრო გუნდში მუშაობის უნარი.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2003 წლის 28 მაისი, ოთხშაბათი, 6.00 სთ. კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.
ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების დეპარტამენტი
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"

"ბი-პი ჯორჯია"
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა №38

## არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ოფიცერი

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიციურ პირებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ოფისერის თანამდებობის დასაკავებლად.
სამუშაოს აღწერა:
არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ოფისერი მთავრობასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფის (GPR) ძირითადი წევრი იქნება და პასუხს აგებს "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" მიერ საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ყოველდღიური ურთიერთობის დამყარებასა და შენარჩუნებაზე.
მოვალეობები და პასუხისმგებლობა:
არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ოფისერის ძირითადი მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:
ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემთა ბაზის შექმნა;
არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო სამუშაო ურთიერთობის დამყარება;
პროექტთან დაკავშირებულ თითოეულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ურთიერთობის მართვა და ამ ორგანიზაციასა და პროექტის წევრებს შორის კავშირების ანდა ინფორმაციის ურთიერთგაცვლის კოორდინირება;
არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტთან დაკავშირებული საქმიანობის შესახებ ყოველთვიური ანგარიშის მომზადება;
GPR-ის ჯგუფის დანარჩენ წევრებთან კოორდინირებით სტრატეგიის ფორმულირება;
არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის მიზნით ქმედითი საკომუნიკაციო გეგმის შემუშავება (სემინარები, შეხვედრები, მრგვალი მაგიდის დისკუსიები და ა.შ.);
პროექტის ხელმძღვანელობისთვის ინფორმაციის მიწოდება საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების "ბი-პი"-სთან კავშირში მყოფი საქმიანობის შესახებ;
საქართველოს პროექტის პერსონალისთვის, ასევე "ბი-პი"-ს ბაქოსა და ლონდონის ოფისებში მომუშავე კოლეგებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება;
საზოგადოებრივი და გარემოსდაცვითი ინვესტორების პროგრამების და მიწის საკითხების ჯგუფის თანამშრომლებთან ურთიერთობის დამყარება, პროექტის სფეროში შემავალ არასამთავრობო ორგანიზაციებს და მათ უფრო ფართო სექტორს შორის შეუფერხებელი კავშირის უზრუნველსაყოფად.

სამუშაო გამოცდილება და განათლება:
სამუშაოზე აყვანის კანდიდატი ძალიან კარგად უნდა იცნობდეს საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელს და სასურველია ამჟამად გააჩნდეს ამ ორგანიზაციებთან ურთიერთობის გამოცდილება. მას მჭიდრო კონტაქტები უნდა ჰქონდეს დამყარებული საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელთან. კანდიდატი მოვალეა იმუშაოს ენთუზიაზმით, იყოს თვითმოტივირებული და შეძლოს საკუთარი მოსაზრებებისა და იდეების გაზიარება და განხორციელება მინიმალური ზედამხედველობის პირობებში. მას უნდა გააჩნდეს შემდეგი კვალიფიკაცია:
უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომი;
საჭიროებიდან გამომდინარე ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე წერის, ზეპირმეტყველების და პრეზენტაციის შესანიშნავი უნარი;
დიპლომატიურობა;
კომპიუტერთან მუშაობის კარგი უნარ-ჩვევები.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ განაცხადის წერილი და თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2003 წლის 30 მაისი. კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.
ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების დეპარტამენტი
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"

"ბი-პი ჯორჯია"
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა №38

# პოტენციურ მოწინააღმდეგეს "ალფა" რუსულად მიმართავდა

ლენა მიქაძე

*„ძველ დროს ჟურნალისტებს ამ შენაერთში ვინ შემოუშვებდა. ასეა ბატონო, წინ მივდივართ", - გვაცილებდნენ უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები ჟურნალისტებს სპეცდანიშნულების რაზმ „ალფას" შტაბიდან. 26 მაისს უშიშროების მინისტრმა, სამინისტროების სხვა წარმომადგენლებთან ერთად ბატალიონი მოინახულა და მეომრების საბრძოლო სულისკვეთებაში, სპეციალურად ამ შემთხვევისთვის დადგმული სანახაობით, კიდევ ერთხელ დარწმუნდა.*



უშიშროების მინისტრმა გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიიღო.



გოგიტა ბაბაიძის ფოტო

ნიღბიანმა "სპეცნაზელებმა" საინტერესო სანახაობა მოაწყვეს.

პრეზიდენტის მიერ თვად გენერალ-ლეიტენანტის წოდებით დაჯილდოებულმა ხაბურძანიამ ბატალიონის წევრები სახელმწიფო ჯილდოებით დაასაჩუქრა. წოდება-ჯილდოები ამ დღეს სამინისტროს თანამშრომლებმაც მიიღეს. საზეიმო ცერემონიალმა პრესის წარმომადგენლებისთვის დახურულ კარს მიღმა ჩაიარა - ისევ და ისევ უშიშროების სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე. პრესის მიერ „ლუსტრირებულთა" შორის მხოლოდ უშიშროების მინისტრის მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილი და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნიკა ლალიაშვილი აღმოჩნდნენ.

სანახაობა კი მართლაც საინტერესო გახლდათ. ნიღბიანმა „სპეცნაზელებმა" რამდენიმე "სცენა" წარმოადგინეს. საამისოდ ისინი არც ქვიან ნიადაგზე კოტრიალს მორიდებიან და არც მიზანში სროლა დაზარებიათ. „ტერორისტიც", რუსულ ენაზე რამდენიმე მიმართვის შემდეგ, საკმაოდ ჩაუქად განაიარაღეს.

**„აფახაზეთის ქვედანაყოფი დროებით ჩვენთან მოავლინეს, რადგან ჩვენ ცოტა მეტი საშუალებები გვაქვს - როგორც ტექნიკური, ისე ფინანსური თვალსაზრისით. კმაყოფილი ვარ, რადგან დღეს მათ მხოლოდ უბრალო სანახაობა როდი წარმოადგინეს. ამ ბიჭებს მართლა აქვთ საბრძოლო გამოცდილება - მძევლის გათავისუფლებით დაწყებული, ტერორისტების აყვანით დამთავრებული. რუსულენოვანი მიმართვა პოტენციური მოწინააღმდეგისათვის უფრო გასაგებია. დანაყოფი 1994 წლიდან არსებობს, უბრალოდ ახლა ცენტრში გადმოიყვანეს,"** - გენერალ-ლეიტენანტი ვალერი ხაბურძანია კმაყოფილებას არ მალავდა.

**„ეს ნაწილი გარდაბანში მყოფი სპეცდანიშნულების რაზმის განაყოფია. ბატონი ვალერის თაოსნობით ნაწილი გადმოსროლილია აქეთ, რათა სპეციალური მომზადება გაიაროს. ამის შემდეგ, ასეთ მომზადებას სხვა დანაყოფები გაივლიან. ეს ბიჭები სხვადასხვა ოპერაციებში იღებდნენ მონაწილეობას, მათ შორის - პანკისის ოპერაციაში, "** - უფრო სიტყვაუხვი აღმოჩნდა აფხაზეთის უშიშროების მინისტრი ლევან კიკნაძე. თუმცა, თუ რამდენი დანაყოფი ჰყავს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას, ან რამდენი გაივლის კიდევ წვრთნას, მას აღარ დაუკონკრეტებია. იმდენი ვთქვი, რამდენიც საჭიროაო.

# ამერიკული პროექტი წარმატებით განხორციელდა

ქართულმა მხარემ თავი არ შეირცხვინა და დროულად დაასრულა ქართული კრიმინალისტიკის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტი. ლაპარაკია საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის დაფინანსებით საფუძველჩაყრილ წამოწყებაზე. საქმე ის გახლავთ, რომ აშშ-სა და საქართველოს მთავრობათა შორის შეთანხმების საფუძველზე, პირველად პოსტსაბჭოთა სივრცეში, საქართველოში შეიქმნა თითის ანაბეჭდების საინფორმაციო ბანკი, ანუ ეჭვმიტანილების, პატიმრების, მსჯავრდებულებისა და საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილე სამართალდამცველთა თითის ანაბეჭდების კომპიუტერული ბანკი, რომელიც გამოძიებას დაეხმარება ეჭვმიტანილ დამნაშავეთა და სამართალდამცველთა თითის ანაბეჭდების ერთმანეთისგან გარჩევაში.

ამერიკული მხარის მოთხოვნით, თითის ანაბეჭდების აღება და საინფორმაციო ბანკის ამოქმედებისთვის საჭირო 1000 დაქტილობარათი 23 მაისს უნდა ყოფილიყო მზად. საქართველოში ამ პროექტის ხელმძღვანელის, იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის დირექტორის მაია ნიკოლეიშვილის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ამ პროექტის დასრულებას არაერთი დაბრკოლება შეექმნა - როგორც ობიექტური, ისე ხელოვნურად ინსპირირებული, სამუშაოები მაინც დროულად, წარმატებით დასრულდა.

# თავდასხმა საარჩევნო უბანზე

სომხეთში, არარატის ოლქის ერთ-ერთ საარჩევნო უბანში მომხდარი ინციდენტის შედეგად დაიღუპა ერთი და დაიჭრა სამი ადამიანი. ინციდენტი სოფელ შაუმიანში კვირას, საღამოს მოხდა.

როგორც სომხეთის პოლიციის პრესსამსახურის უფროსმა, პოდპოლკოვნიკმა არტაკ ვართაზარიანმა განაცხადა, ავტომატით აღჭურვილი 51 წლის უმუშევარი ტარზან ენოკიანი დაახლოებით ცხრის ნახევარზე გამოჩნდა სოფლის სკოლის ეზოში, სადაც განლაგებული იყო საარჩევნო უბანი. შეკამათების შემდეგ მან ავტომატიდან გასროლით მოკლა 60 წლის ვრეჟ ავეტისიანი.

მორიგი გასროლით ტარზან ენოკიანმა დაჭრა უბნის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, სოფლის მამასახლისი ნვერ კარაპეტიანი და ოპოზიციური ბლოკის "სამართლიანობის" ნდობით აღჭურვილი პირი რაფიკ ოგანესიანი. მორიგე პოლიციელმა, რომელიც შენობას იცავდა, თავდამსხმელი განაიარაღა, მაგრამ თავად დაიჭრა.

მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით განცხადებები გააკეთეს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის და ეუთო-ს დამკვირვებელთა მისიის წარმომადგენლებმა, რომლებმაც დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა მოითხოვეს. „მსგავსი ქმედებები ჩრდილს აყენებს ქვეყანაში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებს ", — განაცხადეს დამკვირვებლებმა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს გამოძიება. წინასწარი მონაცემებით, მკვლელობას უშუალოდ არჩევნებთან კავშირი არა აქვს, როგორც ჩანს, იგი უფრო საყოფაცხოვრებო ხასიათისაა.

# ძებნილი ბანკირი მოსკოვში დააკავეს

*რუსეთის მსხვილი საფინანსო ორგანიზაციის - „ბინ-ბანკის" ერთ-ერთი ყოფილი ხელმძღვანელი ჯანი მიხაილოვი გასულ კვირას რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამძებროს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს. როგორც გაირკვა, ბიზნესმენს უკვე რამდენიმე წელია ქართველი სამართალდამცველები ეძებენ. ადრე ჯანი მიხაილოვი თბილისის კომერციული ბანკის – „თბილკომბანკის" მმართველობაში შედიოდა, თუმცა, მას შემდეგ, რაც მის მიმართ გაჩნდა ეჭვი საბიუჯეტო ნახევარი მილიონი დოლარის დატაცების შესახებ, ბანკირმა მოსკოვს შეაფარა თავი.*

სოფიკო ჩხაიძე

გუშინდელი დღესასწაულის გამო ქართველ სამართალდამცველებთან დაკავშირება და მათგან მიხაილოვის შესახებ ინფორმაციის მიღება შეუძლებელი აღმოჩნდა. რაც შეეხება რუსულ წყაროებს, რუს სამართალდამცველებს მოეპოვებათ ინფორმაცია, რომ 90-იანი წლებში ჯანი მიხაილოვმა მუშაობა დაიწყო „თბილკომბანკში" და მალე გენერალური დირექტორის თანამდებობასაც მიაღწია. 1998 წლის კრიზისის შემდეგ, რომელიც რუსეთთან ერთად ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებსაც შეეხო, მიხაილოვმა საერთაშორისო ფინანსურ კორპორაციასთან დადო ხელშეკრულება „თბილკომბანკისთვის" 3 მილიონ დოლარიანი საკრედიტო ხაზის გახსნის შესახებ. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს თანხები საკმარისი არ აღმოჩნდა. რუსეთის სისხლის სამძებროს მიერ მოპოვებული ინფორმაციით, „თბილკომბანკმა" დახმარებისთვის საქართველოს ეროვნულ ბანკს მიმართა, საიდანაც უძრავი ქონების გარანტიაში ჩადებით მიიღო მსხვილი კრედიტი.

ქართული სპეცსამსახურების ცნობით, ამ კრედიტიდან 600 ათასი ლარი (მაშინდელი სავალუტო კურსით – 500 ათასი დოლარი), მიხაილოვის მითითებითა და სხვადასხვა საბაბით გადაირიცხა გაურკვეველი წარმომავლობის ფირმების ანგარიშებზე, რომლებიც, საბოლოოდ, ბანკირის მეგობრების სახელებთან აღმოჩნდა დაკავშირებული. ამ ანგარიშებზე გადარიცხული თანხები კი, ცხადია, დატაცებულ იქნა. ხოლო, როდესაც ქართველმა სამართალდამცველებმა ამ თანხების ძიებას მიჰყვეს ხელი, მიხაილოვი მოსკოვში გაიქცა. აღსანიშნავია, მან საქართველოს საზღვრებიც დანაშაულებრივი გზით დატოვა. როგორც მოსკოველმა ოპერმუშაკებმა შეიტყვეს, მან სმოლენსკის ოლქის შინაგან საქმეთა სამმართველოში წარადგინა ვითომდა საქართველოში რუსეთის საელჩოს მიერ გაცემული ცნობა რუსეთის მოქალაქეობის შესახებ და რუსეთის პასპორტიც მიიღო. ამის შემდეგ მას გზა ხსნილი ჰქონდა და დაიწყო კიდეც მუშაობა „ბინ-ბანკში". იერარქიულ კიბეზე აღმასვლა მიხაილოვმა კლიენტების მომსახურების განყოფილების რიგითი თანამშრომლის პოსტიდან დაიწყო. ამჟამად „ბინ-ბანკის" ხელმძღვანელობა ამტკიცებს, რომ მიხაილოვი 2002 წლის სექტემბერში გაათავისუფლეს კორპორატიული ფინანსების სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობიდან. თუმცა, სისხლის სამართლის სამძებროს მიერ მოპოვებული ინფორმაციით, მას ჯერ კიდევ წელს, აპრილში ეკავა გაცილებით მნიშვნელოვანი თანამდებობა – „ბინ-ბანკის" ვიცე-პრეზიდენტის პოსტი.

როგორც რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება, მიხაილოვი მას შემდეგ „ჩავარდა", რაც სამინისტროსგან მოითხოვა რუსეთის ტერიტორიაზე მისი დევნის შეწყვეტა. არგუმენტად რუსეთის მოქალაქეობა გამოიყენა, რაც საკმარის პირობად მიაჩნდა იმისთვის, რომ საქართველოსთვის არ გადაეცათ. თუმცა, რუსმა სამართალდამცველებმა მალევე გაარკვიეს, რომ რუსული პასპორტი მან ყალბი ცნობის საფუძველზე მიიღო და, შესაბამისად, მისი რუსეთის მოქალაქეობაც ყალბია. გასული კვირის ბოლოს კი ოპერატიული მუშაკები მას კაფეში შეხვედრაზე შეუთანხმდნენ და იქვე დაადეს კიდეც ხელბორკილები. უახლოეს მომავალში მილიცია მიხაილოვის საქმეზე შეკრებილ მასალებს გენერალურ პროკურატურას გადასცემს, სადაც მისი საქართველოში ექსტრადიციის საკითხს გაარკვევენ.

# ბრიტანელები დაკარგული პასპორტების ბედით აღშფოთებულნი არიან

ბრიტანეთის პარლამენტის დეპუტატი პოლ ბურსტოუ შეშფოთებულია იმ 11 ათას 500 ცალი ბრიტანული პასპორტის ბედით, რომლებიც გასული ოთხი წლის მანძილზე დაიკარგა. ლიბერალ-დემოკრატი ბურსტოუ არ გამორიცხავს, რომ ეს პასპორტები ტერორისტებს ჩავარდნოდათ ხელში და ამიტომ სასწრაფოდ ითხოვს გამოძიების დაწყებას.

**„ეს ან სრული დაუდევრობაა სამეფო ფოსტის მხრიდან, რომელსაც მოქალაქეებისთვის პასპორტების გაგზავნა ევალება, ან კი მეტყველებს იმაზე, რომ არსებობს მოპარული პასპორტების შავი ბაზარი"**, - მიიჩნევს დეპუტატი.

საქმე ის გახლავთ, რომ დიდ ბრიტანეთში სრულიად ნორმალურად ითვლება სხვადასხვა საელჩოებსა თუ სახელმწიფო დაწესებულებებში პასპორტების ფოსტით გაგზავნა. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, რომელსაც უშუალოდ ეხება სამეფოში საპასპორტო საქმეების კურირება, ამბობს, რომ ხელისუფლება ფოსტის ხელმძღვანელობასთან ერთად უკვე მსჯელობს, როგორ გააძლიეროს საფოსტო გზავნილების უსაფრთხოების დაცვა.

ბურსტოუ ფიქრობს, რომ პასპორტების გადაგზავნა უნდა წარმოებდეს მხოლოდ შეკვეთილი წერილებით.

ბრიტანეთში ყოველწლიურად ფოსტის გავლით 5,5 მილიონი პასპორტი იგზავნება და აქედან დაახლოებით 3 ათასი უგზო-უკვლოდ ქრება. სწორედ ამ პასპორტების ბედი აწუხებს დეპუტატს და ყოველივეში ბოროტმოქმედებს ადანაშაულებს.

ამასობაში დაკარგული პასპორტების გამო საზოგადოება საკმაოდ შეშინდა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის - ახლახან ქვეყანაში უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომების მიღების შესახებ გამოაცხადეს. პარლამენტის შენობის ირგვლივ ბეტონის ბლოკები აღმართეს, ბრიტანეთის დედაქალაქის აეროპორტებში სადღეღამისო პატრულირება დაწესდა. პოლიციამ კი ბრძანება მიიღო სავარაუდო ტერორისტი-კამიკაძეები გამაფრთხილებელი გასროლის გარეშე დახოცოს. როგორც ცნობილია, ბრიტანეთის პოლიცია და კონტრდაზვერვა სამეფოს ტერიტორიაზე მყოფ ორ ადამიანს ეძებს, რომლებმაც, ამერიკელების მიერ დაკითხული „ალ ქაიდას" წევრების თქმით, ავღანეთის კამიკაძეების ბანაკში გაიარეს მომზადება.

# აფხაზებმა პარტიზანული წარსული არ აპატიეს

ცნობილი გახდა რამდენიმე დღის წინ გალის რაიონში მოკლული აბესალომ არქანიას მკვლელობის დეტალები. აბესალომ არქანია წარმოშობით გალის რაიონის სოფელ სიდადან იყო. იგი ადრე ერთ-ერთი ქართული პარტიზანული დაჯგუფების წევრი გახლდათ, მაგრამ პარტიზანების მიერ გამოცხადებული მორატორიუმის შემდეგ აღარ იბრძოდა.

ინფორმირებული წყაროს მეშვეობით ცნობილი გახდა, რომ 14 მაისს წმინდის ჩასატარებლად გალის რაიონის სოფლებში შევიდნენ სეპარატისტთა ე.წ. ანტიტერორისტული ჯგუფები - ვალმერ ბუთბას და ალექსანდრე ტურანბას ხელმძღვანელობით.

გალის რაიონის სოფელ სიდაში ბუთბა და ტურანბა ყველაზე დიდ ხანს გაჩერდნენ. მათ არძინბასგან მიღებული ჰქონდათ ბრძანება - ნებისმიერი საბაბით დაეპატიმრებინათ არქანია. მათ სიდაშივე, ერთ-ერთი შენობის დანგრევის ბრალდებით, ტყვედ 11 ქართველი აიყვანეს, რის შემდეგ არქანიას სახლშიც შეიჭრნენ. სეპარატისტებს არქანიას ცოცხლად აყვანა ჰქონდათ ნაბრძანები, ამიტომ პარტიზანს წინააღმდეგობის გაწევის გარეშე ჩაბარება უბრძანეს. საბოლოოდ, რაკი აფხაზები დარწმუნდნენ, რომ არქანიას ცოცხალს მაინც ვერ აიყვანდნენ, მოკლეს და ცხედარი სოფელ ჭუბურხინჯთან გამავალ სარკინიგზო მაგისტრალთან დააგდეს.

*მედია-ნიუსი*

# პატიმართა შიმშილობის ორგანიზატორი ახალი აქციებით იმუქრება

პირველი გვერდიდან

პატიმრის გათავისუფლების შემდეგ გაჩნდა ვერსიები, რომ ხელისუფლებამ შემდგომი აქციებისგან თავი დაიზღვია და ორგანიზატორული ნიჭით გამორჩეული გოგნაძე საპატიმროს მოარიდა. გოგნაძე აფხაზეთიდანაა დევნილი. მონაწილეობას იღებდა საბრძოლო მოქმედებებშიც. ბოლო სასჯელი აბელ გოგნაძემ წყალტუბოში ჩადენილი ყაჩაღობისთვის მოიხადა, რის შემდეგაც ოჯახს დაუბრუნდა, მაგრამ 2002 წლის 20 თებერვალს კვლავ დააპატიმრეს იარაღისა და ნარკოტიკის უკანონო შენახვისთვის. აბელ გოგნაძე ამ დღეს შემდეგნაირად იხსენებს: **„საღამოს ექვს საათზე თერჯოლელი და თბილისიდან ჩამოსული პოლიციელები ჩემთან სახლში შემოვიდნენ და ჩხრეკის ჩატარება დააპირეს. მე წინააღმდეგობა არ გამიწევია, მხოლოდ თვალყურს ვადევნებდი, რომ არაფერი ჩაედოთ. მათ რაიმეს ძებნით თავი დიდად არ შეუწუხებიათ, პირდაპირ აივანზე გავიდნენ და საწოლის ქვემოდან ჩანთა გამოიტანეს, საიდანაც ავტომატი და ტყვიები ამოიღეს. ვითარებიდან გამომდინარე მივხვდი - იარაღი ჩამიდეს, რომ მემტკიცებინა, არავინ დამიჯერებდა. ამიტომაც იქვე განვაცხადე: ჩათვალეთ, რომ იარაღი ჩემია, აფხაზეთის ასაღებად ვაპირებდი წასვლას-თქო. ამის შემდეგ ჩანთაში სამხედრო ფორმაც აღმოჩნდა, რომლის ჯიბეშიც 13 გრამი მარიხუანა ყოფილა."**

აბელ გოგნაძე ამტკიცებს, რომ იარაღისა და ნარკოტიკების ჩადება პოლიციას მისი დაკავებისათვის და სხვა დანაშაულში ბრალის წაყენებისთვის სჭირდებოდა. საქმე ისაა, რომ სამართალდამცველები ერთ-ერთი მოქალაქის შვილის გამტაცებელს ეძებდნენ, რომელიც გარეგნულად ძალიან ჰგავდა აბელ გოგნაძეს. პოლიციელთა ჯგუფი თბილისიდან თერჯოლაში ამიტომაც იყო ჩასული. თუმცა, მოგვიანებით გოგნაძეს ეს ბრალდება მოეხსნა.

**„მიმიყვანეს თერჯოლის პოლიციის განყოფილებაში სამძებროს უფროსის გოჩა გურულის კაბინეტში, შემოვიდნენ ჩემთვის უცნობი პოლციელები და დამიწყეს დავა - შენი ავტომატი ჩვენ საერთოდ არ გვაინტერესებს, გვითხარი, სად გყავდა გადამალული ბავშვიო. ერთ-ერთმა მათგანმა თავი ადვოკატად გამაცნო, მერე მითხრა: პირდაპირი კავშირის ტელეფონი მაქვს და შენს წინაპრებთან დაგალაპარაკებო. გახსნა ჩემოდანი და იქედან დენის აპარატი ამოიღო. დენზე შემაერთეს, თან მუშტებით მირტყამდნენ. წამებამ დაახლოებით საათნახევარი გასტანა. წამების შედეგად ისეთი სისხლდენა დამეწყო, რომ მივხდი, ვკვდებოდი. როდესაც გაირკვა, რომ გატაცებასთან შეხება არ მქონდა, პოლიციელები ხვეწნაზე გადავიდნენ - თბილისიდან ჩამოვედით, ცარიელი ხომ არ წავალთ, ერთი საქმე მაინც გაგვახსნევინეო. იმ დონეზე მიმიყვანეს, რომ ვთქვი: რაც გინდათ, დაწერეთ და ხელს მოგიწერთ-თქო. თუმცა, საბოლოოდ, ბრალდება მარტო იარაღზე და ნარკოტიკებზე წამიყენეს,"** - აცხადებს გოგნაძე.

ქუთაისის ციხეში გადმოსვლის შემდეგ იგი საჩივარს წერს და მის სახლში აღმოჩენილ ნივთებზე ოდოროლოგიური ექსპერტიზის ჩატარებას ითხოვს. ექსპერტიზის შედეგად არც ჩანთას და არც სამხედრო ფორმას გოგნაძის სუნი არ აღმოაჩნდა. ქუთაისის სასამართლოს საქმე განსახილველად გადაეცა გასული წლის აგვისტოს დასაწყისში. რამდენიმე დღის წინ კი, სასამართლომ საქმე დამატებით გამოძიებაში დააბრუნა, ხოლო გოგნაძე სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ დატოვა. მიუხედავად ამისა, ყოფილი პატიმარი სასამართლოს გადაწყვეტილებით კმაყოფილი არ არის. მისი ადვოკატი აღნიშნულ გადაწყვეტილებას საოლქო სასამრთლოში უპირებს გასაჩივრებას და გოგნაძის სრულ გამართლებას ითხოვს.

ცალკე წერილის თემაა ის სერიოზული ბრალდებები, რომელსაც გოგნაძე თერჯოლის პოლიციას - კონკრეტულად, მის უფროსს უყენებს.

**„1999 წლის ოქტომბერში ციხიდან გამოვედი. თერჯოლის კრიმინალური პოლიციის უფროსმა თამაზ ისაკაძემ ჯერ რაიონის დაუყოვნებლივ დატოვება მომთხოვა, შემდეგ კი თანამშრომლობა შემომთავაზა: რა დროს ლექსების წერაა, ჩამოაყალიბე ბანდა და ფული ვიშოვოთო. ოღონდ დანაშაულის შესახებ დროზე მაცნობე, კვალის დაფარვა მოვასწროოო. თუ გაუხსნელი საქმეების გახსნაშიც მომეხმარები, უკეთესი იქნება, უფროსის სავარძელში მალე გადავბარგდებიო. იმ დონეზე მიმიყვანეს, რომ პოლიციის შენობას სამჯერ შემოვუარე, აფეთქების ორგანიზებას ვაპირებდი. ამის თაობაზე განცხადება გავაგზავნე გენერალურ პროკურატურაში, თუმცა, ჩემთან არავინ მოსულა და არაფერი უკითხავს,"** – ამბობს აბელ გოგნაძე.

ქუთაისის საპყრობილეში ყოფნისას აბელმა ზემოთ აღნიშნული დენის აპარატის შენახვის ადგილიც შეიტყო და ამის შესახებ პროკურატურას აცნობა. გოგნაძე მიუთითებდა, რომ აღნიშნული აპარატი ზესტაფონის პოლიციაში, მეორე სართულზე ინახებოდა. საქმე შესასწავლად გადაეცა თერჯოლის პროკურატურას, თუმცა მათ ვერაფერს მიაგნეს. **„არ არის გამორიცხული, რომ ინფორმაციამ გაჟონა და აპარატი გადამალეს. არადა, ეს აპარატი ჩემი განცხადების შემდეგაცაა გამოყენებული. ზესტაფონში მისი ხმარება ჩვევად აქვთ. ქუთაისის საპყრობილეში ზესტაფონიდან გადმოყვანილი თითქმის ყველა პატიმარი აღნიშნული აპარატითაა ნაწამები,"** – აცხადებს აბელ გოგნაძე.

პროკურატურის მიერ არ დადასტურდა გოგნაძის ცემა-წამების ფაქტები. გოგნაძის ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფენ თერჯოლის პოლიციაში.

**„პატიმართა მასიურ შიმშილობას ჩემს საქმეზე ზეგავლენა არ მოუხდენია. ამ საქმეში უდანაშაულო ვიყავი და მაინც გამოვიდოდი. აქციის შედეგი კი როგორიც მინდოდა, ისეთი არ გამოვიდა. კომისიაში ჟურნალისტებისა და არასამთავრობოთა ჩართვას ვერ მივაღწიე. შეგვეშინდა - ქვეყანა სამოქალქო ომის ზღვართან იყო მისული, მაგრამ თუკი პროკურატურის კომისია პატიმართა საქმეების შესწავლისას ობიექტური არ იქნება, უფრო მასშტაბურ აქციებს მოვაწყობთ,"** - აცხადებს გოგნაძე.

## მოკლედ

**თბილისი.** გორის „გაერთიანებული დემოკრატების" ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრის ანდრო მინდიაშვილის გატაცების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე გორის რაიონის პროკურატურაშია აღძრული. მინდიაშვილი გუშინწინ დაიკითხა და სხეულზე ექსპერტიზაც ჩაუტარდა. შიდა ქართლის ოლქის პროკურორის ამირან ნოზაძის განცხადებით, მინდიაშვილის გატაცებაში ეჭვმიტანილი ჯერჯერობით არ არსებობს. სისხლის სამართლის საქმეზე გადაწყვეტილების მიღება მას შემდეგ გახდება შესაძლებელი, რაც ექსპერტი, მინდიაშვილის სხეულზე ჩატარებული გამოკვლევის დასკვნას გამოძიებას მიაწვდის. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ანდრო მინდიაშვილის განცხადებას, რომ იგი ელექტროშოკით აწამეს, კატეგორიულად გამორიცხავს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ცენტრის ხელმძღვანელი მაია ნიკოლეიშვილი. ექსპერტი არც იმაშია დარწმუნებული, რომ მინდიაშვილის სხეულზე ამოკაწრული წარწერა „კმარა, გოგი!" ძალადობით იყოს ჩადენილი. „დაზარალებულს ვთხოვე, წარმოედგინა ის ტანსაცმელი, რომელიც გატაცებისას ეცვა, რაც დღემდე არ წარმოუდგენია. ეს ფაქტი მის მიერ წარმოდგენილ ფაბულას მასზე ძალადობის გამოყენების ნაწილში ეჭვქვეშ აყენებს", — აცხადებს ექსპერტი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის სამხარეო პოლიციის სამმართველოს უფროსი ზაზა ძნელაძე რეგიონში განხორციელებული საკადრო ცვლილებებით კმაყოფილია და "ბოლო ერთი თვის მანძილზე დამყარებულ წესრიგსა და შესამჩნევ სტაბილურობას" სწორედ ამ ცვლილებებს მიაწერს. ცოტა ხნის წინ, ჭიათურაში, პოლიციის უფროსის თანამდებობაზე საჩხერის პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილე დავით წერეთელი დაინიშნა. დაახლოებით ორი კვირაა, რაც სამტრედიის პოლიციის უფროსის პოსტზე ავთანდილ ვასაძე დაინიშნა, მანამდე იგი ჩოხატაურის რაიონის პოლიციის უფროსი იყო. ჯერჯერობით, ისევ ვაკანტურია ბაღდათის პოლიციის უფროსის პოსტი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოხუმის ხელისუფლების შინაგან საქმეთა მინისტრის აბესალომ ბეიას მტკიცებით, აფხაზური მხარე ზაფხულის თვეებში ქართველი პარტიზანების მოსალოდნელ გააქტიურებას დაუპირისპირებს გალის რაიონში საპასპორტო რეჟიმის გამკაცრებას. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 28 მაისს, ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში მუშაობას დაიწყებს ევროპის ქვეყნების გენერალურ პროკურორთა 4-დღიანი საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც საქართველოდან მონაწილეობას მიიღებს მთავარი სამხედრო პროკურორი გია ჯიქია. კონფერენცია კორუფციასთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საკითხებს შეეხება. კონფერენციაზე, ევროპის წამყვანი ქვეყნების გენერალურ პროკურორებთან ერთად, ევროსაბჭოსა და ევროკომისიის ექსპერტებიც არიან მიწვეულნი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე მიიჩნევს, რომ ქართველმა სამართალდამცავებმა სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტების დაცვა განსაკუთრებით უნდა გააძლიერონ, რათა სამეგრელოს რეგიონში წინასაარჩევნოდ მოსალოდნელი დესტაბილიზაცია თავიდან იქნას აცილებული. **ინტერ-პრესი**

# "ვარჩიეთ ვყოფილიყავით ზვიადნი, ვიდრე ჯაბანნი"

A3 გვერდიდან

გასაგები მიზეზების გამო, არ გამოვაცხადეთ, რადგან ეს იმდროინდელ საქართველოში დიდ პანიკას და სკანდალს გამოიწვევდა. მაშინაც და შემდეგაც ზვიადის ბრალდების ერთადერთი ობიექტი რუსეთი იყო. რუსეთი კი იმ მოვლენებში მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა. რუსებმა ზვიადის დამხობაში მხოლოდ ფიზიკური დახმარება გაუწიეს პუტჩისტებს, რადგან 9 აპრილის შემდეგ მათ სახელი ისედაც გატეხილი ჰქონდათ.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ კიტოვანს და პუტჩისტებს ამერიკისგანაც მწვანე შუქი ჰქონდათ და რუსებისგან - ფიზიკური ძალით დახმარება, ისინი მაინც ვერაფერს გახდებოდნენ, მთავრობის სახლთან ომის დაწყების დღეს ათი ათასი კაცი მაინც რომ მდგარიყო. მათ სწორედ ამით ისარგებლეს და დაგვარტყეს დილით, გამთენიისას, იმიტომ, რომ იცოდნენ, შუადღისას იქ ხალხი მოვიდოდა. ეს ასე შემთხვევით ხომ არ ხდება. მომენტი სპეციალურად იყო შერჩეული. ისინი, უბრალოდ, ერთ რამეში შეცდნენ. მათ ეგონათ, რომ ჩვენ მაშინვე გავიქცეოდით. ჩვენ რომ გავქცეულიყავით, კიტოვანი, იოსელიანი და სიგუა სახელმწიფოს სათავეში დღემდე იქნებოდნენ. შევარდნაძის ჩამოყვანა მაგათ არ დასჭირდებოდათ. მაგრამ იმ დღეებმა დაადასტურა, რომ ისინი სისხლიანები და პუტჩისტები იყვნენ.

**გოჩა ბახია:** იმ დროს ხალხიც არ იყო მზად იმისათვის, რომ პუტჩისტების ლოკალიზება მომხდარიყო. ამისათვის თბილისის ზღვის მაგალითიც კმარა, როდესაც სამთავრობო ძალებმა ყარყარაშვილს და მის დაჯგუფებას ალყა შემოარტყეს და მათი დაკავება თავისუფლად შეიძლებოდა. იმ დროს გამოვიდა სახალხო ფრონტი, კერძოდ, ნოდარ ნათაძე, ამოიყვანა თბილისის ზღვაზე თავისი მხარდამჭერები და მოუწოდა ხალხს, რომ ჩვენთვის ხელი შეეშალათ. ქართველ ბიჭებს კლავენო - აცხადებდა ნათაძე. ხალხიც აჰყვა და ხელისუფლება იძულებული გახდა, შეეწყვიტა ოპერაცია. მაგრამ ამ ძალის ნეიტრალიზებაც არ ნიშნავდა იმას, რომ ჩვენ პუტჩებს ავიცილებდით. პუტჩები გაგრძელდებოდა. სხვათა შორის, 21 დეკემბერს გვქონდა ინფორმაცია, რომ შეტევა დაიწყებოდა. მაგრამ ყველას და, მათ შორის მეც, გულში გვქონდა იმედი, რომ ისინი ამ ნაბიჯს არ გადადგამდნენ, იმიტომ, რომ იქითა მხარეს ჩვენი მეგობრები და ყოფილი თანამებრძოლები იდგნენ. ამ ომმა კი ჩვენს მეგობრობას, სიყვარულს და პატივისცემას შორის ნაჯახივით გაიარა. მაგრამ სამწუხაროა, რომ ჩვენს ხელისუფლებაშიც, მათ შორის, ვინც ერთად უნდა ვმდგარიყავით, ბევრი მოღალატე იყო. თბილისის კომენდანტი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე რომან გვენცაძე, რომელსაც წესრიგის დაცვა ევალებოდა, პუტჩისტების გვერდით აღმოჩნდა. აქტიური პუტჩისტები აღმოჩნდნენ, ასევე, ჯონი ფირცხალაიშვილი, ბესო ქუთათელაძე.

**ბესარიონ გუგუშვილი:** გოჩა მართალია იმაში, რომ რაღაც ნაწილი მოღალატე აღმოჩნდა, მაგრამ ეს ღალატიც პირობითი იყო, რადგან არც ერთ ძალოვან სტრუქტურას, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ფიციც კი არ ჰქონდა დადებული.

**- კიტოვანს რომ ფიცი ჰქონოდა დადებული, არ გატეხდა?**

**ბესარიონ გუგუშვილი**: არა, გატეხავით, რასაკვირველია, გატეხდა. მაგრამ ფიცი რომ არ ჰქონდათ დადებული, ეს მიუთითებს, ამ სტრუქტურების ჩამოყალიბების დაუსრულებლობაზე. გარდა ამისა, მინდა ხაზი გავუსვა ერთ მომენტს. ამბობდნენ, რომ ხალხი მიტინგებზე სიარულით და ხელისუფლების დაცვით დაღლილი იყო. ეს იყო პროპაგანდისტული ტრიუკი, რომ ხალხისათვის ჩაენერგათ თავში - თქვენ დაიღალეთ, აღარ შეგიძლიათ და ა.შ. ახლა არ არის ხალხი დაღლილი?

**- ბატონო ბესარიონ, თქვენი ხელისუფლების წარმომადგენლებს არაერთხელ უთქვამთ: ზვიად გამსახურდიას მთავრობა და პარლამენტი იმიტომ დაამხეს, რომ დსთ-ში შესვლის ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერეთ, ანუ რუსეთის გავლენის სივრცეში არ შეხვედით.**

**ბესარიონ გუგუშვილი**: იცით, რუსეთის გავლენის სივრცე პირობითი ცნებაა. ეს გლობალური სისტემის შემადგენელი ნაწილია. გლობალურ სისტემას კი რუსეთის გავლენის სივრცის გადაკეთება ჰქონდა დაგეგმილი და არა - დაშლა. საქართველოც ამ ახალ საბჭოთა კავშირში უნდა შესულიყო, რასაც დღეს დსთ დაარქვეს. ამასვე ითვალისწინებდა აკადემიკოს სახაროვის გეგმა, ე.წ. სახაროვის კონსტიტუცია. ამ კონსტიტუციის თანახმად, ბალტიისპირეთი რუსეთის გავლენის მიღმა რჩებოდა. ეს აშშ-ს უპირობო მოთხოვნა იყო. დანარჩენები კი ისევ რუსეთის კალთის ქვეშ, ანუ სახეშეცვლილ საბჭოთა კავშირში უნდა შესულიყვნენ. აი, ამის შემდეგ კი მიღებული იქნებოდა სახაროვის კონსტიტუცია, რომლის თანახმადაც, საქართველო უნდა დაშლილიყო კუთხური ნიშნის მიხედვით - სამეგრელოდ, გურიად და ა.შ. ეს აკადემიკოს სახაროვის უკანასკნელი კოლოსალური ნაშრომი იყო. მაგრამ ცხადია, რომ ეს ერთი კაცის ნაშრომი და ნააზრევი არ იყო. გამსახურდიამ კი, მარტივად რომ ვთქვათ, ეს გეგმა ჩაშალა. უფრო მეტიც, აშშ-ს შეექმნა საშიშროება, რომ საბჭოთა კავშირის ხელში არსებული უზარმაზარი ბირთვული არსენალი რამდენიმე სახელმწიფოს ხელში აღმოჩნდებოდა. ამერიკა მხოლოდ მას შემდეგ დამშვიდდა, რაც ამ იარაღმა მხოლოდ რუსეთის ტერიტორიაზე მოიყარა თავი. მანამდე კი შეშლილი სახეებით დარბოდნენ. ამის მომსწრე მე თავად გახლდით ნატო-ში ვიზიტის დროს, როდესაც მათი ერთადერთი საფიქრალი და საკითხავი ის იყო, რომ ბირთვული არსენალი ვინმეს ხელში უკონტროლოდ არ მოხვედრილიყო..

**- მახსოვს, პუტჩის დაწყებამდე თქვენ ბრიუსელიდან ახალი დაბრუნებული იყავით, როცა გამოხვედით ტელევიზიით და ხალხს მიმართეთ. თქვენ მოსახლეობას საქართველოს პერსპექტივების შესახებ ესაუბრეთ. საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით, რამდენად რეალური პერსპექტივა ჰქონდა საქართველოს თქვენი ხელისუფლების პირობებში? ხომ არ სჯობდა, უარი გეთქვათ ხელისუფლებაზე და დაგენიშნათ ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები?**

**ბესარიონ გუგუშვილი**: ბრიუსელში ყოფნის დროს, პირდაპირ განმიცხადეს, რომ საქართველოს უახლოეს დღეებში ცნობდნენ. ეს იყო უკვე აბსოლუტურად დადასტურებული ინფორმაცია და მოდიოდა უმაღლესი საერთაშორისო ინსტანციებიდან. უკვე ცნობილი იყო, რომ რუსეთის, უკრაინის და ბელორუსის პრეზიდენტები ბელოვეჟში უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. იცოდნენ, რომ ცოტა ხანში საბჭოთა კავშირის დაშლა ოფიციალურად გაფორმდებოდა.

ახლა მეორე: რის საფუძველზე უნდა გვეთქვა ჩვენ უარი ხელისუფლებაზე? ვიღაც პუტჩისტების ხროვამ ხელისუფლების ხელში ჩაგდება მოინდომა და იმიტომ? და ამ ხროვის სურვილებს უნდა ავყოლოდით?

**- თუნდაც იმისათვის, რათა კვლავ დაგემტკიცებინათ, რომ შეგეძლოთ გამარჯვება.**

**ბესარიონ გუგუშვილი:** არა, საქმე ეგ არ არის. ზვიადი გამოვიდა და



*ბესარიონ გუგუშვილი და გოჩა ბახია.*

განაცხადა: კი ბატონო, ჩავატაროთ არჩევნებიო, მაგრამ ამის მოსმენა და შეცნობა უკვე აღარავის სურდა. დღეს ვეკითხები იგივე ოპოზიციას: რატომ აღარაფერს ამბობთ, ბატონებო, ვადამდელი არჩევნების ჩატარებაზე? ამას რა ჰქვია, იცით? ის, რომ სუსტთან გაგდის და იმიტომ ყვირიხარ, ძლიერთან კი ჩუმად ხარ. შევარდნაძეს უნდა დავაცალოთ კონსტიტუციური ციკლის დასრულება და ჩვენ არ უნდა დაგვცლოდა?

ჩვენს წინააღმდეგ იდგა არა ოპოზიცია, არამედ - კრიმინალთა ბანდები და ჯგუფები. ეს ხომ მომდევნო წლებმა მშვენივრად დაადასტურა. მათ ჯერ პუტჩი მოაწყვეს, შემდეგ სახელმწიფო გაძარცვეს და დღესაც კრიმინალურ გარემოში ცხოვრობს ხალხი. ასე რომ, ეს იყო კრიმინალიტეტი, რომელმაც ოპოზიცია დაირქვა. მათაც მშვენივრად იცოდნენ, რომ რამდენიმე დღეში საქართველოს მსოფლიო ცნობდა. ეს იყო სიგნალი: თუ მოასწრებთ და დაამხობთ გამსახურდიას, სანამ საქართველოს ცნობენ, ხელისუფლება თქვენს ხელში გადმოვაო. ამიტომ, ისინი არჩევნებზე წამსვლელები არ იყვნენ.

**- როგორც ცნობილია, 1991 წლის 25 დეკემბერს სამთავრობო ძალებმა რუსთაველის გამზირზე კონტროლის დამყარება მოახერხეს. რატომ აღარ გაგრძელდა ოპერაცია?**

**ბესარიონ გუგუშვილი:** ერთადერთი, რაც ჩვენ მოვახერხეთ, იყო ის, რომ კრიმინალური დაჯგუფებები, რომლებიც გვიტევდნენ, რამდენიმე კვარტლით მოვაშორეთ მთავრობის სასახლეს. მაგრამ კიდევ ვიმეორებ, მათ იარაღით და ფიზიკური ძალით დიდ დახმარებას უწევდნენ რუსეთის არმიის შტაბიდან. ჩვენ გვქონდა ერთადერთი რადიო, რომელიც რუსეთის არმიის შტაბის გადაცემებს იჭერდა. გარკვევით გვესმოდა, თუ როგორ გადასცემდა რაციით ქალის ხმა რუსულ ენაზე კიტოვანის შტაბს იმ მოვლენებს, რაც ხდებოდა ქალაქში და ქალაქის გარეთ. ჩვენი მომხრეების ნებისმიერი მოძრაობა კონტროლდებოდა რუსეთის დაზვერვის მიერ და კიტოვანის შტაბს გადაეცემოდა.

**გოჩა ბახია:** აბსოლუტურად მართალია. გარდა ამისა, ყურადღებამისაქცევია კიდევ ერთი ფაქტორი. კერძოდ, რაც ხდებოდა თვითონ მთავრობის სასახლეში: პრეზიდენტის გარემოცვის წევრები, მათ შორის ნუგზარ მოლოდინაშვილი, ძალოვანი მინისტრები და მათი მოადგილეები ცდილობდნენ, მთავრობის სახლის დამცველებისათვის ხელი შეეშალათ. ისინი ამისათვის ყოველწამს ახდენდნენ ზვიად გამსახურდიას დეზინფორმირებას. ომის დაწყების დღეს, 21 დეკემბერს, როცა პირველივე ჭურვი პრეზიდენტის კაბინეტს მოხვდა, შტაბი მეოთხე სართულზე გადავიტანეთ. ჩვენ დავდექით არჩევანის წინაშე: ან უნდა დაგვეცვა ხელისუფლება და კონსტიტუცია, ან თეთრი დროშებით გავსულიყავით და ჩავბარებოდით კრიმინალებს, როგორც ამას სიგუა და კიტოვანი მოგვიწოდებდნენ. ჩვენ ბრძოლა მივიღეთ. თუმცა, ძალები აშკარად უთანასწორო იყო. მაგრამ ჩვენ ვარჩიეთ ვყოფილიყავით ზვიადნი, ვიდრე ჯაბანნი.

**ბესარიონ გუგუშვილი:** ჩვენ ახლა არარეალურ და არარსებულ საკითხებზე ვმსჯელობთ - გამსახურდიას რომ არჩევნები გამოეცხადებინა და ა.შ. ალბათ, გახსოვთ ცხვრისა და მგლის ამბავი. მე გეკითხებით, ცხვარი რომ ცოტა ზემოთ მდგარიყო წყლის პირას, მგელი მაინც შეჭამდა თუ არა? რასაკვირველია, შეჭამდა. ზუსტად ასეთ ვითარებაში ვიყავით ჩვენც. ყველას ავიწყდება, რომ ზვიად გამსახურდია აშშ-ს მაშინდელმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა გამოაცხადა პოლიტიკოსად, რომელიც დინების საწინააღმდეგოდ მიცურავდა. ამით კი ყველაფერი იყო ნათქვამი და საკითხიც - უკვე დასრულებული. რა დინებაზე იყო ლაპარაკი? აი, ამას უნდა გაეცეს პასუხი. რითი არ მოეწონა ამერიკის პრეზიდენტს გამსახურდია? შესახედაობით თუ სიტყვა-პასუხით? რა დინებაზეა ლაპარაკი? ეს დინება იყო სწორედ ის, რაც ჩვენ უკვე ვახსენეთ, ანუ საბჭოთა კავშირის მოდერნიზება გლობალურ სისტემაში.

კარგით, ამას თავი დავანებოთ და ცოტა უკან დავიხიოთ. თუ გახსოვთ, 9 აპრილის ტრაგედიას ამერიკის მხრიდან რა რეაქცია მოჰყვა? რატომ არ იხსენებთ ამას? ეს იყო საზიზღარი სიტყვები - სხვას ვერაფერს დავარქმევ. აშშ-მ განაცხადა: "ვწუხვართ ტრაგედიის გამო, მაგრამ ასეთი მიტინგები და დემონსტრაციები საფრთხეს უქმნიან გარდაქმნის მთელ პროცესს საბჭოთა კავშირში." ჩვენ კი მივიჩნევდით, რომ სწორედ "პერესტროიკამ" მოგვცა მიტინგების დაწყების და ჩვენი მოთხოვნების დაყენების საშუალება.

ახლა იცით, რაზე ვმსჯელობთ? აი, მაგალითად, გამსახურდიას შავის ნაცვლად წითელი კოსტუმი რომ სცმოდა, ავიცილებდით ტრაგედიას? ან, მანანა არჩვაძეს რომ სხვანაირად დაერეკა ტელეფონით, ან არ დაერეკა, ლელე არჩვაძე ყოფილიყო ან არ ყოფილიყო, და ა.შ. ამას ხომ უკვე დახურდავების დონეზე დავყავართ. ამდენი ხნის მანძილზე ჩვენი მოწინააღმდეგენი თავდავიწყებით ცდილობენ, მოვლენები ისეთ ფაქტებამდე დაიყვანონ, რომლებიც არაფერს შეცვლიდა. მე მინდა დავსვა ასეთი კითხვა: ყველანი ადამიანები ვართ და, კიტოვანს რომ უცბად გული გასკდომოდა და მომკვდარიყო, გადავრჩებოდით დამხობას? მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ვერ გადავრჩებოდით. აუცილებლად მოიძებნებოდა სხვა, კიტოვანის მსგავსი და, შესაძლოა, უარესი ფიგურა.

**გოჩა ბახია:** ეს ყველაფერი წინასწარ იყო შემზადებული - მთელი იდეოლოგიური პროცესი. იგივე "მერსედესების" თემა, შემდეგ - "ბუნკერის" და ა.შ.

**ბესარიონ გუგუშვილი:** მახსოვს კადრები, რომელიც საქართველოდან ჩვენი წასვლის შემდეგ უჩვენეს ხალხს ტელევიზიით. მაინტერესებს, სად არის ახლა ის უძირო ჭა პარლამენტის შენობაში, სადაც ჩვენ ხალხს ვყრიდით და ვაწამებდით? მაგრამ ეს მშვენივარდ მიესადაგა თავიდანავე მოფიქრებულ ტერმინს "ბუნკერი," რომელიც ხალხის ცნობიერებაში ნაცისტურ გერმანიასთან და ჰიტლერთან ასოცირდება.

**გოჩა ბახია:** ამ კითხვის გარდა, მე ძალიან მაინტერესებს, პარლამენტის შენობაში "ზვიადისტური ფაშიზმის" მუზეუმი რატომ არ მოაწყვეს? სადაც შეიძლებოდა შთამომავლობას ენახა, თუ როგორ ვაწამებდით ხალხს. რატომ არ შეინარჩუნეს ეს იდეოლოგია? დღევანდელ პარლამენტარებს ხომ ექნებოდათ საშუალება, "ფაშიზმის" წინააღმდეგ დაღუპულთა ხსოვნისათვის პატივი მიეგოთ? მათი იდეოლოგიით, მაშინ ხომ სახალხო რევოლუცია მოხდა? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რატომ არ აღინიშნება 6 იანვარი, როგორც ფაშიზმის დამარცხების დღე საქართველოში?

**ბესარიონ გუგუშვილი:** 1992 წლის 6 იანვარს, დილით, პარლამენტის შენობის წინ სამი "გამარჯვებული" შამპანურს მიირთმევდა. სად იყო გახარებული ხალხის მასები, რომელთაც "დიქტატორის" დამხობა უნდა ეზეიმათ? რატომ არ მოეპოვებათ ისეთი კადრები, როგორიც რუსებს ჰქონდათ ზამთრის სასახლის აღების შესახებ. აღლუმებზე რატომ არ გამოჰყავთ, ქანთარიასა და ეგოროვის მსგავსად, ის სამი მხედრიონელი, რომელთაც პირველებმა დაამხეს დიქტატორი? იმიტომ, რომ სამივე უკვე დახვრეტილია.

სინამდვილეში, მათ სიკვდილივით ეშინოდათ ხალხის და როცა ასი ათასობით ადამიანი ჩვენს მხარდასაჭერად გამოვიდა ქუჩებში, უიარაღო ხალხის დახვრეტა დაიწყეს. ამიტომ, მე ვაცხადებ, რომ ზვიადი არ დამარცხებულა! ზვიადმა მტერზე ტრიუმფალური გამარჯვება მოიპოვა!

**გოჩა ბახია:** ყველაზე მთავარი არის ის, რომ ზვიად გამსახურდიას ფენომენი საქართველოში დღემდე არსებობს. ამ ფენომენს ვერაფერი მოუხერხეს და ვერც უზამენ. აბა, სხვა რა უნდა დავარქვათ იმ ძალას, რომელიც ნებსით თუ უნებლიეთ, ზვიადის მოსისხლე მოწინააღმდეგეებს აიძულებს, ზვიადის დაბადების დღეს ყვავილები მიიტანონ კოლხურ კოშკში და აღიარონ, რომ ზვიადი დიდი პიროვნება იყო. სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თავად შევარდნაძემ განაცხადა, რომ ზვიადს სიმართლის დროშა ჰქონდა აღმართული.

**- ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ მისი ოპონენტების ერთ-ერთი უმთავრესი ბრალდება მისი საკადრო პოლიტიკა იყო...**

**ბესარიონ გუგუშვილი:** სასაცილოა ის ადამიანი, რომელიც, დღევანდელი საქართველოს შემხედვარე, კვლავაც ამ აზრზეა. რატომ ავიწყდებათ, რომ ზვიად გამსახურდიას არავითარი კადრების გადამზადების და მომზადების სისტემა არ გააჩნდა. რა უნდა ექნა ზვიადს სულ რაღაც ერთი წლის განმავლობაში? მართალია: მან ქუჩიდან მოიყვანა ეს ხალხი - თავისი თანამებრძოლები - და დანიშნა თანამდებობებზე. სხვათა შორის, ბევრმა გაამართლა და ეს სწორედ ზვიადის დამსახურებაა. ხოლო ვინც უღალატა, ისინი თავიდანვე შემოგზავნილი პირები - სიგუას და კიტოვანის შემოგდებული ხალხი იყო. ერთგულები კი ზვიადს ბოლომდე შერჩნენ და ისინი დღესაც ბევრნი არიან. ხომ ვიცით, დღეს საქართველოში რამდენი ფული იხარჯება კადრების მომზადებაზე. სად არის ეს მომზადებული ხალხი, რომელთაც ქვეყანა უნდა ააყვავონ?

**გოჩა ბახია:** კადრებზე რომ საუბრობენ, დაფიქრდნენ და თქვან: დღეს შევარდნაძეს რომ გაუჭირდეს, გამოჩნდება თუნდაც ათი კაცი, რომლებიც მისი გულისთვის თავს გასწირავს? - რაღაც მეეჭვება. რაც შეეხება ზვიად გამსახურდიას, მან საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული და სამართლებრივი ფანჯარა გაჭრა საერთაშორისო სისტემაში. ამის შემდეგ ათი წელი გავიდა და საქართველო კვლავ დამოუკიდებელია და მწამს, ყოველთვის იქნება. ამის ფუძემდებელი კი სწორედ მერაბი და ზვიადი არიან.

**- ბატონო ბესარიონ, შეცდომებიც ხომ არაერთი გქონდათ?**

**ბესარიონ გუგუშვილი:** მე ძალიან მტკივა გული, რომ დღემდე ყველა ცდილობს, უკუღმა დასვას შეკითხვა - რა შეცდომები და ნაკლოვანებები გააჩნდა ჩვენს ხელისუფლებას. შეცდომის გარეშე არავინ არსებობს, მაგრამ რატომ არ აინტერესებთ, თუ რა გაკეთდა და რა შევქმენით. რატომ აღარავის ახსოვს, რომ ჩვენი ხელისუფლების პერიოდში საქართველოში საშინელი მიწისძვრა მოხდა. ყოველგვარი ვალის და დახმარების გარეშე შევძელით მიწისძვრით გამოწვეული კოლოსალური ზარალის სრული ლიკვიდირება. რატომ არ აინტერესებთ, თუ როგორ მოვახერხეთ ამის გაკეთება, ისე რომ ხალხის ცხოვრების დონე არ დაეცა. რატომ არ გვეკითხებიან იმას, თუ როგორ შევინარჩუნეთ პურის ფასი, ისე რომ ხალხის ცხოვრების დონე და ეკონომიკური მაჩვენებლები არ დაეცა? თუმცა ერთ-ერთი ბრალდება ის იყო, რომ პური არ გავაძვირეთ. ჩვენ შემდეგ რომ გაძვირდა, რა დაეტყო ამით ეკონომიკას და ხალხის სოციალურ მდგომარეობას? როგორ მოხდა, რომ სიგუა როცა ტყეში გაიქრა, ბიუჯეტში ორი მილიონი დეფიციტი დატოვა, ხოლო წლის ბოლოს კი ბიუჯეტი გადაჭარბებით იყო შესრულებული. ჩვენ ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა ვაწარმოეთ, რომ ხაზინა სავსე იყო სტრატეგიული პროდუქციით. ღვინის მთელი წლის მარაგი საქართველოს ხელში ეჭირა. რატომ ამაზე არ არის საუბარი? ეს ყველაფერი ისე, რომ ჩვენ არავითარი დახმარება და კრედიტი არ მიგვილია და ვალები ჩვენი შვილებისათვის არ დაგვიტოვებია. შევარდნაძის მთავრობას ხომ მილიარდობით დახმარებას უწევენ ამერიკელები? ერთი წელი მაინც დასრულებულა საბიუჯეტო დეფიციტის გარეშე? გარდა ამისა, თუ დავუკვირდებით, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები ვინც კი დაიჭირეს, ყველას ბრალად სდებდნენ ბანდიტიზმს და ა.შ. კორუფციის მუხლი კი ვერცერთს ვერ წაუყენეს და ვერ დაუმტკიცეს.

**- ბატონო ბესარიონ, სახელმწიფო კაპიტალიზმის შესახებ თქვენი ეკონომიკური პლატფორმა საქართველოში ძალიან ბევრმა ვერ გაიგო. ზოგმა ეს დაცინვის საგნადაც კი აქცია. თუ შეიძლება, კიდევ ერთხელ განმარტეთ, რას ნიშნავს სახელმწიფო კაპიტალიზმი.**

**ბესარიონ გუგუშვილი:** ამის ახსნას ერთი ლექციაც არ ეყოფა. შევეცდები, მარტივად ავხსნა. ეს რომ განვაცხადე, პირველ რიგში, მე გამაჩნდა ინფორმაცია, თუ რა გეგმები ჰქონდათ ჩვენს მოწინააღმდეგეებს პრივატიზებასთან დაკავშირებით. ჩვენ ვიცოდით, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოსალოდნელი იყო მტაცებლური პრივატიზების ტალღის დაწყება უდიდესი მასშტაბით. არც ერთ სახელმწიფოში სახელმწიფო ქონების კერძო პირების ხელში გადასვლა ისე უხეშად და ელვისებურად არ მომხდარა, როგორც ეს საქართველოში და სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში მოხდა. ამის შედეგად კი წარმოიშვა კორუფცია, რომელიც დღემდე ანგრევს და ხრწნის ქვეყანას. სახელმწიფო კაპიტალიზმის პირობებში კი ეს არ მოხდებოდა. მოკლედ რომ ვთქვათ, სახელმწიფო კაპიტალიზმია ის, რაც დღეს შვედეთში, ფინეთში, დანიაში, ნორვეგიაში და კიდევ ბევრგან არსებობს. საქართველოში კი ყველაფერი პრივატიზებულია და კერძო პირების, მძარცველების ხელშია.

**- ახლა ჩვენს ქვეყანაში საარჩევნო ციებ-ცხელებაა დაწყებული, რისი შეცვლის იმედი გაქვთ საქართველოში?**

**ბესარიონ გუგუშვილი:** რა გითხრათ. საქართველოში რამე რომ შეიცვალოს, ამას დრო სჭირდება და ეს ძალიან რთულია ამ გადასახედიდან. რაც შეეხება არჩევნებს, მე არ ვიცი, ვინ შეიძლება მოვიდეს, რომ რამის შეცვლა და ქვეყნის ფეხზე დაყენება შეძლოს. მაგრამ იმათ, ვინც ამ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აპირებს, მინდა მოვუწოდო, რომ ხმა მისცენ ბატონ გურამ აბსანძის პოლიტიკურ გაერთიანებას. ეს, რასაკვირველია, უცბად ვერაფერს შეცვლის, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, უკეთესობისკენ შეცვლის დასაწყისი მაინც იქნება.

**- გამორიცხავთ, რომ ბ-ნი გურამ აბსანძე რომელიმე პოლიტიკურ გაერთიანებასთან შევიდეს ბლოკში?**

- არ გამოვრიცხავ, მაგრამ ეს ტაქტიკის საკითხია.

**- და ბოლო შეკითხვა, როდის აპირებთ დაბრუნებას?**

**ბესარიონ გუგუშვილი:** ყოველ შემთხვევაში - ჯერ არა. ეს ბევრ ფაქტორთან არის დაკავშირებული. რომ ჩამოვიდე, რა ვუთხრა იმ ბიჭების, იმ ხალხის ახლობლებს, რომლებიც საქართველოსთვის, ჩვენთვის დაიღუპნენ? ჯერჯერობით ვერაფერს ვეტყვი. ბრძოლა გრძელდება. მე ამ ბრძოლას დამთავრებულად არ ვთვლი.

**გოჩა ბახია:** ჩემზე, როგორც იცით, სისხლის სამართლის შეთითხნილი საქმე ჯერ კიდევ არსებობს. ეტყობა, ჯერ კიდევ საშიშები ვართ შევარდნაძის რეჟიმისათვის, რადგან ჩვენ მართლები ვართ. შევარდნაძეს და მის მიმდევრებს კი სიმართლის ძალიან ეშინიათ. მე ბედნიერი ვარ, რომ ეროვნული მოძრაობის დაწყებიდან ზვიადის, მერაბის გვერდით ვიდექი და დღეს ბ-ნ ბესარიონის გვერდით ვდგავარ. სწორედ ეს მაძლევს უფლებას, რომ პირდაპირ განვაცხადო: საქართველოში სიმართლის გამარჯვების დრო მალე დადგება!

გჭირდებათ დახმარება მიწისა და უძრავ ქონებაზე საკუთრების ან სარგებლობის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას?

გსურთ მიწისა და უძრავი ქონების შესახებ წინასწარ გადაამოწმოთ ინფორმაცია და დარწმუნდეთ მის სიზუსტეში?

გესაჭიროებათ დახმარება მიწის ნაკვეთების შეძენისას, ან შეგექმნათ პრობლემა მიწის ნაკვეთის, ან ნებისმიერი უძრავი ქონების საკუთრებისა და ფლობასთან დაკავშირებით?

მოგმართეთ - მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციას!

ასოციაცია გთავაზობთ შემდეგი სახის მომსახურებებს:

- მედიაცია ანუ მოდავე მხარეებთან მოლაპარაკება,
- კერძო არბიტრაჟი,
- სასამართლოში მხარის ინტერესების დაცვა,
- უფასო იურიდიული კონსულტაცია,

ჩვენი დახმარებით დაზოგავთ დროს და ენერგიას, თქვენი უფლება კი გარანტირებულად იქნება დაცული.

დაგვიკავშირდით:

თქვენ სამსახურშია ასოციაციის ცენტრალური და რეგიონალური ოფისები: თბილისი, გაგარინის 1 შესახვევი, №8, ტელ: 877 458 651; 899 982 809, 931 969; ქუთაისი, 899 587 094; გორი 893 336 683; ოზურგეთი 899 966 488; ახალციხე 899 572 669, გურჯაანი 899 271 812.

www.24hours.ge 24 B

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით.
ტელ.: 20 24 24
ან ნებისმიერ დროს
ელ-ფოსტით:
nladaria@24hours.ge



ნოდარ ლადარია

დღეს ეპისტოლარული ჟანრის კრიტიკას უნდა დავუთმოთ ჩვენი გვერდი, მაგრამ ჯერ ერთ ამბავს გავიხსენებ.

ათი თუ თერთმეტი წლის წინათ, ვატიკანში, აღმოსავლურ ეკლესიათა კონგრეგაციის ერთმა ადეპტმა მიმიწვია სადილზე. სანამ დესერტს მოგვართმევდნენ, როცა იტალიური სამზარეულოს საუკეთესო მონაპოვრებით დარეტიანებული ორგანიზმი განსაკუთრებით მოდუნებული და დაუცველია, მასპინძელმა თითქოსდა დაუდევრად მკითხა:

— ვინ არიან... მ-მ-მ... ჰო, გია ჭანტურია და ირინა სარიშვილი?

— ცოლ-ქმარი, — შეთქმულივით გავუღიმე ამ უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნებისას.

— არა, მე სხვა რამეს ვგულისხმობ...

— ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები არიან, — განვაგრძე მე კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემა. ადეპტი მიხვდა, რომ ამის შემდეგ ჩემი უსასყიდლოდ გამოყენება უკვე უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებდა წმიდა საყდარს. ამიტომ თვითონაც დაიწყო ლაპარაკი:

— არა, მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ გუშინ კარდინალმა მითხრა, ასეთი რამ არასოდეს მინახავსო. ჯერ ჩემი მეშვეობით ვიზიტზე შეუთანხმდნენ, მერე კაბინეტში შევიდნენ, მიესალმნენ კარდინალს და ხუთი წუთიც არ დაყოვნებულან, ისე გამოემშვიდობნენ. სილვესტრინი ვერც მიხვდა, რისთვის მოვიდნენ და პირღიად დარჩა.

— მოსაგონებლად დარჩებათ. ეს ხომ უდიდესი პატივია, არაოფიციალური ვიზიტი აღმოსავლურ ეკლესიათა კონგრეგაციის პრეფექტთან, კარდინალ აკილე სილვესტრინისთან! ვის გინდა, წონა არ შემატოს!

ადეპტი ერთხანს უაზრო მზერით მაკვირდებოდა, მერე კი ოდნავ აიჩეჩა მხრები და საუბრის თემა შეცვალა. ამ მოგონების საბაბიც გარკვეული აზრით რომთანაა დაკავშირებული. სწორედ ეს გავიფიქრე, როცა 21 მაისის "24 საათი" გადავშალე და გადავიკითხე პირველივე გვერდზე დაბეჭდილი სტატია: **თამარ ხორბალაძე**, *საერთაშორისო სასამართლო და საქართველო თავისი პრობლემებით.* თურმე 20 მაისს პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება, ე. წ. რომის სტატუტი განუხილავს. სხდომის მსვლელობისას "ახალ მემარჯვენეებს" "ამერიკელი მეგობრებისაგან" მიღებული რეკომენდაციები გამოუთქვამთ. ამის შედეგად წარმოშობილი დაპირისპირების გამო სხდომა დახურულად გამოუცხადებიათ და დამსწრე ჟურნალისტებიც გარეთ გაუძევებიათ. მიუხედავად ამისა, სტატია აღსავსეა ერთობ საგულისხმო ინფორმაციით.

აი, თუნდაც ეს რად ღირს: "**დეპუტატებს აინტერესებდათ, ემუქრება თუ არა საქართველოს რაიმე საფრთხე სტატუტთან მიერთებით**". ნუთუ იმდენად ღრმადაა გამჯდარი ჩვენს რჩეულთა სულებში დანაშაულის გრძნობა, რომ ამგვარ შეკითხვებს სვამენ? კიდევ კარგი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, **შოთა დოლონაძემ** დაამშვიდა: "**ქვეყნისათვის საფრთხე არ არის, ის შეიძლება მხოლოდ იმ პირებს დაემუქროს, ვინც დანაშაული ჩაიდინა**". ნეტა მართლა თუ დაამშვიდებდა ასეთი არგუმენტი პარლამენტარებს?!

მეორე შეკითხვა კიდევ უფრო საინტერესოა: "**შეძლებენ თუ არა აფხაზი სეპარატისტები იგივე ქმედების განხორციელებას საქართველოს წინააღმდეგ**"? აქ დამამშვიდებლის როლში უკვე **თამაზ ნადარეიშვილი** ევლინებათ ხალხის რჩეულებს: "**აფხაზეთს საქართველოს მიმართ სარჩელის შეტანა არ შეუძლია, ვინაიდან სეპარატისტულ რეჟიმს არავინ ცნობს და საქართველოს სეპარატისტების მიმართ დანაშაული არ ჩაუდენია**". კაცმა რომ თქვას, სარჩელი სწორედ იმიტომ განიხილება სასამართლოს მიერ, რომ ეს ბოლო დებულება დადგინდეს. მაგრამ სხვა რამე უფრო საინტერესოა: თურმე ისიც საკმარისია დეპუტატების დასამშვიდებლად, რომ *ჩვენ* შეგვიძლია, *იმათ* კი არა! თუ ეს გარანტია წინასწარ არ არსებობს, სხვანაირად სამართალს ვერ შევუერთდებით! ეტყობა, მართლაც საჭიროა ეს გარანტია, თორემ ვიღაც-ვიღაცეები მაინცდამაინც მშვიდად ვერ გრძნობენ თავს!

აი, აქ გამოდიან სცენაზე "ახალი მემარჯვენეები". ისინი სხდომის დახურვას ითხოვენ — ყოველივე გასაიდუმლოებული ხომ გაცილებით უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, ჰოდა, ამერიკელი მეგობრების წერილს ხომ უბრალოდ ვერ გადაშლი ყველას დასანახად? ჯერ ჟურნალისტები უნდა გააძევო, მერე კარები დაგმანო, ფრთხილად მიმოიხედო და ნელა და საზეიმოდ ამოაძვრინო ჯიბიდან ტექსტი — ტექსტი კი არა, არაოფიციალური განმარტებები. აქ ზედსართავი "არაოფიციალური" გაცილებით უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს: ჩვენ ნამდვილი მეგობრები გვყავს, აი, ისე რომ გვაფრთხილებენ, ყოველგვარი პროტოკოლის გარეშე, სიმართლეს რომ გვეუბნებიან და დიპლომატიურ ნაცარს კი არ გვაყრიან თვალებში.

მაგრამ წერილის ტექსტმა მაინც შეაღწია ჩვენს მედიაში. სტატიიდან ვერ ვიგებთ, კონკრეტულად როგორ მოხდა მისი ფრაგმენტები გაზეთის ფურცლებზე. ჩვენთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია წერილის შინაარსი.

ახლა კი ტექსტს მივხედოთ: "**საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო საფრთხეს უქმნის საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას**". მაინც როგორ? ყველაზე მარტივი ლოგიკა შემდეგს გვკარნახობს: კანონით კონტროლირებულ სფეროში შესვლა საფრთხეს უქმნის დამნაშავეს. მაგრამ მარტივ და ცხად ლოგიკას ჩვენში მაღლიდან დასცქერიან, არ კადრულობენ. დროებით ჩვენც ნუ შევამჩნევთ ამ შინაგანი წინააღმდეგობით დანაღმულ ფრაზას და განვაგრძოთ. მაინც რატომ შეგვიქმნის საფრთხეს საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის სფეროში შესვლა? თურმე იმიტომ, რომ ჩვენში, ერთი მხრივ, ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის მიღმა მყოფი ტერიტორიები არსებობს, მეორე მხრივ, — პოტენციური ეთნოკონფლიქტების კერები. ეს კი, — გვაფრთხილებენ ამერიკელი მეგობრები, — "**თქვენმა მტრებმა, შესაძლოა, მომავალში თქვენს წინააღმდეგ გამოიყენონ. საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოში გაართულებს ზემოაღნიშნული პრობლემების მოგვარებას, ვინაიდან სასამართლოს შეუძლია, დაკარგულ ტერიტორიებზე კონტროლის აღდგენა შეაფერხოს, ისევე როგორც, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს თქვენს ურთიერთობებს საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებთან**".

რატომ, თუ ღმერთი გწამთ, რატომ?! ნუთუ ჩვენი ამერიკელი მეგობრები იმთავითვე იმას ფიქრობენ, რომ ჩვენი ხელისუფლება საკუთარ მოქალაქეებს არა თუ მხოლოდ უკანონოდ, სწორედ რომ სისხლის სამართლის დარღვევით მოეპყრობა? ნუთუ ეს მოქალაქეებია მოხსენიებული გაურკვეველი ტერმინით "მტრები"? მაგრამ ოდნავ ქვემოთ აღმოჩნდება, რომ ამერიკელ მეგობრებს საკუთარი ქვეყნის შესახებაც არა აქვთ უკეთესი აზრი:

"**გარდა ამისა, საქართველოს უსაფრთხოების განმტკიცებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება აშშ-სთან სტრატეგიული თანამშრომლობის განვითარებას. თქვენი ქვეყნის მონაწილეობა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოში კი ამ თანამშრომლობისთვის ხელისშემშლელი ფაქტორი იქნება**".

თუ სწორად გავიგე, მალე შეერთებულ შტატებს ოფიციალურ ტექსტებშიც საქართველოს "სტრატეგიულ თანამზრახველად", ან "სტრატეგიულ პადელნიკად" მოიხსენიებენ. რამ დააყრუა საპარლამენტო კომიტეტის დახურულ სხდომაზე დამსწრენი? არ ვიცი, შესაძლოა ცუდად ვერკვევი საერთაშორისო ურთიერთობებში, მაგრამ არა მგონია, რომელიმე ოფიციალურ და, აქედან გამომდინარე, ანგარიშგასაწევ ტექსტში ამგვარი ფრაზა გაიპაროს ოდესმე.

ამას მოსდევს ვრცელი კომენტარი, თუ რატომ არაა მიზანშეწონილი რომის სტატუტის რატიფიცირება. ამ ვრცელ კომენტარს ლაიტმოტივად გასდევს ერთადერთი პირობა (აუცილებელი და საკმარისი): *საქართველოს საფრთხე ექმნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტს იარაღის ძალით გადაწყვიტოს თავისი პრობლემები.* ვარაუდის სახით შეიძლება გამოვთქვათ თვალსაზრისი, რომ "ახალ მემარჯვენეთა" საარჩევნო კამპანიის წარმმართველი ამერიკელი მეგობრები ამ ტექსტით, უბრალოდ, თავიანთ არჩეულ პარტნიორებს უკირწყლავენ გზას ქართველი ამომრჩევლების გამოუცდელი გულებისაკენ. აბა, სხვანაირად, რატომაა აგებული წერილის ტექსტი ქართულ გემოვნებასა და აზრთა წყობაზე? რატომ არც ერთი ისეთი განსაკუთრებულად დასავლური აზრი არ გვხვდება, რომლის მიღებაც ასე უჭირს ჩვენს "ტრადიციულ" გონებას?

მაშ ასე, ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ თამაშის ცენტრში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა და "არაქართველებით" კომპაქტურად დასახლებული რეგიონებია მოთავსებული. მაგრამ ამით არ შემოიფარგლებიან ჩვენი გულის მესაიდუმლე ამერიკელები. თუმცა, გულის მესაიდუმლეობაზე რა მოგახსენოთ: ქართველთა უმრავლესობისათვის ოდიოზური პუნქტების სიის შესადგენად ჩვენი ელექტრონული და ბეჭდვით მედიის ყველაზე ზერელე და ცალყბად გაკეთებული ანალიზიც კი საკმარისია.

მაგალითად, კანონის უზენაესობის მიმართ ქართველთა ლამის თანდაყოლილი უნდობლობა: "**სამხედრო ძალის გამოყენების შემთხვევაში, მისი** (ქვეყნის — *ნ. ლ.*) **მთავრობა (პრეზიდენტის ჩათვლით), ისევე, როგორც კონფლიქტში მონაწილე ყოველი ჯარისკაცი, სასამართლოს წინაშე აგებს პასუხს როგორც აგრესიის განხორციელებაში ბრალდებული**". გამოდის, რომ ვერ ვართ საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულნი, ჩვენ თვითონ ვერ ვენდობით საკუთარ თავს, თორემ ჩვენს წინააღმდეგ ამგვარი არგუმენტის გამოყენება შეუძლებელი იქნებოდა.

კიდევ ერთი ყბადაღებული კლიშე: რუსეთის როლი აფხაზეთის პრობლემაში. წერილი გვამცნობს: "**ნებისმიერ არაწევრ ქვეყანას (მაგ., რუსეთს) შეუძლია სარჩელის შეტანა წევრი ქვეყნის საწინააღმდეგოდ**". აქ კი რაღაც ვერ აეწყო: ნადარეიშვილი გვიმტკიცებდა, რომ მანამდე არ განიხილავენ სეპარატისტების წინააღმდეგ ჩვენს სარჩელს, სანამ რომის სტატუტის რატიფიცირებას არ მოვახდენთო, ეს ამერიკელი მეგობრები კი სულ სხვას ამბობენ. ნუთუ ასე დაგვაბრმავა სიტყვამ "რუსეთი"?

მაგრამ ამერიკელი მეგობრების ბოლო არგუმენტი ნამდვილად ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. ჩავუფიქრდეთ შემდეგ ფრაგმენტს: "**ევროპაში ჰომოსექსუალები თანდათან იძენენ "ქორწინების" უფლებას — ჰეტეროსექსუალურ წყვილს შორის არსებული საკონტრაქტო ურთიერთობები ჰომოსექსუალურ წყვილებზეც ვრცელდება. ჰომოსექსუალებისთვის ამ უფლებების არმინიჭებას კი ადამიანის უფლებების შელახვად ნათლავენ. წარმოიდგინეთ, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამას საქართველოში?**".

ერთი ამ ტექსტის ინგლისური ორიგინალი მაჩვენა! — თუ ვივარაუდებთ, რომ პირდაპირ ქართულად არაა დაწერილი. განსაკუთრებით მაინტერესებს, რომელი ინგლისური ზმნა შეესაბამება ქართულ სიტყვას "ნათლავენ", რომლის ირონიულ-ნეგატიური კონოტაცია უფრო სტალინიზმის დროინდელი "დანოსების" ჟანრის ფარგლებში შემუშავებულ დისკურსს შეესაბამება. ნეტა რომელი ამერიკელი მეგობარი გაბედავდა ამ სიტყვების მშობლიურ ენაზე საკუთარ ქვეყანაში გამოქვეყნებას? ამერიკის შეერთებულ შტატებში გაბატონებული პოლიტკორექტულობის მოთხოვნათა თანახმად, მათი კარიერის დასანგრევად ეს რამდენიმე სიტყვაც იკმარებდა.

მეორე მხრივ, ამ პრობლემის დაყენებას საქართველოში საშიში შედეგები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოჰყვეს, თუ ჩვენს ეროვნულ ჰომოსექსუალთა შორის მართლაც დგას ეს საკითხი. როგორც ეტყობა, პარლამენტში გამართულ სხდომაზე დამსწრენი ამასაც უხმოდ აღიარებენ. ჩვენ კი ვეტყვით მათ: თუ ამგვარ წყვილთა რაოდენობა მართლაც ნიშნადია, მაშინ ადამიანის უფლებებზე ლაპარაკი არა თუ სამართლიანია (ის ერთი ასეთი წყვილის შემთხვევაშიც იქნებოდა სამართლიანი), არამედ დაგვიანებულიცაა. თუმცა, ასეთი დაგვიანება ყველაზე მეტად იმ ქართველებს აძლევს ხელს, რომლებიც სექსუალურ უმცირესობათა დევნის საბაბით უცხოეთში გახიზნულან და იქიდან ეხმარებიან ნათესავებს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჩვენი დეპუტატები მათზე ზრუნავენ.

ამერიკელ მეგობართა წერილიდან ამგვარად ამოკრეფილი არგუმენტებიდან მხოლოდ ერთი რამ გამომდინარეობს: მათ საქართველო ბარბაროსულ ქვეყანად მიაჩნიათ. მაგრამ როგორ დავიჯერო, რომ ამერიკელი მეგობრები ასე უხეშად მუშაობენ! — იქნებ ჩვენი პოლიტიკოსების უცხოეთთან კავშირი ძალიან ჰგავს "ეროვნული დემოკრატების" ვიზიტს კარდინალ სილვესტრინისთან?

ბოლოს და ბოლოს, რომის სტატუტის რატიფიცირება იმისთვის კი არ უნდა მოხდეს, რომ ჰააგაში ქართველთა გენოციდის საკითხი განიხილონ, არამედ იმისთვის, რომ ჩვენი კავშირი ცივილიზაციასთან კიდევ უფრო მჭიდრო გახდეს. რაც შეეხება გენოციდს, რატომ არ განუხილავს ეს საკითხი ჩვენს, ქართულ სასამართლოს? ნუთუ ეს პარლამენტის გადასაწყვეტი საკითხია?

თუმცა, ჩვენი იუსტიციის სამინისტრო ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ალბათ, ვერ მოიცლის: "24 საათის" საშუალებით ის ბავშვების წერილებს პასუხობს. 20 მაისს უკვე მეორეჯერ მომზადდა ჩვენს გაზეთში გვერდი "კანონიერების კულტურა", სადაც ბავშვების მთავრობისადმი მიწერილი წერილები ქვეყნდება. ამჯერად იუსტიციის სამინისტროს პასუხიც დაიბეჭდა. არ ვხუმრობ, პასუხი სწორედ ასეა ხელმოწერილი: **იუსტიციის სამინისტრო**. მაგარია, არა?

პასუხს სათაურიც აქვს: *იუსტიციის სამინისტროდან შეკითხვაზე "როგორ გავხდე კანონიერი ქურდი".* სწორედ ეს აინტერესებდა თბილისის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეს, რომელსაც კეთილი საქმეების გასაკეთებლად გამდიდრება სურდა. მოსწავლის წერილში მე მწარე ირონია ვიგრძენი. მიუხედავად ამისა, სამინისტროს პასუხი მაშინვე იჭერს დამრიგებლურ ტონს: "ჩვენო ახალგაზრდა მეგობარო, გვინდა გიპასუხოთ, რომ ძალიან აგვაღელვა შენმა შეკითხვამ". ამდენი ტყუილი არ შეიძლება დასაწყისში: თუ აგაღელვათ, რატომ ისე არ პასუხობთ, როგორც ადამიანი ადამიანს, და სახელმწიფო ინსტიტუციასთან გაიგივებულ კოლექტიურ სუბიექტს რატომ ირჩევთ ტექსტის ავტორად? მაგრამ ამაზე ფიქრის დრო სადაა, როცა მომავალ თაობაში აღმზრდელობითი მუშაობაა ჩასატარებელი: "**თვითონ კანონიერი ქურდის არსებობა თავის დასაწყისს მეფის რუსეთის პერიოდიდან ითვლის**". დასაწყისს კი არ ითვლიან, არამედ დროს. მეფის რუსეთის პერიოდი რაღაა? მაგრამ ესეც უმნიშვნელოა: მთავარი ისაა, რომ კანონიერი ქურდი ჩვენთვის უცხო რამაა — რუსებმა გვიანდერძეს. აი, რუსებს კი სტალინმა აჩუქა, როცა "სოციალურად ახლობელი" ქურდები გულაგში პოლიტპატიმართა დასათრგუნავ დამატებით მექანიზმად აქცია.

ამის შემდეგ კოლექტიური ავტორი ტერმინს განმარტავს დასძენს: "**სამწუხაროა, რომ საქართველო იმ რამდენიმე ქვეყნის ჩამონათვალში შედის, სადაც არსებობს "კანონიერი ქურდის" ინსტიტუტი და ხდება ამ ინსტიტუტის პოპულარიზაცია. მათ შორის საზოგადოების რატომღაც "ელიტად" მიჩნეულ ნაწილშიც**". ნეტა ვის მიმართავს ასე ჩვენი ავტორი? — ხომ შეიძლება მისმა "ახალგაზრდა მეგობრებმა" იფიქრონ, რომ სადღაც არსებობს კანონიერი ქურდის ინსტიტუტი და იქ ღია კარის დღეზე მოხვედრა მოისურვონ? ან ეს "ელიტა" რა მოსატანი იყო? ნოდარ დუმბაძის "თეთრი ბაირაღები" თუ იგულისხმეს, ალბათ.

კიდევ უფრო ქვემოთ შავი შრიფტით გამოყოფილი ზნეობრივი შეგონება მიეწოდება ახალგაზრდა მეგობარს: "**ბოროტი ფესვიდან ჯერ არ აღმოცენებულა ჯანსაღი სხეული და არც "ქურდობაა" სიკეთის საწინდარი**". მაგრამ ჯანსაღი სხეული არც კეთილი ფესვიდან აღმოცენებულა... სხეული, საერთოდ, ფესვიდან არ აღმოცენდება. ფესვიდან არც არაფერი აღმოცენდება — ფესვს რაღაც გაიდგამს ხოლმე, რაც თესლიდან აღმოცენდება. ან "სხეული" უნდა შევცვალოთ, ან "ფესვი", რომ ეს წინადადება რაღაცას დაემსგავსოს და კეთილი ქართულით გამოიხატოს მისი თუნდაც მართებული, მაგრამ უიმედოდ ბანალური საზრისი.

ამის შემდეგ მოდის ერთი სასაცილო ადგილი: "**ვერ გიპასუხებთ შეკითხვაზე, თუ როგორ უნდა გახდე "კანონიერი ქურდი", რომ ვიცოდეთ კიდეც**". სულ ორი აბზაცით ზემოთ ეს პასუხი პრაქტიკულად გაცემული იყო, რადგანაც ოკრო-ბოკროდ, მაგრამ მაინც სრულად იქნა მოცემული თვით ფენომენის განმარტება. მაგრამ თუ სამინისტროში მოღვაწე ბიძიებმა არ იციან ამ კითხვაზე პასუხი ("რომ ვიცოდეთ კიდეც"), ისინი ნამდვილად არ არიან გასაჩერებელი ამ სამსახურში.

ბოლოს კოლექტიური ავტორი თავს ესხმის მათ, ვინც რუბრიკა მოამზადა და საბოლოოდ ამჟღავნებს ამ პასუხის ნამდვილ ადრესატს: "**კარგი იქნებოდა, შენს შეკითხვაზე პასუხი წერილის პირველწამკითხავს გაეცა, ვინაიდან ეს თითოეული ჩვენგანის სატკივარია**". სატკივარს თავი გაანებეთ, რადგან უკვე საკმაოდ დაამტკიცეთ, რომ სულ სხვა რამ გაღელვებთ: პასუხი გაეცა ხომ იმას ნიშნავს, რომ არ გამოექვეყნებინა! თანაც შეკითხვა ხომ ის იყო, როგორ გავხდე კანონიერი ქურდი. რაო, გაზეთის თანამშრომლებს გადმოაბარა ამ კითხვაზე პასუხი იუსტიციის სამინისტრომ? ეს, ალბათ, ოფიციალურ დირექტივად უნდა მივიღოთ.

მაგრამ კოლექტიური ავტორი აქაც არ ცხრება და უმისამართო გამოწვევასაც მიმართავს: "**საინტერესოა, როგორ გასცემს შენს შეკითხვას პასუხს საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის "კანონიერი ქურდის" ინსტიტუტის აღზევებასა და რეკლამირებაში**". ესეც ყბადაღებული "რუსეთის მემკვიდრეობა" — საზოგადოების ნაწილი, თანაც დაუსახელებელი და გაურკვეველი. ხომ გახსოვთ, "если кто-то кое где у нас порой честно жить не хочет"?

არ ვიცი, რამდენად შეიძლება ამას ეწოდოს პასუხი — ჩვენი კოლექტიური ავტორის სინდისზე იყოს. მე კი ფორმის კანონი მთხოვს, სარიშვილით დაწყებული სარიშვილითვე დავასრულო და გავაგებინო ქალბატონ ირინას, რა წარმოადგენს მოძრაობა "კმარას" საფუძველს. ამისათვის კი ისევ 20 მაისის ნომერში გამოქვეყნებული წერილი უნდა მოვიყვანო თავიდან ბოლომდე. წერილი თბილისის 51 სკოლის მოსწავლეს, **თამუნა მარგველაშვილს** ეკუთვნის:

*საქართველოში ხალხი დაუძლურდა. აბა, რა ვუწოდოთ ადამიანს, რომელსაც პურის ფული არა აქვს, საკუთარი კუთხე არ გააჩნია ღამის გასათევად და სიცოცხლის ხალისი დაკარგული აქვს.*

***ადამიანს აღარ ახსოვს სიტყვა "ადამიანის" შინაარსი.***

*ყველა პურის ფულისთვის იკლავს თავს მუშაობით, რომ ოჯახი არჩინოს. მთავრობა კი ათასში ერთხელ თუ გაიმეტებს ხელფასსა და პენსიას და ისიც რამდენს?!*

*მოხუცმა კაცმა, რომელსაც მომვლელი არ ჰყავს, პენსიით როგორ უნდა იცხოვროს. ნუთუ სულ დაკარგა მთავრობამ სინდისი?!* ***ნუთუ გულის კუნჭულში მაინც არ აწუხებთ, ასე გაუბედურებულ ხალხს რომ ხედავენ? სამართალი სად არის?***

***მართლა დიდი ხანია, კმარა!***



# საღამოს ხუთ საათზე გელით "პარნასი"

თამარ სუხიშვილი

ვინ არის დათო მაღრაძე? – საქართველოში ამ პიროვნებას წარდგინება ნამდვილად არ სჭირდება. დღეიდან ქართველი პოეტის სახელს კემბრიჯის ბიოგრაფიულ ცნობარშიც ამოიკითხავთ. ჩვენი ქალაქის დიდ გულშემატკივარს ჩვენი ქვეყნის გარეთაც გამოუჩნდნენ გულშემატკივრები... წელს კემბრიჯის "საერთაშორისო ბიოგრაფიულმა ცენტრმა" მისი კანდიდატურა "წლის საერთაშორისო მწერლის" ნომინაციაზე დაამტკიცა. ამ ცენტრში არსებულმა მკვლევართა და მრჩეველთა საბჭომ 2003 წელს სხვადასხვა ქვეყნებიდან შესული ათეულობით ათასი ბიოგრაფია განიხილა და მათგან მხოლოდ რამდენიმე ნომინანტი შეარჩია. ქართველი პოეტი დათო მაღრაძე სწორედ ამ ნომინანტთა შორის მოხვდა.

რამდენიმე დღის წინ პოეტმა შესარჩევი კომისიის თავმჯდომარისგან მილოცვის წერილი და ნომინანტისთვის განკუთვნილი ჯილდო - სახელობითი მედალი მიიღო. მედალი მოოქროვილია, მის ერთ მხარეზე კემბრიჯის ემბლემა და ცენტრის სახელია ამოტვიფრული, მეორე მხარეს კი წერია: ქართველი პოეტი დავით მაღრაძე.

ორიოდე სიტყვით თვით კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის შესახებაც მოგახსენებთ. ტიტულით - "ვინ ვინ არის" ამ ცენტრს 132 დამოუკიდებელი ცნობარი აქვს გამოცემული, მათ შორის, მნიშვნელოვანი ბიოგრაფიული საძიებლები: "საერთაშორისო ავტორები", "მწერლების ვინ ვინ არის", "საერთაშორისო ვინ ვინ არის პოეზიაში", "საერთაშორისო ბიოგრაფიის ლექსიკონი", ახალი გამოცემები - "XXI საუკუნის 2000 ცნობილი ინტელექტუალი" და "ვინ ვინ არის აზიასა და წყნარი ოკეანის ქვეყნებში".

კემბრიჯის ბიოგრაფიულ ლექსიკონში პირველად დათო მაღრაძის სახელი 1998 წელს გამოჩნდა. სხვათა შორის, სწორედ ამ წლიდან დანიის ინგლისურენოვანმა ელექტრონულმა უწყებამ Net-Book Club-მა ქართველ პოეტთან ხელშეკრულების გაფორმების სურვილი გამოთქვა და მისი ლექსების თარგმანზე ექსკლუზიური უფლება მოიპოვა.

დათო მაღრაძის შემოქმედებით ცხოვრებაში კიდევ ერთი (უფრო სწორად, ორი) სიახლეა. დღეს, 27 მაისს, წლის საერთაშორისო მწერლის ნომინანტი პოეტი წიგნის მაღაზია "პარნასის" სტუმარი იქნება და, ალბათ, ამ ნომინაციაზეც გვეტყვის ერთ-ორ სიტყვას. თუმცა, დღევანდელი პარნასული შეხვედრის მიზეზი სულ სხვაა. საღამოს ხუთ საათზე დათო მაღრაძის წიგნის პრეზენტაციაა დანიშნული. ეს არის წერილების კრებული, რომელიც გამომცემლობა "მერანმა" დასტამბა. მასში შესულია პუბლიცისტურ-ლიტერატურული ნაწერები: "ელიტა... გვირგვინი გამტყდარი" (რეცენზია ვახუშტი კოტეტიშვილის წიგნზე "ჩემი წუთისოფელი"), "სარკმელი საკანში" (ჯაბა იოსელიანის "ლიმონათის ქვეყანას" ლიტერატურული მიმოხილვა), მწვავე კრიტიკაც: "თბილიSOSობა", "არჩევანი - თბილისელებს, ღირსება - თბილისს", ორი სამეცნიერო სტატია – "კირიონ II" და "ისტორიული პარალელები", და რამდენიმე ინტერვიუ. წიგნში თავმოყრილი სტატიები სხვადასხვა დროს დაიბეჭდა ქართულ პერიოდულ პრესაში, უბრალოდ, ზოგიერთი წერილი ცოტა ჩასწორებულია და ოდნავ შეცვლილი.



დათო მაღრაძის მედლის ორივე მხარე

ახალი კრებული იხსნება სტატიით "კულტურა - მეფური ნაკლი"; სწორედ ამ სტატიის სახელი ჰქვია კრებულს, რომლის გარეკანი ლევან ჭოღოშვილის ნახატის ფრაგმენტითაა გაფორმებული. სტატიის სახელი კი ჯეიმს ჯოისიდან მოდის: "ჯეიმს ჯოისის "დუბლინელების" ერთ-ერთი პერსონაჟი, გებრიელი ამბობს: "ალბათ, ზოგი მიკიჟინებს და მეტყვის, ეგ ტრადიცია (სტუმარმასპინძლობა) ჩვენი ნაკლი უფროა, ვიდრე თავმოსაწონებელი ამბავიო. დაე, ასე იყოს, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს გახლავთ ჭეშმარიტად მეფური ნაკლი" - ვკითხულობთ სტატიაში, სადაც ავტორი ჩვენი საზოგადოების პრობლემებს ეხება და თავის მოქალაქეობრივ გულისტკივილს გამოხატავს.

რაც შეეხება დათო მაღრაძის ბოლო ლექსების კრებულს - "ნიკალას", რომელიც შარშან წიგნის ფესტივალზე დაჯილდოვდა ფესტივალის მთავარი პრიზით – "საუკეთესო ლექსების კრებულისათვის", ის უკვე მესამე ტირაჟით გამოიცა. მეორე გამოცემიდან შერჩენილი ეგზემპლარები ამასწინათ ეროვნული ბიბლიოთეკის წინ გამართულ გარევაჭრობაზე დაიტაცეს. "ნიკალას" ახალი ტირაჟიც დღეს შევა წიგნის მაღაზიაში.

დანარჩენს დღეს საღამოს შეიტყობთ, არ დაგავიწყდეთ, ხუთ საათზე, "პარნასში".

# რუსული სცენის ბრწყინვალება

**Блестящие-მ "აჭარა მიუზიკ ჰოლის" სცენა და თბილისელ მამაკაცთა გულები დაიპყრო**


რუსი გოგონები ბრწყინავენ

ვერა ნეფარიძე

ნამდვილად შენიშნავდით ქუჩებში ახლახან გაჩენილ პლაკატებს, სადაც ოთხი თითქმის გაშიშვლებული გოგონაა გამოსახული. თუ ძალიან არ დაინტერესდებოდით, ისიც გეგონებოდათ, რომ ეს პლაკატები სტრიპტიზ-შოუს შესახებ იუწყებოდნენ. არადა, გოგონები რუსული პოპ-ჯგუფის წევრები არიან. და როგორც ჩვენთან მსგავსი კულტურის მოყვარულები ამტკიცებენ, რუსეთში საკმაო პოპულარობითაც იწონებენ თავს. წუხელ რუსულმა ჯგუფმა Блестящие-მ "აჭარა მიუზიკ ჰოლში" თავისი პირველი და ერთადერთი კონცერტი გამართა.

თუკი "აჭარა მიუზიკ ჰოლი" სამი დღის წინათ წარმატებული ქართული საკონცერტო პროექტის (ნინო ქათამაძისა და გოგი ძოძუაშვილის) საპრეზენტაციო კლუბი იყო, ორი დღის წინათ კი დამოუკიდებელი გერმანული ელექტრონული მუსიკის ფავორიტებს მასპინძლობდა, გუშინ მესამე ხარისხოვან რუსულ პოპ-ჯგუფს დაუთმო დარბაზი. რას იზამ, შოუ-ბიზნესი ჩვენგან უფრო მეტს მოითხოვს ხშირად, ვიდრე ამას კომპრომისი შეიძლება ვუწოდოთ. გასაგებია, რომ თბილისური მეგა-კლუბის ხელმძღვანელებს გარკვეულ დათმობებზე წასვლა უხდებათ, რაშიც ძნელად თუ გაამტყუნებ. მითუმეტეს, მას შემდეგ, რაც დაინახავ, თუ როგორი წარმატებით იმართება ჩვენთან რუსეთიდან ექსპორტირებული საეჭვო ხარისხის ესტრადა.

ამჯერად "აჭარა მიუზიკ ჰოლის" მესვეურებმა არჩევანი რუსული პოპ-სცენის ერთ-ერთ ძალზე ჩვეულებრივ წარმომადგენელზე, გოგონების კვარტეტზე Блестящие-ზე შეაჩერეს. ეს ჯგუფი მშობლიურ სცენაზეც დიდად არ ბრწყინავს და თუკი რაიმე წარმატებისთვის მაინც მიუღწევია, ეს უფო მეტად მათი "სექსუალური" იმიჯის დამსახურებაა. გოგონები ცდილობენ, ასეთი იმიჯის ბოლომდე ერთგულები დარჩნენ. ალბათ, ამიტომაცაა, რომ თითქმის ყველა ინტერვიუში, ცალ-ცალკეც და ერთადაც, მუსიკაზე მეტად, ყურადღებას საკუთარ სასიყვარულო თავგადასავლებზე ამახვილებენ.

ჯგუფი Блестящие 1995 წელს ჩამოყალიბდა. მისი შექმნის იდეა ორ ცნობილ პროდიუსერს ანდრეი შლიკოვსა და ანდრეი გროზნის გაუჩნდა. ჯგუფის პირველივე სიმღერა Там, только там ყველა შესაძლო რუსულ ჰიტ-პარადში მოხვდა; რასაც ორი სიმღერა Цветы ГА Туман მოჰყვა, რომლებიც გოგონების პირველ, სადებიუტო ალბომში შევიდა. ყოვლად უხეირო სასიყვარულო ტექსტებმა და კლიპებმა ჯგუფს რუსეთში პოპულარობა მოუტანა. ამიტომაც ისინი ძირითად ყურადღებას რუსეთის ფარგლებში გასტროლებს უთმობენ. გოგონები იმდენად ბევრს მოგზაურობენ, რომ ხშირად ფერხდება მათი მუშაობა ხმის ჩამწერ სტუდიებში. მათ შემოქმედებაში დღემდე ექვსი ალბომია. აქვთ წვრილ-წვრილი წარმატებებიც. მაგალითად, ის, რომ რუსმა ჟურნალისტებმა Блестящие ქვეყანაში გოგონების საუკეთესო ჯგუფად აღიარეს. მათ "რუსული საცეკვაო მუსიკის ბებიადაც" მოიხსენიებენ თურმე. ორი ვიდეოკლიპი (Белым снегом ГА Долго тебя ждала) კი "რუსულ ათეულსა" და "ტოპ-ოცეულში" სარეკორდო დროის განმავლობაში დარჩა.

ირა, ქსიუშა, იულია და ჟანნა თბილისში გუშინ საღამოს, დაგვიანებული ავიარეისით ჩამოვიდნენ. ამის გამო გოგონებმა დაიგვიანეს დათქმულ პრესკონფერენციაზე და ისიც არ იკმარეს, მოუმზადებლობა მოიმიზეზეს და ჟურნალისტებთან შეხვედრა კონცერტამდე ერთი საათით ადრე მოინდომეს. აი, ასეთი პატივი გვცეს საქართველოს ეროვნულ დღესასწაულზე სტუმრად ჩამოსულმა პოპ-მომღერლებმა. და მე თუ მკითხავთ, ახია ჩვენზე.

# გალა-კონცერტი დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად

გუშინდელი დღისთვის რესპუბლიკის მოედანი საგანგებოდ მოამზადეს. 26 მაისისთვის კომპანია "არტ-იმედმა" და თბილისის კულტურის საქალაქო სამსახურმა დიდი ხანია დაგეგმეს გრანდიოზული გალა-კონცერტი. ეს ღონისძიება საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს და სტუდენტური დღეების დახურვას მიეძღვნა. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს სტუდენტური დღეების მონაწილეებმა და ქართული ესტრადის ვარსკვლავებმა. სხვათა შორის, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს "არტ-იმედი" დაარსებიდან ერთი წლის იუბილესაც ზეიმობს. გუშინ რესპუბლიკის მოედანზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. **(24 საათი)**

# 25 წელი სცენაზე

მანანა ფაცურია
მუსიკათმცოდნე

მსოფლიო საოპერო ცათამბჯენზე პაატა ბურჭულაძეს ვარსკვლავი უკვე 25 წელიწადია კაშკაშებს. ქართველმა ბანმა ყველა კონტინენტის მსმენელი მოაჯადოვა. განთქმული თეატრები უდიდეს პატივად მიიჩნევენ პაატა ბურჭულაძის გამოსვლას თავიანთ სცენაზე. ბრწყინვალე ხმის, საოცარი არტისტიზმისა და ოსტატობის მქონე მომღერალმა ადრეულ ასაკშივე მიიპყრო თანამედროვეობის უდიდესი მუსიკოსების ყურადღება.

1981 წელს ქალაქ ბუსეტოში გამართულ ვერდის ხმების საერთაშორისო კონკურსზე პაატა ბურჭულაძემ პირველი ადგილი მოიპოვა, მომდევნო წელს მოსკოვში ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსზე ოქროს მედლისა და პირველი ადგილის მფლობელი გახდა. 1985 წელს კი მას ლუჩანო პავაროტის საერთაშორისო კონკურსზე უზარმაზარი წარმატება ხვდა წილად.

პაატა ბურჭულაძეს სენსაციურ დებიუტად საოპერო სცენაზე ლონდონის "კოვენტ გარდენში" შესრულებულ რამფისის პარტიას მიიჩნევენ (ჯუზეპე ვერდის "აიდა"). აქ ახალგაზრდა ქართველმა ბანმა ღირსეული პარტნიორობა გაუწია კატია რიჩარელისა და ლუჩანო პავაროტის. სპექტაკლს ზუბინ მეტა დირიჟორობდა.

პაატა ბურჭულაძეს სწორუპოვარი ხელოვნების წინაშე ყველაზე სიტყვაძუნწი კრიტიკოსებიც კი ვერ ფარავენ თავიანთ აღფრთოვანებას. 1988 წელს ერთ-ერთმა ცნობილმა იტალიურმა ჟურნალმა "ლა სკალას" სეზონის გახსნისას გამოაქვეყნა სტატია "რა ცვლილებები განიცადა ვოკალურმა ხელოვნებამ ბოლო 100 წლის მანძილზე". იქვე იყო ნათქვამი, თუ რომელმა თანამედროვე მომღერალმა შეცვალა უკვე ლეგენდად ქცეული მომღერალი


პაატა ბურჭულაძე - ბორის გოდუნოვი

და ვინ არის დღეისათვის მათი ტრადიციების ღირსეული მემკვიდრე. ასე, კრის მერიტი შეადარეს ენრიკო კარუზოს, მონსერატ კაბალიე – მარია კანილიას, ხოლო პაატა ბურჭულაძე – თეოდორ შალიაპინს.

ჰერბერტ ფონ კარაიანმა პაატას მოსმენის შემდეგ განაცხადა: "დღევანდელ დღეს პაატა ბურჭულაძე ერთადერთი და განუმეორებელი ბანია. პაატა მეორე შალიაპინია". 1987 წელს ლეგენდარულმა დირიჟორმა ქართველი მომღერალი ზალცბურგის ფესტივალზე მოცარტის "დონ ჟუანში" მონაწილეობისთვის მიიწვია. მისივე დირიჟორობით პაატა ბურჭულაძემ ვერდისა და მოცარტის რექვიემი შეასრულა.

საოპერო ხელოვნების ისტორიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან თარიღად 1986 წელს მიიჩნევენ, როდესაც ვენის შტატსოპერაში ვერდის "ლუიზა მილერი" დაიდგა. ეს ოპერა კარგა ხანია ვერ ხორციელდებოდა ერთი მიზეზის გამო - ვერ ნახეს ისეთი ბანი, რომელიც დაძლევდა ფონ ვალტერის საოცრად რთულ პარტიას. მაგრამ გამოჩნდა პაატა ბურჭულაძე. ვენის "კურიერმა" სპექტაკლის დასასრულს ასეთი შეფასება მისცა მომღერალს: "ეს იყო პაატა ბურჭულაძის სენსაციური გამოსვლა. საბოლოოდ, მოგვევლინა მომღერალი, რომელმაც შესანიშნავად გაართვა თავი ამ ურთულეს პარტიას". სწორედ ამ პრემიერის შემდეგ ავსტრიის აღფრთოვანებულმა საზოგადოებამ ჩამოაყალიბა პაატა ბურჭულაძის სახელობის მოყვარულთა კლუბი, რომელსაც ავსტრიის მთავრობამ ოფიციალური სტატუსი მისცა.

საოპერო მოღვაწეობას პაატა ბურჭულაძე აქტიურ საკონცერტო ცხოვრებას უთავსებს. მართავს კონცერტებს ყველა განთქმულ ფესტივალზე, ყველა განთქმულ სცენაზე (ლა სკალა, კოვენტ გარდენი, ბერლინის, ბავარიის სახელმწიფო ოპერა და ა.შ). 1998 წელს შტუტგარტის სახელმწიფო ოპერამ, პაატა ბურჭულაძეს კამერზანგერის ტიტული მიანიჭა. იმავე წელს რუსეთის Палата личности-მ და რუსულმა ეკლესიამ (12 თებერვალს, პაატა ბურჭულაძის დაბადების დღეს), ვენაში მართლმადიდებლურ ეკლესიაში პაატა ბურჭულაძე თავად აკურთხა. ეს პატივი მას რუსული მუსიკალური კულტურის განვითარებისა და მსოფლიო მუსიკალურ კულტურაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილის გამო ხვდა წილად.

წელს პაატა ბურჭულაძეს სასცენო მოღვაწეობის 25 წელი სრულდება. ეს საიუბილეო თარიღი ჯერ მოსკოვში (14 ივნისს), დიდ თეატრში, შემდეგ კი თბილისში (17 ივნისს) აღინიშნება. ამ დღეს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში თავს მოიყრიან ის გამოჩენილი ქართველი მომღერლები, რომლებიც უდიდესი წარმატებით გამოდიან მსოფლიოს წამყვან საოპერო სცენებზე და რომლებმაც ქართულ ვოკალურ ხელოვნებას საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი: მაყვალა ქასრაშვილი, ზურაბ სოტკილავა, ლადო ათანელი, ბადრი მაისურაძე, იანო ალიბეგაშვილი, ნატო ჭყონია, თეა დემურიშვილი, ლაშა ნიქაბაძე, თამრიკო ჯავახიშვილი. ეს იქნება პირველი და უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც ამდენი ქართველი ვარსკვლავი ერთად გამოვა სცენაზე. ამ საიუბილეო საღამოს კიდევ ერთი პრიმადონა – მარინა გულეგინა დაამშვენებს. მომღერალი, რომლის გარეშე არცერთი განთქმული თეატრი არ ხსნის სეზონს.

2003 წლის 17 ივნისი, მართლაც რომ, განუმეორებელი დღე იქნება არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიო მუსიკალური კულტურის ისტორიაშიც.



# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმში რომ გადაღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

## ინფორმაცია

### "ჯორდანის" ნამსხვრევები აუქციონზე

"ჯორდანის" საჯინიბოს შეფმა ედი ჯორდანმა უჩვეულო ხერხს მიაგნო: მან გადაწყვიტა, ბოლიდის ნამსხვრევები აუქციონზე გაყიდოს და ამით საკუთარი გუნდის ბიუჯეტი გაზარდოს. კერძოდ, "ჯორდანის" მეპატრონეს ტაკუმა სატოს ნიკ ჰაიდფელდთან 2002 წელს ავსტრიულ ცელტვეგში შეჯახებისას დამსხვრეული ბოლიდის მონოკოკის გაყიდვა სურს.

მონოკოკის საწყისი ფასი 14,500 ფუნტი სტერლინგია. ეს კი, დაახლოებით, 23, 760 ევროს უდრის. მაიკ ჰოლ-ტეილორის თქმით, რომელიც გუნდის სიმბოლიკით დამშვენებული ნაწარმის გაყიდვაზეა პასუხისმგებელი, ჯორდანის წინადადებით ყველაზე მეტად სატოს თანამემამულე გულშემატკივრები - იაპონელები დაინტერესებულან.

### შუმახერი სენას ნაკვალევზე

"ფერარის" გერმანელ პილოტს მიხაელ შუმახერს ფორმულა 1-ის ლეგენდარული პილოტის აირტონ სენას რეკორდის დამხობა განუზრახავს. აუცილებელ წინაპირობად კი მონაკოს გრან-პრიზე გამარჯვება და, შესაბამისად, ჩემპიონატში გასული წლის მდგომარეობის აღდგენა მიაჩნია. გასულ კვირას ფიორანოში, "ფერარის" საცდელ ტრასაზე ნაჩვენები შედეგები შუმახერს ოპტიმიზმის საფუძველს აძლევს. რაც შეეხება მონაკოს გრან-პრის, გერმანელ პილოტს სამეფო ტრასებზე ხუთჯერ უმარჯვნია – ორჯერ "ბენეტონის" საჭესთან მჯდომს და სამჯერ - "ფერარის". 1994 წელს თუ არ ჩავთვლით, შუმახერს მონაკოს ქუჩებში ყველა გამარჯვება კენტ წლებში - 1995, 1997, 1999 და 2001 წლებში მოუპოვებია. ასე რომ, თუ ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი მონაკოში ფინიშის ხაზს მეექვსედაც პირველი გადაკვეთს, მას შეუძლია, ბრაზილიელ დიდოსტატს გაუთანაბრდეს. თავის დროზე, 1993 წელს, სენამ დაამხო რეკორდი, როდესაც გრეჰემ ჰილის 24 წლის წინანდელი შედეგი გააუმჯობესა.

### შევჩენკოს ოცნებამდე მერკი გაუძლვება

"მილანის" უკრაინელი ლეგიონერი ანდრეი შევჩენკო დარწმუნებულია, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში "იუვენტუსთან" დაპირისპირება სულისშემძვრელი სანახაობა იქნება.

კახი კალაძის თანაგუნდელს მიაჩნია, რომ "იუვე" უდიდესი გუნდია, მაგრამ არანაკლებია "მილანი": "მე მომწონს "იუვე" – არაჩვეულებრივი გუნდია. პირადად ჩემთვის მიმდინარე სეზონი არცთუ ისე წარმატებული გამოდგა. თუმცა, ამჯერად თავს კარგად ვგრძნობ და მშვენიერ ფორმაში ვარ. 28 მაისი ჩემი ცხოვრების საუკეთესო დღედ უნდა იქცეს. ძალიან მინდა, ჩემპიონთა ლიგა მოვიგოთ. მნიშვნელობა არა აქვს, ვინ შეაგდებს ბურთს. ჩვენ გუნდური თამაშით უნდა გამოვიჩინოთ თავი".

ამასობაში გაირკვა მთავარი მსაჯის ვინაობა, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ფინალში "ოლდ ტრაფორდზე" "როსო-ნეროსა" და "ბებერ ქალბატონს" წარუძღვება. ეს გერმანელი მარკუს მერკია.

### სალოლ, "ბეშიქთაშ"!

თურქეთის "ბეშიქთაში" 1995 წლის შემდეგ პირველად გახდა ქვეყნის ჩემპიონი. ამასთან, შეწყვიტა "გალათასარაისა" და "ფენერბაჰჩეს" ჰეგემონიაც. ჩემპიონის ბედი სწორედ მოქმედ ჩემპიონთან "გალათასარაისთან" დაპირისპირებისას გაირკვა. 33-ე ტურში აწ უკვე ჩემპიონებმა მატჩის მიწურულს, 89-ე წუთზე, სერგენის ერთადერთი და გადამწყვეტი გოლით ვადამდე ადრე გაინაღდეს ჩემპიონობა. გაშვებული ბურთის შემდეგ ექს-ჩემპიონებს მოედნიდან ერთბაშად ორი მოთამაშე გაუძევეს.

### კიეველებმა მეექვსედ მოიპოვეს თასი

კიევის "დინამოს" ბარიერი კვლავაც ვერ გადალახა დონეცკის "შახტიორმა". უკრაინის ჩემპიონატის ბოლო მატჩში შახტიორელები 1:2 დამარცხდნენ. კიეველებმა კი დონეცკელთა მოთამაშის პუკანიჩის ავტოგოლის წყალობით გაიმარჯვეს და სატურნირო ცხრილს სათავეში მოექცნენ. თამაშის ფასი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე სატურნირო ცხრილში დაწინაურება - ორივე გუნდი უკრაინის თასის ფინალში თამაშობდა. კიეველთათვის ეს რიგით მეექვსე უკრაინის თასია. "შახტიორს" კი ამავე რანგის ტურნირზე ოთხჯერ გაუმარჯვია.

### "იუვემ" ლოპეს თვალი დაადგა

არგენტინის ნაკრებისა და იტალიური "ლაციოს" თავდამსხმელს კლაუდიო ლოპეს თვალი დაადგეს. კერძოდ, ტურინის "იუვენტუსს" ძალიან უნდა, მომავალ სეზონში არგენტინელი ლეგიონერი "დელე ალპიზე" იხილოს და ამისთვის უკან არაფერზე დაიხევს. საქმე ის არის, რომ "პოხოზე" იტალიის (და არა მარტო იტალიის) კლუბებიც ნადირობენ. მათ შორისაა ესპანეთის "ვალენსია". თუმცა, არის ერთი უჩვეულო დეტალი: შვიდი თვეა, რაც "ლაციოს" თავდამსხმელი კლუბისგან ერთ ცენტსაც ვერ იღებს. ახლა ორივე კლუბის - "ლაციოსა" და "იუვეს" ხელმძღვანელობა მზადაა, მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ, ოღონდ ერთი პირობით: რომაელებმა ფეხბურთელს ვალი უნდა გადაუხადონ. თავად კლაუდიომ მიმდინარე სეზონში 15 ბურთი გაიტანა და ბომბარდირთა დავაში ბრაზილიელ ადრიანუსთან მეხუთე ადგილს იყოფს.

### ერაყელთა პირველი მეტოქე "ბარსელონაა"

იზოლაციის შემდეგ ერაყის საფეხბურთო ნაკრები პირველ მატჩს საერთაშორისო არენაზე ესპანეთის "ბარსელონას" წინააღმდეგ გამართავს.

როგორც გაზეთი "აშ-შარქ ალ-აუსათი" იტყობინება, ერაყის აღდგენილი ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელმა, სახელგანთქმულმა აჰმედ რადიმ გუშინ ამანში "ბარსელონას" წარმომადგენლებთან ამხანაგურ მატჩზე შეთანხმებას მოაწერა ხელი. იმავე შეთანხმების მიხედვით, ერაყელი ფეხბურთელები "ბარსელონას" საწვრთნელ ბაზაზე, ამავე კლუბის ხარჯებით სასწავლო შეკრებასაც გაივლიან.

ახლა, როდესაც ხელშეკრულებაზე ხელი მოწერილია, აჰმედ რადის თქმით, ერაყის ფეხბურთის ფედერაციას ახლო მომავალში პანარაბეთისა და აზიის ფეხბურთის ფედერაციებში, ასევე ფიფაში წევრობის აღდგენაც მოუწევს. თავად ნაკრებს სექტემბერში ორი მატჩი ელის. ერთი ვიეტნამთან - ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობის უფლებისთვის და მეორე მალაიზიასა და ბაჰრეინთან - აზიის თასის გათამაშებაში.

## TV-სპორტი

### სამშაბათი. 27 მაისი

**НТВ + ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 გასული კვირის ჰიტ-პარადი
15:00 საფეხბურთო უიკ-ენდი
15:45 საფრანგეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა
16:40 გერმანიის ჩემპიონატი. მიმოხილვა
17:40 მინი-ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ფინალი
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:15 ლიბერტადორესის თასი. მეოთხედფინალების მიმოხილვა
20:10 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. "რეალი" - "იუვენტუსი"
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა
22:50 თავისუფალი დარტყმა
23:05 სახვალიო ტელეპროგრამა
23:10 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. "მილანი" - "ინტერი"
00:55 ლიბერტადორესის თასი. მეოთხედფინალების მიმოხილვა

**НТВ + СПОРТ**
11:00, 13:45, 17:00, 20:00 პრეს-ცენტრი
11:15, 24:00 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 "NHL პლუსი". კვირის შეჯამება
12:15 "რკინის ფაქტორი". მოსკოვის ჩემპიონატი ბოდიბილდინგში
12:45 "საჭადრაკო მიმოხილვა"
13:15 "კეგლის დროა"
14:00 ჩოგბურთი. "როლან გაროსი". პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
00:05 სახვალიო ტელეპროგრამა
00:10 ამერიკული ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა
01:10 ახალი ამბები
01:25 "NHL პლუსი". კვირის შეჯამება
01:35 "ბილიარდის მეფეები"

**EUROSPORT**
11:30 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი
13:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ლეგენდები
14:00 ჩოგბურთი. "როლან გაროსი"
23:00 ჩოგბურთი. "როლან გაროსი"
24:00 ჩოგბურთი. "როლან გაროსი"
01:00 კრივი
03:00 კრივი
03:30 ახალი ამბები
03:45 ტრიალი
04:15 ახალი ამბები

## ფეხბურთი

# შუშაკის პირველი ქართული ტიტული

A1 გვერდიდან



"დინამომ" და შუშაკმა ეს თასი დაიმსახურეს



მეორე ტაიმში "დინამო" დამშვიდდა და მეტოქეს კონტრთამაშის გაშლის საშუალება მისცა. ისიანმა "მაკრატელა" დარტყმით ეფექტური და პრესტიჟის გოლი გაიტანა.

**ივო შუშაკი:** "ძალიან მიხარია. ჩემმა ფეხბურთელებმა დაიმსახურეს ეს გამარჯვება. მთელი სეზონის განმავლობაში დამაჯერებლად მივიწევდით ამ ჯილდოსკენ და დღესაც დავამტკიცეთ, რომ თასს ღირსეული მფლობელი ჰყავს. რაც შეეხება მატჩს, "სიონი", პირველ რიგში, სათამაშო ოსტატობითა და კლასით დავჯაბნეთ. თუმცა, მეტოქემ თავდადებით იბრძოლა და ნამდვილად ქების ღირსია. ნურც იმას დაივიწყებთ, რომ წინა ეტაპზე ამ გუნდმა გათამაშებას ჩამოაცილა ქვეყნის ჩემპიონი - "ტორპედო".

დღეს ამ გამარჯვებას ვიზეიმებთ, თუმცა, დღესასწაული დიდხანს არ გასტანს, რადგან, ხვალიდან სეზონის კიდევ ერთი მთავარი მატჩისთვის უნდა მოვემზადოთ და 30 მაისს ჩემპიონის ტიტულიც მოვიპოვოთ. თასის ფინალში გამარჯვებას, მთელი გუნდის სახელით, ვუძღვნი ჩვენს მთავარ სპონსორს, ბატონ ბადრი პატარკაციშვილს, რომელიც "დინამოს" წარმატებების მთავარი სულისჩამდგმელია".

**თემურ მახარაძე:** "თავს ზემოთ ძალა არ არის. "დინამომ" ყველა ასპექტში გვაჯობა და დამსახურებულად გაიმარჯვა. ჩემი ფეხბურთელების უმეტესობისთვის ეს პირველი თასის ფინალი იყო. დაძაბულობის გამო წუხელ ბიჭებს ხეირიანად არც ეძინათ. გამოუცდელობამაც თავისი გაიტანა. თუმცა, თასის ფინალში გასვლა ჩვენთვის დიდი პატივი და მიღწევაა და ეს გარემოება მომავალ სეზონში უეფას თასის ტურნირში ასპარეზობის უფლებას გვაძლევს".

უპრეცედენტო ფაქტია: ბოლნისის "სიონი" მხოლოდ მაშინ მიიღებს უეფას თასის საგზურს, თუ "დინამო" ჩემპიონი გახდება. ეს კი იმ შემთხვევაში მოხდება, თუ "დინამო" 30 მაისს ბოლო ტურში დაამარცხებს... "სიონს". შესაბამისად, 30 მაისს მთელი ბოლნისი, "სიონის" ფეხბურთელების ჩათვლით, "დინამოს" უქომაგებს.

**დავით ყიფიანის თასი. ფინალი**

**დინამო 3:1 სიონი (3:0)**

**დინამო:** *ზოიძე, კარლოსი (ახალაია, 64`), ხიზანეიშვილი (კანდელაკი, 31`), შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კვირკველია, გოგობერიშვილი, ანჩაბაძე, ბურდული (ვაშაკიძე, 76`), დარასელია, ალექსიძე*
**სიონი:** *ვოლკოვი, ბურნაძე, ხუჯაძე, ფანჩულიძე, სვანაძე (გოგიტაძე, 46`), გაბისკირია, დაუშვილი (ბაქრაძე, 46`), შავგულიძე, გვასალია, დათუაძე (ისიანი, 64`), წივწივაძე*
**გოლები:** *1:0 ხიზანეიშვილი 10`, 2:0 დარასელია 15`, 3:0 ანჩაბაძე 45`, 3:1 ისიანი 76`*
**მსაჯი:** *მერაბ მალაღურაძე*

**თემურ მახარაძე:** "ჩემს პრაქტიკაში ასეთი მატჩი პირველია. რომ გითხრათ, ამ შეხვედრისთვის სერიოზულად მოვემზადებით და "დინამოს" დამარცხებას შევეცდებით-მეთქი, დამიჯერებთ?"

გუშინ "ლოკომოტივის" შეფმა აკაკი ჩხაიძემ ხმაურიანი განცხადება გააკეთა. მისი მტკიცებით, "ლოკომოტივისა" და "დინამოს" 22 მაისის კალენდარულ მატჩში, შესვენების დროს, დინამოელებმა მისი გუნდის ფეხბურთელებს ქრთამად 10 ათასი დოლარი შესთავაზეს და მხოლოდ ამის ხარჯზე მოახერხეს გამარჯვების მოპოვება. შუშაკმა რკინიგზის დეპარტამენტის ამ განცხადებაზეც გააკეთა კომენტარი: "წელიწადნახევარია, რაც "დინამოს" ჩავუდექი სათავეში და ამ ხნის განმავლობაში დაძაბული, მუხლჩაუხრელი მუშაობით მივიწევთ მიზნისკენ. რაც მთავარია, პატიოსანი თამაშის წესები არ დაგვირღვევია. გუნდი, რომლის ხელმძღვანელობამ ასეთი ბინძური ბრალდებები წამოგვიყენა, ბოლო ერთი თვის განმავლობაში ოთხჯერ დავამარცხეთ, საერთო ანგარიშით 10:1 და სირცხვილია, რომ ამის შემდეგ წაგების მიზეზად ასეთ აბსურდულ ბრალდებებს გვიგონებენ. არავის მივცემ უფლებას, დააკნინოს "დინამოს" დამსახურებები."

# კომსი-კომსა, მონ ჩუქრი!

ვალერი ჩუქრი დსთ-სა და ბალტიის ქვეყნებში ფიფას პროგრამა გოლის კურატორია და ამ პროგრამის აღსრულებაზე თვალყურის დევნება ევალება. დიდი მხიარული კაცია პატივცემული ჩუქრი. მოგვესალმა, მოგვიკითხა: "ზეპ ბლატერის ვიზიტი რა კარგად გააშუქეთო", - შეგვაქო და პროგრამა "გოლის" არსსა თუ ავან-ჩავანზე დაიწყო ლაპარაკი. ეს ყველაფერი ფეხბურთის ფედერაციაში მოხდა. ვალერი ჩუქრის ამალას ვალერი ჩოლარია, შოთა ხინჩაგაშვილი (ბაზის დირექტორი) და თენგიზ რუხაძე (ფიფას წარმომადგენელი ბაზის მშენებლობის საკითხში) შეადგენდა.

გაირკვა, რომ პროგრამა "გოლის" პროექტები 182 ქვეყანაში ხორციელდება. ეს ქვეყნები 12 წარმომადგენლობად იყოფა. დსთ-სა და ბალტიის ქვეყნების წარმომადგენლობის სათაო ოფისი მოსკოვში მდებარეობს. სწორედ იქ მუშაობს ჩვენი ბატონი ჩუქრი.

პროგრამა "გოლის" პროექტები, მოთხოვნილების მიხედვით, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს და ფეხბურთის განვითარებას ითვალისწინებს. "გოლის" საქმიანობის სფერო ფეხბურთის ფედერაციების ოფისების მშენებლობა, ტექნიკური ცენტრების შექმნა, ხელოვნურსაფარიანი მოედნების დაგება, ბავშვთა ფეხბურთის განვითარება და იმ ატრიბუტიკის შეძენაა, რომელიც ფეხბურთის განვითარებისა და ვარჯიშისთვის აუცილებელია. საქართველოში ფეხბურთის ფედერაციის ოფისისა და ეროვნული ნაკრების ბაზის მშენებლობაც პროექტის ერთი ნაწილია.

საინტერესოა, რომ ამ საქმისთვის განკუთვნილი თანხა ფეხბურთის ფედერაციების ანგარიშზე კი არ ირიცხება, არამედ, კონტრაქტის საფუძველზე, პირდაპირ სამშენებლო კომპანიებს გადაეცემა. ვალერი ჩუქრის განმარტებით, ეს ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა და სრული გარანტიაა იმისთვის, რომ ფული მიზნობრივად დაიხარჯოს. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ საქართველოში ეროვნული ნაკრებისთვის საუკეთესო ბაზა აშენდა. დაარსდა ტექნიკური ცენტრი და ქართული მხარე ცდილობს, როგორმე პროგრამა "გოლი 2"-ის პროექტში ჩაერთოს და იმ ახალი პროექტისთვის განკუთვნილი ფულით ნაკრების ბაზაზე ორი მინი და ერთი დიდი მოედანი ააგოს. დაამონტაჟოს განათება 130 ლუქსის სიმძლავრით და მაყურებლისთვის სამი ათასი სკამი დადგას. ვალერი ჩოლარიას აზრით, "თუ ჩანაფიქრი განხორციელდა, ეს საშუალებას მოგვცემს, ბაზაზე ოლიმპიური ნაკრების დონეზე საერთაშორისო მატჩებს ვუმასპინძლოთ. განზრახული გვაქვს, ფეხბურთის ფედერაციის რაიონული ოფისები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეშიც ავაგოთ. ფიფას დახმარებით ვაპირებთ რეგიონებში სათამაშო მოედნების მშენებლობასაც".

ჩოლარიას ოპტიმიზმი სტუმარმაც გაიზიარა და იმედი გამოთქვა, რომ ჩანაფიქრი განხორციელდება. "ბლატერმა თქვა: 28 წელიწადია, ფიფაში ვმოღვაწეობ და მუდმივად ფეხბურთის განვითარების პროგრამებზე ვმუშაობდიო. ასე რომ, ეს საქმიანობა ბლატერისთვის საყვარელი და კარგად ნაცნობია. საქართველოს შანსი აქვს, ახალ პროექტშიც ჩაებას. ახლანდელი პროექტის თანხა 900 000 დოლარია და ეს თანხა ამ დროისთვის პრაქტიკულად ათვისებულია". - განაცხადა ვალერი ჩუქრიმ..

**თენგიზ რუხაძე:** "მშენებლობისთვის განკუთვნილი თანხიდან ასათვისებელი დარჩა დაახლოებით 5 პროცენტი. დანარჩენი ყველაფერი გაკეთებულია".

**ვალერი ჩოლარია:** "უნდა ვთქვა, რომ 900 000 დოლარიდან 400 000 პროგრამის ფარგლებში გვერგებოდა. დანარჩენი კი ჩვენი დანაზოგია იმ ფულიდან, რომელსაც ყოველწლიურად ფიფა გვირიცხავს. ამ თანხას ორი წლის განმავლობაში ვზოგავდით. ბაზისთვის ყველაფერი შეძენილი გვაქვს - ინვენტარი სარფის საბაჟოზეა და ამ დღეებში ველოდებით".

**შოთა ხინჩაგაშვილი:** "ეროვნული ნაკრების ახალი ბაზა ბასა ღოღობერიძის სახელობის იქნება. მარმარილოსგან მზადდება მემორიალური დაფა, რომელიც ბაზის კარზე დამონტაჟდება. არა მგონია, შესარჩევ ციკლში ბაზამ ნაკრების მიღება მოასწროს. მინდორი ახალი დაგებულია. იდეალურ მდგომარეობას რომ მიაღწიოს, 8-9 თვე მაინც სჭირდება. მიწა ჯერ ძალიან რბილია. ჯერ სატკეპნ მანქანასაც კი არ გადაუვლია და ფეხბურთელები რომ შევუშვა, აუცილებლად გაფუჭდება".

## კალათბურთი

# ერთი და ურთულესი

### "ბასკოს" ზედიზედ მეოთხედ გასაჩემპიონებლად ერთი მოგება სჭირდება

პაატა თოთაძე

**ბასკო - დინამო 81:80**

"26 მაისი. ბათუმის სპორტის სასახლე. საქართველოს ჩემპიონატის ფინალური მატჩი კალათბურთში. დასწრება სავალდებულოა". ასეთ აფიშებს ბოლო დღეებში მრავლად წააწყდებით ბათუმის ქუჩებში. ზღვისპირეთში დღეს ყველა ამ მატჩზე საუბრობს. არა აქვს მნიშვნელობა, უყვარს კალათბურთი თუ არა. მთავარია, რომ მატჩი ფინალურია და გუნდს მხარდაჭერა სჭირდება.

"ჩვენ თამაშს, ბუნებრივია, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მაყურებლის მხარდაჭერა. გულშემატკივარი მოედანზე მეექვსე მოთამაშე იქნება", - მატჩამდელ საუბარში განაცხადა ბათუმელთა მწვრთნელმა ნუგზარ კანდელაკმა. მაყურებლის ფაქტორზე ყურადღება გაამახვილა დრაჟენ ბრაიკოვიჩმაც, მაგრამ, მისი თქმით, მაღალი კლასის გუნდს ნებისმიერ პირობებში უნდა შეეძლოს არა მხოლოდ თამაში, სასურველი შედეგის მიღწევაც.

პირველი მაყურებელი სპორტის სასახლეში მატჩის დაწყებამდე ერთი საათით ადრე გამოჩნდა.

- რა ვქნა, არ შემიძლია სახლში გაჩერება. ამისთანა თამაში იყოს და მე შინ ვიჯდე?

დარბაზი ნელ-ნელა ივსება. ეჭვი არაა, ბოლომდე შეივსება. ამის მისახვედრად შესასვლელთან მდგარ გულშემატკივართა რიგის ნახვაც კმარა. ათასკაციან დარბაზში შესვლის მსურველი გაცილებით მეტია.

- გააღე მაი კარები, ჯო, ბევრი ყოფილა ამისთანა თამაშები?

- რო გავაღო, კედელზე ჩამოეკიდები? არაა დასაჯდომი ადგილი და...

- შენ რას ჯავრობ, დავჯდები თუ არა...

- არ გამოვა მაი საქმე.

ფინალის პირველი მატჩის მსგავსად, პირველი მეოთხედი ბათუმელთა უპირატესობით - 23:16 მთავრდება. ამაში სტუმრებსაც მიუძღვით წვლილი - საჯარიმოებს არაზუსტად ისვრიან. ეს პრობლემა "დინამოს" სხვა შეხვედრებშიც ჰქონია, მაგრამ თუ მაშინ თბილისელები, ასე თუ ისე, აღწევდნენ სასურველ შედეგს, დღეს ამის გაკეთება გაცილებით ძნელია.

- ბევრს "ვმაზავთ". უნდა გამოვასწოროთ როგორმე.

ასეთ რეპლიკას ხშირად გაიგონებდით პირველი მეოთხედის განმავლობაში თბილისელ სათადარიგოთა სკამზე.

შესვენების შემდეგ სტუმრები შედარებით გააქტიურდნენ. ბუნებრივია, ეს ანგარიშზეც აისახა. მეორე მეოთხედის დასრულებამდე დინამოელებმა სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირეს, თუმცა, ტაიმი ოთხი ქულით დათმეს.

- ნახე, რა თამაშია, იმას კი ჩემი შემოშვება არ უნდოდა.

ძალიან მოუნდომებია გულშემატკივარს დარბაზში შესვლა, რადგან ასობით ადამიანი, იმის იმედით, რომ სამართალდამცველები ახლა მაინც შეუშვებენ დარბაზში, კვლავაც კართან იცდიან.

- ბისტრო, ბისტრო!

დრაჟენ ბრაიკოვიჩი შეგირდებს აჩქარებს. მესამე მეოთხედის მესამე წუთისთვის სტუმრები უკვე 11 ქულით აგებენ.

- ახლა თუ ვერ მოიგეს და...

- აი რაა, ოცი ქულით უნდა მოიგონ.

- "დინამოს" ეთამაშებიან, შენ კი არა...

ასეთმა პასუხმა ხანშიშესული გულშემატკივარი გააღიზიანა. კალათბურთელი ყოფილა და ძველი ამბების გახსენება დაიწყო, სად და როდის როგორი ბურთი ჩაუგდია, როგორი თამაშები მოუგია და მისთანები.

"დინამო" ნელ-ნელა ამცირებს სხვაობას ანგარიშში და მეოთხედს სამი ქულით აგებს – 60:63. ყველაფერს ბოლო მეოთხედი გადაწყვეტს.

თამაში ქულა ქულაში მიდის. ორივე გუნდი ბევრს ცდება, განსაკუთრებით "დინამო".

"ბევრი შეცდომა დავუშვით მთელი შეხვედრის განმავლობაში და კონკრეტულად ამ მეოთხედში. მარცხიც ამან განაპირობა. დღეს ღამე ვიმსჯელებთ იმ შეცდომებზე, რომელიც გუნდმა დაუშვა და ხვალისთვის მათ გამოსწორებას შევეცდებით. ხვალინდელმა მატჩმა ბევრი რამ უნდა გაარკვიოს. ვეცდებით, ის ჩვენთვის სასიკეთოდ დასრულდეს", - ნამატჩევს განაცხადა დინამოელთა მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ.

"ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯის გადადგმა გვაკლია, მაგრამ სწორედ ამ ნაბიჯის გადადგმაა ყველაზე ძნელი. დღევანდელი შედეგით კმაყოფილი ვარ, მაგრამ მთავარი ბრძოლა წინ გვაქვს. მინდა, სწორედ იმ გადამწყვეტი ბრძოლის შემდეგ ვიყო კმაყოფილი", - აღნიშნა ნუგზარ კანდელაკმა.

დღეს მეორე მატჩია. იქნებ გადამწყვეტიც. ბათუმელებს დიდი იმედი აქვთ - "ბასკოს" ხომ წლეულს შინ "დინამოსთან" არ წაუგია.



Rolan Garros

# შრიჩაპხანი ტაილანდში გაისტუმრეს

საფრანგეთის ღია ჩემპიონატი უაღრესად მოულოდნელად დაიწყო და ისეთი პირი უჩანს, წლევანდელი ტურნირი ბევრ სიურპრიზს შემოგვთავაზებს. გათამაშებას გამოეთიშა პირველი ათეულის ორი ჩოგბურთელი: ტურნირის მე-4 ნომერი შვეიცარიელი როჟე ფედერერი და მე-10 ნომრად განთესილი ტაილანდელი პარადორნ შრიჩაპხანი. ეს მოვლენა თვითონ ჩოგბურთელებისთვის იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ გაოგნებულებს სანუგეშოდ ესღა აღმოხდათ: "არ ვიცი, რა ვთქვა, ყველაფერი უკუღმა დატრიალდა", - დაახლოებით ასეთი იყო ორივე ჩოგბურთელის საუბრის კონტექსტი.

"ეს მარცხი ჩემთვისაც დიდი სიურპრიზი აღმოჩნდა. ტურნირისთვის საგულდაგულოდ ვემზადებოდი და ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ საფრანგეთის ღია პირველობა ჩემთვის პირველივე წრეში ასე უიღბლოდ დასრულდებოდა. ლუის ჰორნას კარგად ვიცნობ. ვიცი მისი ძლიერი და სუსტი მხარეები. სამწუხაროა, რომ ჩემი კოზირი ვერ გამოვიყენე", - ამბობს როჟე ფედერერი. არადა, მატჩის დებიუტი შვეიცარიელისთვის საგანგაშოს არაფერს მოასწავებდა. ფედერერი ჩვეულ სტილში სხარტად თამაშობდა, მაგრამ ტაიბრეიკში აშკარად არ გაუმართლა. მეორე სეტში კი ნერვიულობა დაეტყო, რასაც უნებლიე შეცდომების კასკადი მოჰყვა და, სპეციალისტების აზრით, სწორედ ეს სეტი გახდა გადამწყვეტი. ფედერერმა - 2:6 წააგო და გამარჯვებისთვის საჭირო ყველა რესურსი ამოწურა.

პარადორნ შრიჩაპხანმა შედარებით დიდხანს იწვალა. სლოვაკ დომინიკ ჰრბატის ოთხი სეტი დასჭირდა ტაილანდელის დასამარცხებლად. ფედერერისა არ იყოს, საბოლოოდ შრიჩაპხანიც ზედმეტი დაძაბულობისა და უნებლიე შეცდომების მსხვერპლი გახდა. მოვლენათა ასეთი განვითარება პირდაპირ მისწრებაა ანდრე აგასისთვის, რომელმაც წლეულს დიდი სლემის ოთხივე ტიტულის მოგება განიზრახა და თავის მისწრაფებას არც მალავს. თუმცა, რეიტინგის პირველ ოცეულში საკმარისზე მეტია ისეთი ჩოგბურთელები, რომლებსაც ტურნირის მოგება შეუძლიათ და ეს სენსაცია სულაც არ იქნება.

საფრანგეთის ღია პირველობის ორგანიზატორებმა ბადის შედგენისას საკუთარი მოსაზრებებით იხელმძღვანელეს და ისე გამოვიდა, რომ ფინალში ლეიტონ ჰიუიტმა და ანდრე აგასიმ უნდა გააღწიონ, გზად კი ესპანელების - ფერეროსა და მოიას წინააღმდეგობა დაძლიონ. ბუკმეკერებს, თავის მხრივ, ფავორიტთა შესახებ განსხვავებული შეხედულება აქვთ. მათი ფავორიტები არიან - ფერერო (11-4), მოია და აგასი (ორივეს კოეფიციენტია 13-2). ამ ტრიოს მოსდევენ როჟე ფედერერი (უკვე დამარცხებული), კუერტენი და კორია (10-1). მხოლოდ მათ შემდეგ მოდის ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი (14-1). ბუკმეკერთა პირველ ათეულში მოხვდნენ: გაუდიო (20-1), მანტილია (25-1), გონსალესი, კალიერი, ნალბანდიანი და როდიკი (კოეფიციენტით 33-1). რაც შეეხება პარადორნ შრიჩაპხანს, მისი გვარი ბუკმეკერთა სიაში მეშვიდე ათეულშია კოეფიციენტით - 150-1-ზე.

რაც შეეხება ირაკლი ლაბაძეს, სამწუხაროდ, ის ასპარეზობას გამოეთიშა. კენჭისყრისას მას აშკარად არ გაუმართლა - პირველივე წრეში ტურნირის 29-ე ნომერი, ამერიკელი ვინსენტ სპეიდია ერგო მეტოქედ. ოთხი სეტის განმავლობაში ირაკლი კერკეტი კაკალივით გაუტეხელი იყო, მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლისთვის არც ფიზიკური და არც მორალური ძალა არ ეყო. 6:1, 3:6, 5:7, 6:4, 6:1 - სპეიდიას სასარგებლოდ.



ლუის ჰორნამ გმირობა ჩაიდინა

**პარიზი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი ("როლან გაროსი"). დიდი სლემის ტურნირი. პირველი წრე.**

**ვაჟები**

| | |
|---|---|
| ვინსენტ სპეიდია (აშშ, 29) - ირაკლი ლაბაძე (საქართველო) | 6:1, 3:6, 5:7, 6:4, 6:1 |
| ლუის ჰორნა (პერუ) - როჟე ფედერერი (შვეიცარია, 5) | 7:6 (8:6), 6:2, 7:6 (7:3) |
| დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) - პარადორნ შრიჩაპხანი (ტაილანდი, 10) | 6:4, 3:6, 6:0, 7:5 |
| მარტინ ვარკერკი (ჰოლანდია) - ზელკო კრაიანი (ხორვატია) | 6:3, 6:4, 6:4 |
| შტეფან კუბეკი (ავსტრია) - ალექსანდრ პოპი (გერმანია) | 7:5, 6:2, 6:3 |
| მარიანო საბალეტა (არგენტინა) - ფელიციანო ლოპესი (ესპანეთი) | 6:2, 7:6 (10:8), 6:0 |
| იუნეს ელ-აინაუი (მაროკო, 23) - ანტონი დიუპიუი (საფრანგეთი) | 6:4, 6:4, 6:4 |
| კარლოს მოია (ესპანეთი, 4) - ფილიპო ვოლანდრი (იტალია) | 7:6 (9:7), 4:6, 6:2, 6:3 |
| რაინერ შუტლერი (გერმანია, 11) - სესილ მამიიტი (აშშ) | 6:1, 2:6, 6:4, 6:2 |
| ქსავიე მალისი (ბელგია, 26) - ალექს კალატრავა (ესპანეთი) | 7:5, 6:4, 6:2 |
| მარიანო პუერტა (არგენტინა) - ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) | 6:2, 4:6, 7:6 (7:1), 6:1 |
| ჯონ ვან ლოტუმი (ჰოლანდია) - დიკ ნორმანი (ბელგია) | 6:3, 3:6, 2:6, 6:3, 6:4 |
| ჟან-რენე ლისნარი (საფრანგეთი) - მარიანო დელფინო (არგენტინა) | 6:1, 6:4, 4:6, 6:4 |
| კრისტოფ როხუსი (ბელგია) - ერმეს გამონალი (ჩილე) | 7:5, 6:3, 6:3 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| სერენა უილიამსი (აშშ, 1) - ბარბარა რიტნერი (გერმანია) | 6:2, 6:1 |
| ემილი ლუა (საფრანგეთი) - ელენა ლიხოვცევა (რუსეთი, 29) | 6:3, 6:2 |
| ტატიანა გარბინი (იტალია) - კრისტიანა უილერი (ავსტრალია) | 6:4, 6:3 |
| ანასტასია მისკინა (რუსეთი, 11) - დინარა საფინა (რუსეთი) | 6:2, 6:2 |
| ლორა გრენვილი (აშშ, 31) - მეილენ ტუ (აშშ) | 1:6, 6:1, 6:4 |
| ანა პისტოლეზი (ისრაელი) - კამილ პინი (საფრანგეთი) | 6:1, 6:1 |
| ჟიუსტინ ენინ-არდენი (ბელგია, 4) - პატრიცია ვარტუში (ავსტრია) | 6:3, 7:5 |

NBA

# ერთი ნაბიჯი ფინალამდე

**დალასი - სან-ანტონიო 95:102**
*(სერიის ანგარიში 1:3)*

ცუდ დროს ეწია დალასს დირკ ნოვიცკის ტრავმა. მის არყოფნაში "მავერიქსი" თამაშს თამაშზე აგებს და, ადვილი შესაძლებელია, დონ ნელსონის გუნდმა წლევანდელი სეზონი ხვალ სან-ანტონიოში წაგებით დაასრულოს. მთელი წლის შრომა წყალში ეყრება დალასის ამბიციურ მწვრთნელს. მას, უბრალოდ, რეზერვიც აღარ დარჩა თამაშის გამოსასწორებლად და სასოწარკვეთილი უმწეოდ აცხადებს, რომ მის გუნდს ფატალურად არ უმართლებს.

ტრავმირებული ლიდერის არყოფნაში "მავერიქსმა" თავის მსუბუქ კალათბურთელებზე - ნეში (25), ფინლი (25), ვან ექსელი (22) - გააკეთა აქცენტი. სამეული თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ციბრუტივით ტრიალებდა მეტოქის ფარსთან, მაგრამ სტუმრებსაც აღმოაჩნდათ თავისი კოზირები, რომლებიც ბოლომდე სანიმუშოდ გამოიყენეს. ფრანგი ტონი პარკერისა (25) და არგენტინელი ემანუილ ჯინობილის (21) შედეგიანმა თამაშმა სრულიად გააცამტვერა დონ ნელსონის იმედები. ტიმ დანკანი (21, +20 მოხსნა, +4 დაფარება) კი ფარქვეშ კონკურენციის გარეშე აღმოჩნდა. შედეგად სან-ანტონიო 3:1-ს იგებს და მთავარ ფინალამდე ერთ ნაბიჯზეა.

შექმნილ მდგომარეობაში სარწმუნოა, რომ "სფურსი" ფინალის საგზურს მოიპოვებს და სეზონის უმთავრეს მატჩებში აღმოსავლეთის საუკეთესო გუნდს, "ნიუ-ჯერსი ნეთსს" დაუპირისპირდება. ეს კი ერთგვარად შარშანდელი ფინალის გამეორება იქნება, როცა "ლოს-ანჯელეს ლეიკერსმა" შაკილ ო`ნილის მეოხებით იმავე "ნეთსს" კატასტროფა მოუწყო. წლეულს, სავარაუდოდ, "შაკის" ადგილს სან-ანტონიოს ლიდერი ტიმ დანკანი დაიკავებს და სამწამიან ზონაში აუცილებლად იბატონებს. ნიუ-ჯერსის შეტევები კი "სფურსის" მძლავრი დაცვითი სისტემის მსხვერპლი გახდება, თუ, რა თქმა უნდა, "ნეთსის" მწვრთნელი ბაირონ სკოტი, დიკემბე მუტომბოს სახით, მეტოქეს სიურპრიზს არ მოუმზადებს - ფიქრობენ ამერიკელი სპეციალისტები.

უდავოდ საინტერესო იქნება NBA-ის ამომავალი ვარსკვლავის ტონი პარკერისა და ჯეისონ კიდის დუელი. პარკერი ამ დუელში ან ბოლომდე გაიხსნება და NBA-ის ვარსკვლავთა რანგში აღზევდება, ან თავის გამოცდილ ვიზავისთან ორთაბრძოლას პირწმინდად წააგებს. თუმცა, საგულისხმოა, რომ მეორე ვარიანტის შემთხვევაშიც კი "ნიუ-ჯერსი ნეთსს" არაფერი ეშველება და სან-ანტონიოსთვის წინა ხაზის მძლავრი თამაშიც საკმარისი აღმოჩნდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ორივე გუნდი ღია, გახსნილი თამაშის მოტრფიალეა და შედეგიანობით გამოირჩევა. თუმცა, კლასში იმდენად თვალსაჩინო განსხვავებაა, რომ, ადვილი შესაძლებელია, წლევანდელი ფინალიც "ლეიკერსი"-"ნეთსის" შარშანდელი სერიის ანალოგი გამოდგეს და "სფურსმა" პირწმინდად გაანადგუროს მეტოქე.

ასეთი სანახაობა კი, როგორც წესი, სწრაფად მთავრდება და, შესაბამისად, ნაკლებად ეფექტურია. სამაგიეროდ ფრანგ და არგენტინელ გულშემატკივარს საშუალება ექნება, ბოლომდე დატკბეს თანამემამულეთა თამაშით. ვინ იცის, იქნებ გამარჯვების სიხარულიც დაიგემოვნოს - უკვე მეორედ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.



ჯინობილიმ საუკეთესო მატჩი ჩაატარა

Giro d'Italia

# ფლავიო მენაყინეს პოულობს

ირაკლი ბერიაშვილი

ინდივიდუალური რბოლა მრავალდღიანების განსაკუთრებული სახეობაა. თითოეული სპორტსმენი ცალკე, დამოუკიდებლად იღებს სტარტს და ასევე მარტომ უნდა იაროს ფინიშამდე. ტრასის სიგრძე, როგორც წესი, ოცდაათიდან ორმოცდაათ კილომეტრამდეა.

ამ სახეობაში ერთდროულად მოწმდება მრბოლის ტექნიკა, გამძლეობა და სისწრაფე. თუ მარკო პანტანისა და კიდევ ერთ ან ორ სპორტსმენს არ ჩავთვლით, ჯიროს, ტურისა და ვუელტას საერთო ჩათვლაში გამარჯვებულები აუცილებლად იმარჯვებდნენ ინდივიდუალურ რბოლებში. მოკლედ, ის მინდა ვთქვა, რომ ამ სახეობაში გამარჯვებულები პოტენციური ჩემპიონები არიან. თუმცა, არის ერთი "მაგრამ"...

მეთხუთმეტე ეტაპზე, რომელიც სწორედ ასეთი იყო, ჯიროს ლიდერმა და, ალბათ, ჩემპიონმაც, მხოლოდ მეშვიდე შედეგი აჩვენა, საუკეთესო კი ესპანელი აიტორ გონსალესი იყო. ეს ორი ფაქტი თითქოსდა წინააღმდეგობაშია როგორც ერთიმეორესთან, ისე ზევით ნათქვამთან. საქმე ის არის, რომ ვუელტას ჩემპიონი გონსალესი ჯიროში, ასე ვთქვათ, ნახევარი ძალით ასპარეზობს, მაშინ როცა ლიდერი ჯილბერტო სიმონი თითქმის ყოველ ეტაპზე, განსაკუთრებით კი მთებში, ბევრად მეტ ენერგიას ხარჯავს. მეთხუთმეტე ეტაპის შედეგებშიც, ძირითადად, ამ ვითარებამ შეიტანა კორექტივები. ესეც არ იყოს, სიმონი ჯერ თავს უნდა გაუფრთხილდეს, რათა კრიზისი, რომელიც აუცილებლად დადგება, რაც შეიძლება, იოლად გადაიტანოს და მეორეც: მისი მთავარი მეტოქე, ჯერჯერობით მაინც, სტეფანო გარძელია და, უწინარეს ყოვლისა, სწორედ მასთან წაგებას უნდა უფრთხოდეს. ორმოცდაორკილომეტრიან ინდივიდუალურ ეტაპზე ეს მინიამოცანა ლიდერმა საკმაოდ იოლად გადაჭრა და განსხვავება მდევართან კიდევ ორმოცი წამით გაზარდა.



აიტორ გონსალესმა ეს ჯილდო დაიმსახურა

**ტექნიკური შედეგები**

**XV ეტაპი. მერანო - ბოლზანო. ინდივიდუალური რბოლა. 42,5 კმ.**

| | |
|---|---|
| 1. აიტორ გონსალესი ("ფასა ბარტოლო", ესპანეთი) | 54 წთ. 33 წმ. |
| 2. მაგნუს ბაკსტედტი ("ფასა ბარტოლო", შვეცია) | +51 წმ. |
| 3. სერგეი გონჩარი ("კოლპაკი", უკრაინა) | +1 წთ. 22 წმ. |
| 4. დარიო ფრიგო ("ფასა ბარტოლო", იტალია) | +1 წთ. 23 წმ. |
| 5. ბოგდან ბონდარევი ("CCC-პოლსეტი", უკრაინა) | +1 წთ. 30 წმ. |
| 6. იაროსლავ პოპოვიჩი ("კოლნაგო", უკრაინა) | +1 წთ. 36 წმ. |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ჯილბერტო სიმონი ("საეკო", იტალია) | 66 სთ. 41 წთ. 52 წმ. |
| 2. სტეფანო გარძელი ("ვინი კალდიროლა", იტალია) | +1 წთ. 58 წმ. |
| 3. იაროსლავ პოპოვიჩი ("კოლნაგო", უკრაინა) | +4 წთ. 05 წმ. |
| 4. ანდრეა ნოე ("ალესიო", იტალია) | +5 წთ. 16 წმ. |
| 5. რაიმონდას რუმსასი ("ლამპრე", ლიტვა) | +6 წთ. 11 წმ. |
| 6. ფრანჩესკო კასაგრანდე ("ლამპრე", იტალია) | +6 წთ. 47 წმ. |

### ნინო პრიმა

არკოდან ჯიროს ბოლო, ყველაზე დაძაბული და დამქანცველი კვირა იწყება. პელოტონი ლომბარდიის მხარის პატარა ქალაქ პავიასკენ მიემართება. გზად სპორტსმენები გარდას ტბას გაივლიან. პესკიერას გავლის შემდეგ ტბის ლომბარდიული სანაპირო იწყება.

პავია სავსეა ისტორიული ღირსშესანიშნაობებით. ქალაქის ცენტრი, ძირითადად, წითელი ქვითაა ნაგები. სან მიკელეს და სან პიეტროს ეკლესიები, ასევე დუომო და პალაცო დელ ბროლეტო პავიას მთავარი სიამაყეა. აქვეა უნივერსიტეტის უძველესი შენობა და ბენედიქტელთა მონასტერი, რომელსაც ჩერტოზას უწოდებენ. 1964 წელს პავიაში დაარსდა იტალიის ველოსპორტის კავშირი, რომელსაც შემდეგ ფედერაცია ეწოდა. ამ ქალაქიდანაა ველოსპორტის ერთ-ერთი პიონერი ჯოვანი როსინოლი.

1969 წელს ეტაპი, რომელსაც ფინიში პავიაში ჰქონდა, დანიელმა რიტერმა მოიგო, 1981 წელს კი – შვეიცარიელმა გიზიგერმა.

### ირაკლი

მკითხველი, ალბათ, გაკვირვებულია იმ ფაქტით, რომ რეპორტაჟებში კარგა ხანია აღარ გამოჩენილა ჩვენი ნაცნობი ფლავიო კარბონე. საქმე ის არის, რომ ფლავიო ერთ-ერთ აღმართზე, - ასეთები კი ყოველთვის ხალხით არის სავსე, - ნაყინის გამყიდველს აერიდა და მოტოციკლიანად ხეს შეასკდა. საბედნიეროდ, ექიმებმა მხოლოდ ტვინის მცირე შერყევა დაუდგინეს. ასე რომ, კარბონე მალე გამოჯანმრთელდება და, მართალია, ჯიროს ეტაპებზე ველარ ვიხილავთ, აუცილებლად დაგვეხმარება ტურ დე ფრანსზე, რომელიც ივლისის პირველ შაბათ დღეს აიღებს სტარტს პარიზში.

აქ კი, იტალიაში, ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ჯირო, ფაქტობრივად, დასრულდა. როგორც უკვე ვთქვით, თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ჯილბერტო სიმონიმ უნდა გაიმარჯვოს. პირველ ივნისამდე რამდენიმე დეტალიღაა გასარკვევი: მოიგებს თუ არა პანტანი მეთვრამეტე და მეცხრამეტე მთიან ეტაპებს და მიიღებს თუ არა ტურ დე ფრანსის საორგანიზაციო კომიტეტი გონივრულ გადაწყვეტილებას – ველოსპორტის ამ ყველაზე მთავარ დღესასწაულზე დაუშვას მარიო ჩიპოლინი და მარკო პანტანი. მარიო, ალბათ, მსოფლიოს საუკეთესო სპრინტერია, პანტანი კი დღეს "მოქმედი" ტურ დე ფრანსის სამი ჩემპიონიდან ერთადერთია, რომელსაც, ტურს გარდა, ჯიროც მოგებული აქვს. მანამდე კი დაველოდოთ მეთვრამეტე და მეცხრამეტე ეტაპებს. იქ მარკო პანტანის შეუძლია, თავისი საკმაოდ შთამბეჭდავი არგუმენტები წარუდგინოს ფრანგული "დიდი მარყუჟის" დირექტორს – ლებლანს, რომელსაც ბოლო ხანებში უფრო და უფრო უმრავლდება უკმაყოფილოები, სწორედ ის ხალხი, ვისი გამოისობითაც ეს საველოსპორტო დიქტატორი ასე პოპულარული გახდა მთელ მსოფლიოში.



ნინო I

## "ლაციოს" სახე ვერონელ შეყვარებულთა წინააღმდეგ



ანა ფალკი

ბერნარდო კორადიმ 25 წელიწადს ისე იცხოვრა ამ ცოდვილ დედამიწაზე, მის შესახებ, ევროპაზე რომ არაფერი ვთქვათ, თვით იტალიაშიც არავინ არაფერი იცოდა. თითქოს ურიგო თავდამსხმელი არ იყო, მაგრამ ვერაფრით ვერ გაიკეთა კარიერა. პროფესიული ფეხბურთის თამაში ჩვიდმეტი წლისამ დაიწყო სერია C 2 -ის კლუბ "სიენაში". მერე სამი სეზონი გაატარა ყველასთვის უცნობ გუნდ "პოგრიბონსიში", რომელიც იმდენად არასტაბილურად თამაშობდა, რომ სერია C 2-დან გავარდა და ერთი სეზონის განმავლობაში მოყვარულთა შორის გამოდიოდა. 21 წლისამ პატარა პროგრესი განიცადა - სერია B-ს კლუბ "კალიარიაში" გადავიდა. ორ წელიწადში სარდინიელებმა სერია A-ში თამაშის უფლება მოიპოვეს და კორადიმ შვებით ამოისუნთქა, მაგრამ იმ წელიწადს ერთი გოლის გატანაც კი ვერ შეძლო და "კალიარის" ხელმძღვანელობამ გაუშვა ვერონის "კიევოში", რომელიც მაშინ მეორე ლიგაში გამოდიოდა. ძირეული გარდაქმნების პერიოდიც აქედან დაიწყო. "კიევო" 2001 წელს სერია A-ში გადავიდა და მაშინვე მოექცა სათავეში სატურნირო ცხრილს. კორადიმ კი თორმეტი გოლი გაიტანა. ვერონელთა ახალგაზრდა თავდამსხმელი უცებ მთელმა იტალიამ გაიცნო. ასე გახდა პოპულარული სიენაში დაბადებული ფეხბურთელი...

## ვერონა, რომი და ფინელი გოგონა

ვერონაში ბერნარდო კორადის უცებ გამოუჩნდნენ თაყვანისმცემლები. მომხიბვლელი სტელა პოცი ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვისაც "კიევო" და მისი ფეხბურთელები ძალიან უყვარდა. კორადი და სტელა სწრაფად დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ერთი წლის განმავლობაში მთელი ვერონა მათი ქორწილის მოლოდინში იყო, მაგრამ კორადი ისე წავიდა "კიევოდან", რომ ვერონელები ამ მნიშვნელოვანი ცერემონიალის მომსწრენი ვერ გახდნენ. კორადის კარგმა თამაშმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რომის "ლაციოს" ხელმძღვანელობაზე და მათ ლუკა კამპადელის ფეხბურთელის დათმობა სთხოვეს. "კიევოს" პრეზიდენტმა ერთხანს კი იყოყმანა, მაგრამ ხელსაყრელ გარიგებაზე უარი ვერ თქვა და კორადი რომში გაუშვა. თანამედროვე რომეოსა და ჯულიეტას სიყვარული ჩიხში მოექცა, მაგრამ სტელამ უცებ იპოვა გამოსავალი - კორადისთან ერთად რომში გადავიდა საცხოვრებლად.

2002-03 წლების სეზონი კორადიმ "ლაციოს" თეთრ-ცისფერი მაისურით დაიწყო და ათი გოლიც გაიტანა, მაგრამ, ამის მიუხედავად, რომაელ ტიფოზებს ისე მაინც ვერ შეაყვარა თავი, როგორც ვერონელებს. ამის მიზეზი იყო კორადის ვერონელი "ჯულიეტა", რომელსაც არაფრით არ უნდოდა, ფორმალურად მაინც გამხდარიყო "ლაციოს" გულშემატკივარი. სტელა "კიევოს" ერთგული დარჩა. "ლაციოს" მატჩებზე "კიევოს" ლურჯ-ყვითელი მაისურით დადიოდა და საერთოდ არ აინტერესებდა, რას ფიქრობდნენ მასზე სერჯიო კრანიოტის კლუბის გალიზიანებული ფანები. ზუსტად ასეთივე სიტუაციაშია "რომას" კაპიტნის, ფრანჩესკო ტოტის სატრფო ილარი ბლაზიც, რომელიც "ლაციოს" ფანია და არა "რომასი", მაგრამ ილარი იმდენად ცნობილი "შოუგერლია", რომ სენსის კლუბის ტიფოზები მის წინააღმდეგ აჯანყებას ვერ ბედავენ და თავის უკმაყოფილებას მხოლოდ ჩუმი ბუზღუნით გამოხატავენ. სტელა პოცი კი სულაც არ გახლავთ ავტორიტეტული პიროვნება და "ლაციოს" ფანებს მისი გაკრიტიკება არ გასჭირვებიათ.

რომში სტელა მაინცდამაინც არ უყვარდათ. ამიტომ, როცა ხმა დაირხა, კორადის "ლაციოს" სახე - ანა ფალკი შეჰყვარებიაო, ყველა კმაყოფილი დარჩა. სტელას სახიფათო კონკურენტი გამოუჩნდა...

ოქროსფერთმიანი, მწვანეთვალება ანა კრისტინა ფალკი 1972 წელს ფინეთში დაიბადა. დედით ფინელია და, ალბათ, ამის გამო იტალიაში თავისი უჩვეულო გარეგნობით გამოირჩევა. ფინეთში დიდხანს არ უცხოვრია, დედ-მამამ ჯერ კიდევ ჩვილი წაიყვანა რიჩონეში, რომანიის მხარის პატარა ქალაქში. ბავშვობაში ძალიან უყვარდა ცეკვა და დისკოთეკაზე სიარული. ჯერ ფოტომოდელი იყო, მერე "მის იტალიის" ტიტულის მოპოვება სცადა, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ "მის სინემა" გახდა. იმდენად ლამაზი იყო, რომ ჟურნალები ერთმანეთს ასწრებდნენ გარეკანზე მისი ფოტოების დაბეჭდვას. მოკლედ, სილამაზემ სახელი და ფული მოუტანა და ამპარტავანიც გახადა. რა თქმა უნდა, არც თაყვანისმცემლები აკლდა. ყოველთვის ასაკით ბევრად უფროს მამაკაცებთან ჰქონდა ურთიერთობა. ვინ აღარ ითვლებოდა მის საქმროდ, ერთადერთის არჩევა კი ვერაფრით ვერ შეძლო. მისი ექს-საქმროები დიდი ხნის დაქორწინებულები არიან, ის კი ისევ თავისუფალია. ანას უკანასკნელი გატაცება იტალიაში ძალზე ცნობილი ფინანსისტი სტეფანო რიკუჩი იყო. ისინი ორი წლის განმავლობაში ხვდებოდნენ ერთმანეთს. "სექსი ანამ" რიკუჩის გულისთვის იმიჯიც კი შეიცვალა - უარი თქვა ეროტიკულ ფოტოებზე, კალენდრებზე, რომლებისთვისაც თითქმის შიშველს იღებდნენ; საქმიან, თავშეკავებულ ქალბატონად იქცა, მკაცრად ჩაცმულ-დახურული დადიოდა. იმდენად გამოიცვალა, რომ იტალიელებმა ირონიულად "ლედი ფინანცაც" კი შეარქვეს. მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ფარსი და დროებითი გატაცება აღმოჩნდა. ანა ლამაზ, პომპეზურ ქორწილზე ოცნებობდა, სტეფანო რიკუჩი კი ჯერაც არ იყო განქორწინებული პირველ ცოლთან და არც ჩქარობდა. ანას გრძელი კაბები და ფინანსებზე საუბრები მობეზრდა და ისევ სექს-სიმბოლოს იმიჯს, ანუ საკუთარ თავს დაუბრუნდა. "ჩემი თავისუფლება ყველაფერს მირჩევნიაო", - განაცხადა ნახევრად ფინელმა გოგონამ და რიკუჩის შემდეგ "ლაციოს" ფორვარდი ბერნარდო კორადი ამოიღო მიზანში, თუმცა, ფეხბურთელი მასზე ოთხი წლით უმცროსია.

სტელა პოცი დავიწყებას მიეცა. როგორც ამბობენ, კორადისა და სტელას ურთიერთობა ანას გამოჩენამდეც საკმაოდ დაძაბული იყო და თავისთავად დასრულდა. ახლა კორადი თავისუფალი კაცია. თავისუფალია ანა ფალკიც, რომელიც მაქს ბიაჯის შემდეგ მეორედ უმეგობრდება სპორტსმენს. მაშინ ანა ბიაჯი ძალიან უყვარდა. ფალკის ნაცნობმეგობრები ირწმუნებიან, ანას ახლაც საშინლადაა შეყვარებული და ეს ამბავი ასე მალე არ დასრულდებაო... დაეჯერებათ კი?

„ხალხის პირისპირ" - ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჯდება სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.




შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

| შეკითხვის ტექსტი: | პასუხის ტექსტი: |
| --- | --- |
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |
| 4 | |
| 5 | |

სახელი და გვარი:
ბინის მისამართი:
სამსახურის ტელეფონის ნომერი:
ბინის ტელეფონის ნომერი:
მობილური ტელეფონის ნომერი:

[illegible]

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

---

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61

გაზეთი 24 საათი
[illegible]
27.05.03 N-143

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე 9⁰⁰-დან 20⁰⁰-მდე.
"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

## აფიშა

### თეატრები

**თეატრალური სარდაფი**
"ფიგაროს ქორწინება", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**პანტომიმის თეატრი**
"კონტრასტები", რეჟ. გოგა ოსეფაშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

**სამეფო უბნის თეატრი**
სკოლა "ჭეჭილი" წარმოადგენს საბავშვო მიუზიკლს
დას: 18:00 სთ

### საგამოფენო დარბაზები

**ძველი გალერეა**
ლევან ხარანაულის პორტრეტების გამოფენა

**უნივერსი**
ჯგუფური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა)

**„ქარვასლა„**

**საერთაშორისო გამოფენა** Appendix
ნატ მიულერი, ფოამ-ის პრეზენტაცია
ჯგუფური გამოფენის ავტორები: ჰარუნ ფაროკი, ლევან ჭოლოშვილი, მარიკა გოევიჩი, სტეფან ფოშტეტლერი, ორხან ჰუსეინოვი, დავით კარეიანი, კარინე მაწაკიანი, ევა შტელე, გიო სუმბაძე, მატიას ვენერი, გელა კიწწურაშვილი, თემურ ჯავახიშვილი, რაუფ ხალილოვი, ტორა აგაბეკოვა

**აბრეშუმის ფაბრიკა**
Schweizer Int.

**დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი**
გურამ წიბახაშვილის, მარიკა გოევიჩისა და ნიკო ლომაშვილის ნამუშევრები

**„კლუბი 22„**
იოჰან გრიმონპრე

**9 აპრილის სახელობის პარკი:**
ატელიე ვან ლისჰაუტის "ციხე"

**გალერეა „არტ-სინთეზი"**
სტივენ ბლუმი

**საზოგადოებრივ ადგილებში**
წარმოდგენილი იქნება ფილიპ მესტის ნამუშევრები

### კინოთეატრები

**„ამირანი"**
"საქართველოში" (იურგენ ბოეთხერის დოკუმენტური ფილმი)
დას: 16 სთ; დასწრება თავისუფალია
"მატრიცა 2"
დას: 13:00; 19:00; 22:00 სთ; ფასი 6-10 ლარი

**„ელისო"**
"ახალდაქორწინებულები"
დას: 15:00, 19:00 ფასი 5,7 ლარი
"ცისფერი კრუიზი"
დას: 17:00, 21:00 ფასი 5,7 ლარი

**„რუსთაველი"**
"მაუგლი"
დას: 12:00; 13:30; 15:00; 16:30; 17:45 სთ; ფასი 3,5 ლარი
"ცისფერი კრუიზი"
დას: 19:00, ფასი 5 ლარი
"ახალდაქორწინებულები"
დას: 21:30 ფასი 9 ლარი

---

## ბინები

### იყიდება

**იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.**

იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.

**იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის 25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74**

**იყიდება!**
**სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარიაძის ქუჩაზე (მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.**
**ტელ: 39-53-41 69-94-27 ბელა.**

**იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი სააგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38**

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

**განვადებით შევიძენ 2 ან 3 ოთახიან ბინას 3 000 დოლარის წინასწარ გადახდით. ტელ: 77-73-54, 77-75-73 კახა.**

**იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. 29 17 53, 8(99) 54 84 25**

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

**იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. ტელ 29-17-53, 899 548425**

იყიდება 4-ოთახიანი მაღალჭერიანი ურემონტო ბინა ფალიაშვილზე, 3 სართულზე, ტელეფონით, 170 კვ.მ. სარდაფით. 99 95 33. 1 კვ.მ. - 350 $.

იყიდება 3-ოთახიანი ჩეხური პროექტის ახალგარემონტებული ბინა გლდანში, V მ/რ-ის ბოლოს. III სართულზე. ფასი 9000. 96 78 96, 95 93 39

იყიდება კერძო სახლი ეზოთი საბურთალოზე, ვაზისუბნის №99. 37 68 81 (22 სთ-დან 23 სთ-მდე)

იყიდება 2-ოთახიანი სუფთა ბინა დიღმის მასივში, „წითელქუდას" თავზე. 52 10 52, 8(99) 56 78 00

**იყიდება 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით. ვერცხლის ქ.50. ტელ: 98-61-12**

**იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.**

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39.74.56 მამუკა.**

ქირავდება ვაჟა-ფშაველაზე, III კვ-ში 1-ოთახიანი+18 კვ.მ. მიშენებით, ევრორემონტით. ავეჯის გარეშე. ფასი 150 $ წინასწარ ორი თვის. 29 04 74 ნინო, გოგი

**ქირავდება 4-ოთახიანი 125 კვ.მ ფართის ბინა, სათავსოებით, ცხელი წყლით, მუდმივი დენით, ბ/ა-ით ბარათაშვილის N12-ში 7(7), მუშაობს ლიფტი.**
**ტელ: 99-74-83, 99-93-62.**
**19.00 სთ-ის შემდეგ.**

**ქირავდება!**
**სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

**ქირავდება 1-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა სოლოლაკში. ყველა საჭირო ინვენტარით. 98-94-74.**

## კომერც. ფართი

**ქირავდება 45 კვ.მ საოფისე კეთილმოწყობილი ფართი, ცხელი წყლით, ტელეფონით, მუდმივი დენით ლეონიძის ქ. N8-ში (ყოფილი კიროვის).**
**ტელ: 99-74-83, 99-93-62.**
**19.00 სთ-ის შემდეგ.**

**ვიქირავებ ფართს სასურსათო მაღაზიისთვის, ქალაქის ცენტრალურ უბანში.**
**ტელ: 95-21-46 დღისით**
**79-44-03 საღამოს ირაკლი.**

იყიდება კომერციული ფართი, 85 კვ.მ. ყველა საჭირო კომპონენტით. თევდორე მღვდლის №16 (ვაგზლის ბაზრობასთან). 35 20 79

იყიდება კომერციული ფართი, 55 კვ.მ. კლარა ცეტკინზე, რკინიგზის სამმართველოსთან. ფასი 20 ათასი დოლარი. 33 08 97

## მიწის ნაკვეთი

იყიდება 2250 კვ.მ. ნაკვეთი საგურამოში, ახალაშენებული 300 კვ.მ. სახლით ილიას მუზეუმთან. ფასი შეთანხმებით. 8(77) 43 69 25

იყიდება 1500 კვ.მ. საუკეთესო ნაკვეთი წოდორეთში, ტყესთან. 78 00 21

## მანქანები

იყიდება გოლფი-3 92 წლის გამოშვება 1.8 ძრავი, 2 კარიანი ლურჯი ფერის. ფასი 2800$. ტელ: 893 347536.

## სწავლება

**ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი შეგასწავლით ინგლისურ ენას ინდივიდუალურად თქვენი მიზნების გათვალისწინებით. ტელ: 96-64-12, 893 219442, 95-20-34.**

## სხვადასხვა

იყიდება როტვეილერის ლეკვები. 8(99) 25 13 79

იყიდება ოჯახიდან იშვიათი სასადილოს 2 დესაუ ოთხკარიანი და ორკარიანი, ორნამენტებით. ს/ფასი 1100 $. 99 95 33

ვარემონტებთ და შევისყიდით გერმანული წარმოების ავტომობილებს. ავტოცენტრი "არბატი", სანდრო ეულის 7, ნუცუბიძის ბოლოში, ბანკთან. 8(99) 54 23 18, 8(99) 50 27 30

**კომპიუტერული ცენტრი „TOPOS" გთავაზობთ**
უახლესი კომპიუტერული პროგრამების შესწავლას, საწყისი პროგრამების ფასი 10 ლარი. მსმენელები უზრუნველყოფილნი იქნებიან შესაბამისი ლიტერატურით. გაიცემა სერთიფიკატი.
**მის.: „კოლმეურნეობის მოედანი", პირიმზის შენობა, VI სართული. ტელ: 93-52-24, 899 186686.**










---

## TV პროგრამა 27 მაისი

### რუსთავი - 2

| | |
| --- | --- |
| 07.00 | მუსიკა |
| 07.30 | სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" |
| 08.00 | დილა მშვიდობისა |
| 09.40 | სერიალი „ქალთა ქვეყანა" |
| 10.40 | სერიალი „მეოცე საუკუნე" |
| 11.10 | ხალხის პირისპირ |
| 12.00, 15.00 | კურიერი |
| 12.15 | სერიალი „დატყვევებული გულები" |
| 13.30 | მხ. ფილმი |
| 15.20 | მხ. ფილმი |
| 17.05 | სერიალი „ქალთა ქვეყანა" |
| 18.00, 21.00, 02.20 | კურიერი |
| 18.20 | სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" |
| 18.45 | დოკ. ფილმი „ბუნება" |
| 19.15 | პერეკროსტოკი |
| 19.50 | სერიალი „დატყვევებული გულები" |
| 22.00 | ვის უნდა ოცი ათასი? |
| 22.50 | ღამის კურიერი |
| 00.20 | მხ. ფილმი „უძილობა" მთ. რ-ში: ალ პაჩინო. |
| 02.30 | კლასიკა |

### პირველი არხი

| | |
| --- | --- |
| 07.30 | ალიონი |
| 09.45 | მულტსერიალი „თავგადასავალი სერ კონან დოილის სამყაროში" |
| 10.15 | მხ. ფილმი „სასიკვდილო მტრობა" |
| 12.00, 15.00, 20.00 | მოამბე |
| 12.15 | დოკ. სერიალი „ტყის მცველები" |
| 12.45 | დოკ. სერიალი „ხელოვნების სცენარები" |
| 13.00 | ნაშუადღევს |
| 14.05 | ლერერის შოუ |
| 15.15 | მხ. ფილმი „ფრენკის ვარსკვლავები" |
| 16.45 | ტელესერიალი „ძილის წინ" |
| 17.00 | შემეცნებითი ფილმი „ქვეყანა, ქვეყნები" |
| 17.30 | საქართველო და გარე სამყარო |
| 18.00 | ვესტნიკი |
| 18.20 | დოკ. სერიალი „ლეგენდები მეცნიერების შესახებ" |
| 18.30 | გასტი-გუგუ |
| 18.50 | „და არს მუსიკა" |
| 19.20 | ტელეთამაში „იმღერე რამე" |
| 21.05 | ტელესერიალი „ეშმაკუნა" |
| 21.55 | „სათავეებთან" |
| 22.35 | ტელესერიალი „ძილის წინ" |
| 23.00 | „რა ხდება?" |
| 23.55 | მხ. ფილმი „სამნი ნავში ძაღლის გარეშე". |

### პირველი სტერეო

| | |
| --- | --- |
| 07.00 | ევანგელური ეკლესიის მიმდევართათვის |
| 08.00 | ტოროლა |
| 11.00 | განმ. უცხ. მუსათეული |
| 11.45 | ფილმი |
| 14.00 | ფილმი |
| 16.00 | ფილმი „სანამ შენ გეძინა" მთ. რ-ში სანდრა ბალოკი |
| 18.00, 19.15 | ქართული მუსიკა |
| 19.00, 20.00, 21.00, 22.00 | ინფორმატორი |
| 19.30, 20.15 | ვიდეორადიო |
| 20.50 | ათი ლექსი |
| 21.15 | უცხ. მუსათეული |
| 22.35 | მუსიკა |
| 23.00 | სველი ხაზი |
| 00.00 | „ბრავო" „სიყვარული მინდვრებში" მთ.რ-ში მიშელ სერო, კარმენ მაურა. |
| 01.40 | „ღამურა" „ცოცხალი სამიზნე" მთ.რ-ში ა. აბდულოვი. |
| 03.45 | პაუზის გარეშე |

### მეორე არხი

| | |
| --- | --- |
| 19.00, 22.00 | „მოამბე" მეორე არხზე |
| 19.10 | მულტფილმები |
| 19.30 | სერიალი „რვაფეხა" |
| 20.30 | ამბები ჩვენზე |
| 21.00 | ბლოგუსი |
| 21.30 | ასპარეზი |
| 22.10 | მხ. ფილმი „სხვისი ცოლი და ქმარი საწოლქვეშ" |

### კავკასია

| | |
| --- | --- |
| 12.00 | მხ. ფილმი „მამაცი გული" |
| 15.00 | მხ. ფილმი „ადამიანი რკინის ნიღაბში" |
| 17.00, 19.00, 20.30, 00.00 | საინფორმაციო პროგრამა „დღეს" |
| 17.15 | მხ. ფილმი „ბრილიანტის პოლიციელი" |
| 19.20 | სპექტრი |
| 21.00 | მხ. ფილმი „დათვი" |
| 22.30 | მხ. ფილმი „ფლიუკი" |

### იბერია

| | |
| --- | --- |
| 08.00 | ანონსი, ალსავალი |
| 08.05 | დიალოგი |
| 10.35 | ბურთი და მოედანი |
| 10.50 | მხ. ფილმი „სისხლიანი ქორწილი" |
| 12.30 | დოკ. ფილმი |
| 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 | ახალი ამბები |
| 13.10, 18.00 | დოკ. ფილმი |
| 14.10, 17.20, 19.30, 21.45, 00.55 | მუსიკა |
| 15.15 | მხ. ფილმი „უკანასკნელი ცნობილი საცხოვრებელი" |
| 17.30 | მულტფილმი |
| 20.00 | მხ.ფ. „კრიჟაშეკრული" |
| 22.00 | დიალოგი |
| 23.45 | მხ. ფილმი „მეგობარი ქალები" |
| 01.10 | ღამის ფილმი |

### მეცხრე არხი

| | |
| --- | --- |
| 09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 | დღის ამბები |
| 10.00 | სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო" |
| 10.25 | მულტსერიალი „ვიზიონერები" |
| 11.00 | მხ. სერიალი „მოჯადოება" |
| 12.00, 15.15, 17.50, 18.50, 19.50, 22.05 | მუსიკა |
| 12.15 | მხ. ფილმი „მკვლელის თვალები" |
| 14.00 | „ჩემი ქვეყანა" - ანძა |
| 14.20 | „ტელემეტრი" |
| 14.50 | „მსოფლიო რაგბი" |
| 15.30 | მხ. სერიალი „სირინოზები" |
| 16.30 | დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება" |
| 18.00 | მხ.სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო" |
| 18.25 | მულტსერიალი „ვიზიონერები" |
| 19.00 | მხ. სერიალი „მოჯადოება" |
| 20.00 | „ევროპის სტადიონებზე" |
| 21.15 | მხ. სერიალი „სირინოზები" |
| 22.15 | მოკლ. მხ. ფილმი „ლურჯი სასტუმრო" |
| 23.00 | „ცხელი ცხრიანი" |
| 00.20 | მხ. ფილმი „საყვარელი რიტა". |

### იმედი

| | |
| --- | --- |
| 08.59, 11.59, 13.59, 15.59, 17.59, 20.59 | ქრონიკა |
| 09.00, 13.15, 17.20, 00.10 | იმედის მელოდიები |
| 09.30 | სერიალი „იუდას ქალი" |
| 10.30 | სპ. პროგრამა „გოლი" |
| 11.00 | დოკ. სერიალი „მსოფლიოს ყველაზე იდუმალი ადგილები" |
| 12.05 | სერიალი „სახიფათო მოსახვევები" |
| 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 | ქრონიკა |
| 13.30 | სერიალი „უკიდურესი ზღვარი" |
| 14.05 | სერიალი „შტოკინგერი" 1-ლი ს. |
| 15.15 | კინონოსტალგია „იდეალური პარასკევი" |
| 17.30 | დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა" მე-10 ს. |
| 18.05 | სერიალი „იუდას ქალი" |
| 19.30 | სერიალი „სახიფათო მოსახვევები" |
| 20.30 | ლარის მახე |
| 21.05 | სერიალი „ეარ ამერიკა" |
| 22.45 | „უცერემონიოდ" |
| 23.20 | სერიალი „გაიხსენო ყველაფერი" |
| 00.30 | მძაფრსიუჟეტიანი კინო „გულმოწყალების ქუჩები" |

### აჭარა

| | |
| --- | --- |
| 08.00, 03.00 | საინფორმაციო დაიჯესტი |
| 08.20 | დოკუმენტური ფილმი |
| 09.00, 12.00, 16.00 | საინფორმაციო გამოშვება |
| 09.10 | საბავშვო ფილმი „ბებერი გოგი" |
| 10.35 | მუსიკა |
| 10.50 | დეტექტივი „ათი ზანგი ბიჭუნა" 2 ს. |
| 12.10 | სათავგადასავლო ფილმი „ზოროს ნიღაბი" |
| 14.20 | მელოდრამა „პრინცესა ფეტვის მარცვალზე" |
| 16.10, 19.20, 22.20, 00.20 | საინფ. გამოშვება „ნოვოსტი" |
| 16.20 | მულტფილმი |
| 17.15 | კომედია „ლხინში სიცოცხლის გატარება" |
| 19.00, 22.00, 00.00 | საინფორმაციო გამოშვება „დღეს" |
| 19.30, 22.40 | Пресс-папье |
| 19.35 | მუსიკა |
| 19.55 | ფანტასტიკა „მეექვსე დღე" |
| 22.45 | „რა არ ხდება" |
| 23.00 | დოკუმენტური ფილმი |
| 00.45 | საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე |
| 00.50 | საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე |
| 00.55 | საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე |
| 01.00, 03.20 | მუსიკა |
| 01.25 | თრილერი „ვეფხვების ქვეყანა" |
| 03.30 | კომედია „სამსახურეობრივი რომანი" |

### VII არხი

| | |
| --- | --- |
| 09.10 | მელოდია |
| 09.25 | „აჩიკუდა" |
| 09.50 | „ბედნიერი ერი" |
| 09.55 | საყოფაცხოვრებო ტექნიკა |
| 10.20 | სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" - იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) |
| 11.00 | მელოდია - |
| 11.20 | მოგილურები |
| 12.05 | „ბიორითმი" . |
| 12.25 | აუდიო-ვიდეო-ტელე |
| 13.15 | კომპიუტერული თამაშები |
| 13.25 | დისნეი და მისი მეგობრები |
| 13.45 | კომპიუტერული ტექნიკა |
| 18.20 | კომპიუტერული ტექნიკა |
| 19.00 | „აჩიკუდა" |
| 19.25 | მელოდია - მოკლე შეტყობინებები |
| 20.30 | „ღამის კაპრიზი" - თემა: . |
| 21.30 | მოგილურები |
| 22.20 | „კინოკლუბი" - „კლეოპატრა" -1 სერია. ისტორიული. როლებში: ტიმოთი დალტონი, ბილი ზეინი |
| 00.10 | აუდიო-ვიდეო-ტელე |
| 00.50 | „ბიორითმი" . |

### ОРТ

| | |
| --- | --- |
| 07.00 | „Доброе утро!" |
| 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 03.00 | Новости |
| 10.15, 20.00 | Сериал „Земля любви, земля надежды" |
| 11.05 | Док. сериал „Под полярной звезды" |
| 12.05, 17.30, 00.55 | „Фабрика звезд-2" |
| 12.35 | „Ллойд в космосе" |
| 13.15 | Худ. фильм „МОЙ ЛАСКОВЫЙ И НЕЖНЫЙ ЗВЕРЬ" |
| 15.20 | Владимир Етуш |
| 15.50 | „Ералаш" |
| 16.15 | Худ. фильм „ДОСЬЕ ДЕТЕКТИВА ДУБРОВСКОГО" |
| 18.00 | „Большая стирка" |
| 19.25 | Сати. Анатолий Равикович. |
| 21.00 | „Основной инстинкт". Ток-шоу. |
| 22.00, 00.30 | Время |
| 22.40 | Док. сериал „Под полярной звезды" |
| 23.45 | Док. сериал „Спецназ" |
| 01.10 | „На футболе" |
| 01.40 | „Принцеса Дагмар-русская императрица" |
| 02.10 | Апология |
| 03.10 | Сериал „Беглец" |

### РТР

| | |
| --- | --- |
| 06.45 | Доброе утро, Россия! |
| 09.45, 21.55 | Сериал „Идиот" |
| 10.45, 22.55 | Сериал „Люди и тени - 2" |
| 12.00, 15.00, 18.00, 21.00 | Вести |
| 12.20 | Ток-шоу „Короткое замыкание" |
| 13.20 | Сериал „Пираты" |
| 14.15, 17.45 | Экспертиза |
| 14.30 | Колоссальное хозяйство |
| 14.45 | Вести-Москва |
| 15.20 | „Что хочет женщина" |
| 16.10 | Сериал „Трое против всех-2" |
| 17.15, 04.35 | Агентство одиноких сердец |
| 18.20, 20.50 | Вести. Дежурная часть |
| 18.50, 02.30 | Дорожный патруль |
| 19.05, 00.30 | Вести-спорт |
| 19.20, 21.30 | Вести-Москва |
| 19.50 | Сериал „Комиссар Рекс" |
| 21.50 | Спокойной ночи, малыши! |
| 00.00 | Вести+ |
| 00.40 | Худ. фильм „Инстинкт убийства" |
| 02.45 | Горячая десятка |
| 03.45 | Сериал „Твин Пикс" |

### НТВ

| | |
| --- | --- |
| 07.00 | Утро на НТВ. |
| 09.50 | Сериал "РЕБЯТА ИЗ НАШЕГО ГОРОДА". |
| 11.00 | Сегодня утром. |
| 11.25 | "Внимание: розыск!" "Цветы для убийцы". |
| 12.10 | Светлана Сорокина в программе Павла Лобкова "Растительная жизнь". |
| 13.00, 16.00, 18.00, 20.00 | "Сегодня" |
| 13.35 | Пьер Ришар в комедии "ПОБЕГ". (Франция). |
| 15.40 | Криминал. |
| 16.35 | "Сексуальная совместимость". Ток-шоу "Принцип домино". |
| 18.30 | Сериал "СКОРАЯ ПОМОЩЬ". |
| 19.25 | Документальная драма "Преступление и наказание". |
| 20.40 | Сериал "РЕБЯТА ИЗ НАШЕГО ГОРОДА". |
| 21.45 | Детектив "НА УГЛУ, У ПАТРИАРШИХ-3". |
| 23.00 | "Страна и мир". |
| 23.40 | Проект Л.Парфенова "Российская империя: Николай II". |
| 00.55 | Сериал "СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ". |
| 01.35 | Сегодня. |
| 02.00 | Гордон. |
| 03.00 | Сериал "ДОКТОР". |

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*

**თბილისის წიგნის V ფესტივალი**
**11 – 14 ივნისი • ფილარმონია**



**მონაწილეთა რეგისტრაცია: 33 50 96**

# რატომ ვერ შენიშნეს ოთახში სპილო

თამარ ბაბუაძე

ის შეუსაბამობები, რაც წლევანდელ კანზე დაფიქსირდა, შეიძლება, შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატს შევადაროთ. მაშინ საფრანგეთის ჩემპიონმა ნაკრებმა გამხსნელი თამაში სენეგალთან წააგო. შემდეგ კი, ერთი ბურთიც ვერ გაიტანა და ქვეჯგუფშივე ჩარჩა. თუ ამ ლოგიკას გავყვებით, გამაოგნებლად დამარცხებული საფრანგეთის ნაკრების ადგილას წლევანდელ კანზე ლარს ფონ ტრიერი და მისი ფილმი "დოგვილი" უნდა წარმოვიდგინოთ. "დოგვილი" იყო ფილმი, რომელიც ჩვენების დღიდან არაოფიციალურად ფლობდა "კრუაზეტის ფავორიტის" სტატუსს. თუმცა, შემდეგ ის ჟიურის ამერიკელმა წევრებმა აითვალწუნეს. მიზეზი რეჟისორის ანტიამერიკული დასკვნები იყო. ხელცარიელი დარჩა "დოგვილის" მთავარი ვარსკვლავიც – ნიკოლ კიდმანიც. ერთი სიტყვით, კანზე ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ შეგვიძლია, გამარჯვებული ფილმის, "სპილოს" მთავარი კითხვა გადავათამაშოთ და ფრაზა – "ოთახში სპილოა, რატომ არავინ ამჩნევს მას" – ლარს ფონ ტრიერს მოვარგოთ.

ასეა თუ ისე, კანში "დიდი სპილო" – ანუ კარგი რეჟისორი, მართლაც, არ შეიმჩნიეს და ფონ ტრიერი, რომელსაც ფრენა არ უყვარს, შინ ხელცარიელი, "ფეხით" გაუშვეს. როგორც ჩანს, მიიჩნიეს, რომ ფონ ტრიერს "მოცეკვავე წყვდიადში"-სთვის მოპოვებული ჯილდოც ეყოფოდა. ცხადია, ფილმის უნახვად, რთულია, "დოგვილის" დაჩაგვრის გამო, მწარე გულისტკივილი გამოთქვა, მაგრამ სოლიდური უცხოური გამოცემების მოწინავე სტატიები სწორედ ამ გულისტკივილით იყო სავსე.

და მაინც, რა მოხდა კანში, რატომ გაიმარჯვა ფილმმა, რომელსაც ჟიურის ამერიკელი წევრები და ზოგადად ამერიკელი კინოკრიტიკოსები, "დოგვილის" მსგავსად, ანტიამერიკული ნიშნით იწუნებდნენ? იყო თუ არა ანტიამერიკანიზმი უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა კანში, ვიდრე თვით კინოს ხელოვნებაა? თუ მთელი ღონისძიების უმთავრესი სათქმელი ირანელმა სამირა მახმალბაფმა წარმოთქვა: "მე არ მინდა ვიყო პრეზიდენტი იმ მსოფლიოში, რომელშიც ყველაზე ცნობილი მმართველი ჯორჯ ბუშია".

ვნახოთ, რას წერდა გუშინ, წესით და კანონით, აპოლიტიკური კანის პოლიტიკურ კონტექსტსა და საკონკურსო ფილმებზე უცხოური პრესა.

**"გარდიანი".** გაზეთმა ერთმანეთს დაუკავშირა ამერიკელი გას ვან სენტის გამარჯვება და მისი თანამემამულეების მოთხოვნა – ფესტივალი გარდაქმნილიყო ისე, რომ ჟიურის მხოლოდ ფრანგული ფილმები არ აერჩია. როგორც ჩანს, სწორედ ამერიკული ფილმის გამარჯვებამ ათქმევინა ვან სენტს მადლობა ასეთი პათეტიკური ტონით: Vie la France. ამ ფრაზით ის ადიდებდა საფრანგეთს, რომელმაც დაძლია პატრიოტული გრძნობები და ფრანგული კინოს გარდა, ამერიკულიც დააფასა.

თუმცა, ანტიამერიკანიზმი კანში მაინც ძალიან საგრძნობი იყო, - წერდა "გარდიანი" და დასტურად 24 წლის სამირა მახმალბაფის კომენტარს იხსენებდა ჯორჯ ბუშის შესახებ.

"გარდიანმა" ანტიამერიკული ნიშნით გამოარჩია კანადელი რეჟისორის დენის არკანის ფილმი "ბარბაროსთა შემოსევაც". "ეს ფილმი გაშლილია აშშ-ს მსოფლიო ლიდერობის თემის ფონზე", - აღნიშნავდა მიმომხილველი.

"სპილოს" გამარჯვებისა და "დოგვილის" მარცხის შესახებ კი წერდა: "გუს ვან სენტმა "ოქროს პალმის რტო" დამსახურებულად მიიღო... თუმცა, "დოგვილის" გარშემო შექმნილი სიტუაცია ინგლისის თასის იმ ფინალურ შეხვედრას ჰგავს, როდესაც მატჩის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე თასს დასამარცხებლად განწირული გუნდის ფერებს აცლიან... "დოგვილის" მარცხი კიდევ უფრო გააღვივებს ფესტივალის დომინანტ თემას – ანტიამერიკანიზმს". "გარდიანი" იქვე დასძენდა, რომ "დოგვილი" ფესტივალზე ჩასულმა ამერიკელებმა ვერ აიტანეს სწორედ მისი ამერიკული ღირებულებების კრიტიკის გამო. "საინტერესოა, ჟიურის ამერიკელმა წევრებმა, სოდერბერგმა და მეგ რაიანმა იქონიეს თუ არა "დოგვილის" დამარცხებაზე გავლენა? შეიძლება ასეც იყო. მაგრამ ამერიკელ კრიტიკოსებს ხომ არც "სპილო" მოსწონდათ"... – ნათქვამი იყო სტატიაში. საბოლოო ჯამში კი, "გარდიანის" დასკვნა ასეთი გახლდათ: "კანზე წარდგენილი ფილმები ისე ულიმღამო იყო, რომ ცინიკოსები იტყვიან – "2003 წლის "ოქროს პალმის რტო" გაუფასურებული ვალუტაა"... წლევანდელმა ფესტივალმა, პოლიტიკის თვალსაზრისით, გაგვაღიზიანა, ხელოვნების თვალსაზრისით კი, იმედები გაგვიცრუა".

**"ნიუ იორკ ტაიმსი".** "პოლიტიკური შეხედულებები და კანის ფესტივალი თითქმის ისევეა ერთმანეთში გადახლართული, როგორც "სწრაფი კვება" და მისი მავნე გავლენა ჯანმრთელობაზე", - წერდა გაზეთი და ანტიამერიკულის ნიშნით გამოყოფდა "სპილოს" და სამირა მახმალბაფის ფილმს. "სპილო", რომელიც მაიკლ მურის "ბოულინგი კოლუმბინასთვის" შემდეგ, ერთი წლის თავზე მოხვდა კანზე, კიდევ ერთხელ ადასტურებს ასეთ მოსაზრებას: კანი იმ ფილმების სამყოფელია, რომლებიც სტატუს კვოს უტევენ".

ფილმების უხარისხობის გამო კი ამერიკელი მიმომხილველი წერდა: "ზოგიერთი ფილმის ჩვენების დროს მოთხოვნა, მობილურები გამორთეთო, საპირისპირო თხოვნით უნდა შეეცვალათ: იქნებ, ჩართული ტელეფონების წკრიალს მაინც გამოეფხიზლებინა მოსაწყენი ფილმების გამო დარბაზში ჩაძინებული მაყურებლები... ფესტივალზე იყო ორადორი ვარიანტი: პუბლიკას ფილმი ან არ მოსწონდა, ან კიდევ უფრო მეტი – ეზიზღებოდა ის".

**"დეილი ტელეგრაფი".** "კრიტიკოსები წლევანდელ საკონკურსო ფილმებს "ისტორიაში ყველაზე უარესის" სტატუსს არგებენ. ამ შთაბეჭდილებას არც კლინტ ისტვუდის პრესპრევიუ აქარწყლებს", - წერდა ჟურნალისტი და იქვე ჩვეული ბრიტანული სიმწარით დასძენდა: "სამწუხაროა, რომ კანდამჭკნარმა რეჟისორმა ფილმისთვის ბოდიში არ მოგვიხადა. ამის ნაცვლად, მან სტანდარტული ფრაზებით დაგვასხა თავზრუ".

**"ვაშინგტონ პოსტი".** გაზეთი შეფარული ცინიზმით აცხადებდა, რომ "დოგვილმა" – აშკარად ანტიამერიკულმა სურათმა კანზე ვერაფერი მოიგო: "დანიელ რეჟისორ ფონ ტრიერს, რომელსაც ფრენა არ უყვარს შინისაკენ შორი და ხანგრძლივი გზა უდევს. აი, ვან სენტისთვის კი სრულიად ახალი მოგზაურობა იწყება. "მადლობა ჟიურის! რამდენიმე წლის განმავლობაში ვცდილობდი, კანის კონკურსში მონაწილეობას და აი, ახლა ვამბობ – Vive la France!

საბოლოო ჯამში კი, "ვაშინგტონ პოსტი" ნიშნის მოგებით ასკვნიდა: "ის რაც ცუდი ამბავი აღმოჩნდა კანისთვის, უხარიათ ვენეციის, ტორონტოსა და ბერლინის კინოფესტივალების ორგანიზატორებს. მათ საკონკურსოდ უკეთესი ფილმები "დაეზოგათ`: ინგმარ ბერგმანი, ქუენთინ ტარანტინო, ემირ კუსტურიცა და ჯეინ კემპიონი ახალ ფილმებზე მუშაობას ამ ფესტივალებისთვის აუცილებლად დაასრულებენ"...

ანუ, ის რაც დააკლდა კანს – მაღალმხატვრული ხარისხი – ვენეციაში, ტორონტოსა და ბერლინში ანაზღაურდება. კანი კი წელს მაინც დაჩაგრული დარჩა. თუმცა, საინტერესოა, მაინც რა იყო ჩაგრულობის მიზეზი – პოლიტიკური თემების სიხშირე თუ ფილმების დაბალი ხარისხი?



სამირა მახმალბაფი - მთავარი პოლიტიკური განცხადების ავტორი



დაჩაგრულები: ლარს ფონ ტრიერი და ნიკოლ კიდმანი



გას ვან სენტი თინეიჯერ მსახიობებთან ერთად

მოგზაურობა

# კატმანდუ - 2055 წელი

რეზო თაბუკაშვილი
(უმცროსი)

მთელი ქალაქი ზეიმობს ახალ 2055 წელს. ერთ თვეში 87 წლის ვხდები. სოლიდური ასაკია, მაგრამ ახლა უკვე 150 წლამდე აღწევს პლანეტის უმეტესი მოსახლეობა. საჰაერო რიქშაში ვზივარ. ჩემს სასტუმრომდე, რომელიც ევერესტის მწვერვალზეა გაშენებული, ბევრი არ არის საფრენი. ჯერ კიდევ მოიძებნება რისკის და ხათაბალების მოყვარული ხალხი, ვინც იქამდე ფეხით ამოდის. ადრე მათ ალპინისტებს ეძახდნენ.

კატმანდუ ისეთივეა, როგორც ორი წლის წინათ: სიმშვიდე, მდიდრული პაგოდა სასტუმროები, საჰაერო ტრასებზე მოდებული მფრინავი რიქშები, ხელოვნური ზღვა, მთებზე დაკიდებული ჩინური, იტალიური, ფრანგული, ნეპალური და ქართული რესტორნები. სუნ კოსიც ცოცხალია. შინდისფერ ფარდაგგადაფარებული ხორთუმის ქნევით ამაყად დააბიჯებს კატმანდუს ქუჩებში. თუ არ ვცდები, მხოლოდ ხუთნილა დარჩნენ მისი თანამოძმენი. ალბათ, მალე ისინიც დაიხოცებიან და აღარ იქნებიან დედამიწაზე დიდი კეთილი სპილოები.

კატმანდუს ქუჩებში აღარავინ დაგდევს და არ გაწუხებს: Hash... rik-sha mister?.. opium... very cheep... აღარავინ გატენის ტიბეტურ ნელსაცხებელს, shoo shaing-ის ძახილით აღარ გეტორლიალება პატარა მურთხი ფეხსაცმლის მწმენდავი ბიჭი. ეს ყველაფერი ადრე იყო, ჩემს ახალგაზრდობაში, როცა პირველად დავიწყეთ ნეპალში სიარული.

მაშინ აქ ყველაფერი ძალიან იაფი იყო. მხოლოდ ველო და მოტორიქშები არსებობდა. შეიძლება საბილიარდოს კუთხის კიბეებთან ჩამომსხდარ მოხუცებს შორის ახლაც არიან ჩვენი ძველი მეგობრები – რიქშა კესი და ქუჩის ბიჭი რაჯუ. მაშინ ისინი კინოს გადაღებაში გვეხმარებოდნენ. დილაუთენია მოადგებოდნენ ჩვენი სასტუმროს ფანჯრებს და ქვემოდან გვეძახდნენ: Georgians, ადექით, კინო გადავიღოთო. კესი აპარატურის გადაზიდვაში გვეხმარებოდა თავისი დაწნულეტლიანი ველორიქშით. ხანდახან უფასოდაც დაგვატარებდა კატმანდუს დაგრეხილ, ვიწრო ქუჩებში "ნატურის" მოსაძებნად. რაჯუს ფილმში ვიღებდით, ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებდა. ხშირად, უკან დასაბრუნებელი ფულის გამოლევისას, ჩვენს ნივთებს სარფიანად გვისაღებდა ქუჩის ბარიგებში. ახლა ისინი ახალგაზრდა, ბევრად უფრო ჯანმრთელმა და ძლიერმა თაობამ შეცვალა.

აღარ არის რთული ჩინეთ-ნეპალის საზღვარზე გადასვლაც. მაშინ, ტიბეტში რომ მივდიოდით ბუდისტური მონასტრის გადასაღებად, დიდი სირთულეები შეგვექმნა გიო მგელაძის კამერასთან დაკავშირებით. ჩინეთის კომუნისტური რეჟიმი თავდაუზოგავად ებრძოდა ტიბეტს, და ნახევარი საუკუნე ანექსირებული ჰქონდა მისი ტერიტორია. ჩინელები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ გარეთ არ გაჟონილიყო ის ტირანია და ზეგავლენა, რასაც ტიბეტელები განიცდიდნენ. გიო მგელაძემ უნიკალური მასალის გადაღება შეძლო. გიო და გიორგი ბერიძე დათო ტურაშვილის ან ჩემს ზურგს ამოფარებულები, სპეცსამსახურების თვალისგან დასამალად ჩუმად იღებდნენ ბუდისტური მონასტრების ცხოვრებას, რაც, რა თქმა უნდა, აკრძალული იყო. ვილაც ამერიკელს ფაქტზე წაუსწრეს და თავზე გადაამტვრიეს ძვირფასი კამერა.

ველარ შევხვდი კატმანდუში წინა საუკუნის (XX) 70-იანი წლების ტიპიურ პაბებს, სადაც მარლეის, ჯოპლინის, ჰენდრიქსის მუსიკა უკრავდა. ერთ-ერთ ასეთ ბარში დავდიოდით ხოლმე ხშირად. იატაკზე დაყრილ მუთაქებში ჩამსხდრები ნეპალის ჩამოსხმულ Sun-Migel-ს ვსვამდით, ჰაშიშს ვაბოლებდით და კუთხეში მჯდარ საკმაოდ კარგ მეტამტამეს ვუსმენდით. ამ ბარში "ზავადილა" ერთი ქერა ინგლისელი გოგო იყო. მის გარშემო ძირითადად მოჰიპო ხალხი იყრიდა თავს და გვიანობამდე მიდიოდა წევა, სიმღერა, სხვადასხვა ქვეყანაში მომხდარი ამბების თხრობა ("სასტავი" ინტერნაციონალური იყო) და ფეხზე გახდილი გოგოების ცეკვა. ჩვენ ხშირად გვიწევდა მათთან კონტაქტი, ოღონდ რაღაც დამოუკიდებლობას ვინარჩუნებდით. ჯეინი (ინგლისელი ქერა) ჯიგარი, მაგრამ ცოტა გიჟი იყო. თავდაპირველად სულ სხვაგან გავიცანი. ერთ სასტუმროს ვათვალიერებდი. გადასვლას ვაპირებდი. იქ შემხვდა სამ ნეპალელ ბავშვთან ერთად, რომლებსაც ნეპალურად ელაპარაკებოდა. ბავშვები თავისუფლად გრძნობდნენ მასთან თავს და ბედნიერები ჩანდნენ. გამოვეცნაურე. აღმოჩნდა, რომ ერთი წელია, აქ ცხოვრობს და ინგლისურს ასწავლის ნეპალელ მათხოვარ ბავშვებს. ეს მშვენიერი, მშვიდი, ლამაზი ბავშვების მომვლელი გოგო იმ საღამოსვე ვნახე ბარში, თმაგაშლილი, ცოტა შექანებული თვალებით, გრძელი მილიდან ჰაშიშის მწეველი,



ევერესტი



კატმანდუ

შიგა და შიგ უმიზეზოდ რომ ხარხარებდა, მერე უცბად მოწყვეტით ჩაფიქრდებოდა. მგონი დიდ სევდას მალავდა.

რამდენიმე ქუჩა ხელუხლებელი დატოვეს კატმანდუში ტურისტების მოსაზიდად. ერთ-ერთ ასეთ ქუჩაზე, მახსოვს, საქორწინო პროცესიას შევხვდი. წითელ კოსტუმებში გამოწყობილი ორკესტრი წინ მიუძღოდა ყვავილებით მორთულ მანქანას, რომელშიც ნეფე-დედოფალი ისხდნენ. დამკვრელები ხმამაღალ შეძახილებს აყოლებდნენ თავიანთ მუსიკას. საზეიმო პროცესიას გავუსწარი და მანქანაში შევიხედე. სიძეს დიდი, რომბის ფორმის სასაცილო ქუდი ეხურა თავზე და კისერზე ფორთოხლისფერი ყვავილების აცმა ეკეთა. ძალიან მოწყენილად გამოიყურებოდა. თვალი თვალში გამიყარა და სევდიანად გამიღიმა, ხვდებოდა, რომ ყეყეჩურად გამოიყურებოდა იმ ქუდში. შეიძლება, თავიც ეცოდებოდა, ასეთ რისკიან ნაბიჯს რომ დგამდა.

აი, ჩემი სასტუმროც გამოჩნდა - Paradise. ევერესტი შეურაცხყოფილი ჩანს. გოლიათი ჩუმი ბოლმით იტანს ბეჭზე შემოსკუპებულ "ჰოტელს". რაღაც უსიამოვნო განცდა გამიჩნდა. "ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა", თითქოს იბღვირებოდა ევერესტი.

- რიქშა, Buglung yete Hotel-ისკენ მოუხვიე – აღარ გავჩერდები აქ.

საჰაერო პოლიციამ ჩაგვიქროლა სირენის ყიჟინით. გარეუბნებში კი დაწუიან, მაგრამ მთების მასივებში ვერ შედიან, აქ აფარებენ თავს საპატიმრო ზონა-პლანეტებიდან გამოქცეული კატორღელები. ეს მათი სამფლობელოა. აქედან გადის ნარკოკონტრაბანდის მთავარი გზა. ახლაც, ეტყობა, პირატი შენიშნეს რადარებზე და მას მისდევენ დასაჭერად. ნატურალური ოპიუმი ძალიან იშვიათი და ძვირად ღირებული გახდა. ამიტომაც ბევრი საკუთარი სიცოცხლის ფასად რისკავს, გაარღვიოს დაცვა და ოპიუმი დედამიწიდან სხვა პლანეტაზე გაიტანოს.

Buglung yete Hotel-ი აპრეხილ მწვანე მთებს შორის ჩაჯდა კალი-განდაკის ნაპირას. აქედან დავიძარით 1995 წელს ჰიმალაების პირველი ექსპედიცია დაულაგირის დასაპყრობად. რამდენიმე სოფლის ზემოთ Tato-pani იყო, რაც თბილ წყლებს ნიშნავს. კალი-განდაკის ნაპირზე, მთის ძირას, პატარა აუზი ამოეჭრათ, რომელიც მიწიდან ამომდინარი ცხელი გოგირდის წყლით ივსებოდა. ძალიან სასიამოვნო იყო აღმართ-დაღმართ მრავალსაათიანი სიარულის შემდეგ შიგ ჩაწოლა, ძვლების ჩალბობა, კალი-განდაკის ხმაურის სმენა და მთის ჩრდილების ყურება. მერე ბევრი ხიფათიანი და საინტერესო თავგადასავალი გადაგვხდა, მაგრამ ყველაფერი იღბლიანად დასრულდა და ქართულმა გუნდმა იქ მყოფთა შორის ყველაზე კარგი მაჩვენებლით დაიპყრო დაულაგირი.

ნეპალის ბუნება ძალიან განსხვავდება ტიბეტისაგან. აქ ყველაფერი ხასხასა, ჭრელი, მხიარული და წყლიანია. ტიბეტი კი უფრო ჩაფიქრებული, მკაცრი და გამოცდილია. უზარმაზარი ტრამალი, რომელზეც ქვიშის ქარბორბალები ბზრიალებენ, ჰორიზონტამდე იწელება და ეს უსაშველო სივრცე ოთხივე მხრიდან გიგანტი მთებით იხერგება. ხალხსაც ამ ქარისგან სახე უფრო ფართო აქვს, დასერილი და მუდამ საქმიანი, ჩაფიქრებული. ლჰასაში, ტიბეტის დედაქალაქში, ჩვენ აღმოვჩნდით პირველები იქ მოხვედრილ ქართველთაგან. Potala Hotel-ში ჩვენს უცხოელ მეგობრებთან სადილის დროს ეს რომ აღვნიშნეთ, მათ გვკითხეს: "ამ სასტუმროშიო?" ეს ალბათ 60 წლის წინათ იყო. ახლა, რადგან სასტუმრო გამოვიცვალე, თავიდან უნდა დავუკავშირდე ჩემს ძველ მეგობარ შერპა ოპიგრუმს და აქ დავუნიშნო შეხვედრა. ვღელავ...

აქედან კარგად ჩანს მაჩა-პუჩარე. ეს ის წმინდა მთაა, რომელიც დღესაც შეუბღალავია ადამიანისგან, არავის აქვს მის მწვერვალზე ასვლის უფლება. ერთხელ ინგლისელებმა ექსპედიცია მოაწყვეს მაჩა-პუჩარაზე. მწვერვალამდე 500 მეტრი რჩებოდათ. არ ავიდნენ, პატივი სცეს მთას და უკან დაბრუნდნენ.

ადრე მარტო მის საბაზოში ვარ ნამყოფი. იქიდან კი ანაპურნას საბაზომდე ავაღწიე. ანაპურნა – მთა, რომელიც პირველი გაიხედნა 8-ათასიანებიდან და რომელმაც ბევრის სიცოცხლე შეიწირა. აქ დაიღუპა ტოლია ბუკრეევი, XX საუკუნის ერთ-ერთი დიდი მთამსვლელი. იგი გია თორთლაძის მეგობარი იყო და მაშინ ჩვენთან ერთად წამოვიდა დაულაგირზე. დაულაგირი 17 საათში დაიპყრო, რეკორდი დაამყარა. კატმანდუში დამშვიდობებისას მითხრა: "უკვე მეშინია, ძალიან მიმართლებს". ორ წელიწადში ზვავმა დამარხა ის და მისი მეგობარი ანაპურნაზე ასვლისას.

ჩინური რესტორანი კალი-განდაკის ტალღებზე რამდენიმე მეტრით მაღლა ქანაობს ჰაერში. აქ მშვენივრად ამზადებენ Mix Chowling-ს. ამ ლაზერის დანებმა გამაწვალეს. თითქოს მე არ ვჭირდებიო, თავის გემოზე ჭრის საჭმელს. არადა, ნეპალში კარგი დანები ჰქონდათ – ნეპალური და ტიბეტური. ნეპალური იყო კუკრი, ნამგალივით წაღუნული, ძლიერი ლითონის, რომელიც ფოლადს თლიდა. მოსახმარი იყო როგორც ყანაში შრომისას, ასევე ხელჩართული ბრძოლისას. ჩემმა ძმამ ბომბომ ნახა, როგორ იხმარა ის კუკრი ნეპალელმა ბიჭმა, რომელმაც სამ ჰაშიშით მოვაჭრესთან ჩხუბისას ერთ-ერთი მოკლა. ტიბეტური დანები უფრო სამგზავრო იყო. გრძელი, წვრილი პირი, სპილოს ძვლის ტარი და ორი საჭმელი ჩხირი ვერცხლის ქარქაშში გაკეთებულ საბუდარში. ისე, დანის ხმარება და სისხლისღვრა აქ იშვიათად ხდებოდა. ძალიან კეთილმოსურნე ხალხი იყო. არ ჰქონდათ ვერაგობის, დიდი ავანტურის, "კუშის მოხსნის" ნიჭი და მოთხოვნილება. ჭიანჭველებივით კეთილსინდისიერად შრომობდნენ, თან სულ გაღიმებულები გვესალმებოდნენ, Namaste, შუბლთან ორივე ხელის მიტანით.

ახლა, რა გასაკვირია, ყველაფერი სხვანაირად არის. აქ ისევ კარგია და ახალგაზრდები ისევ მოდიან ნეპალში. ხვალ გავდივართ, რაღაც ბიჭურად მიკანკალებს მუხლები, როგორც ადრე, ჩხუბის წინ.

ბავშვობაში ბერმუდის სამკუთხედში მინდოდა წასვლა, მაგრამ ახლა იქ საინტერესო აღარ არის. მე და შერპა ოპიგრუმი უხილავი ქალაქის, შამბალას საძებნელად მივდივართ.

# ენაც ათასგვარი არსებობს



ყურში გაყრილი სამი და ხუთი საყურით ველარავის გააკვირვებთ. ენისა და ჭიპის სამკაულებით მორთვაც გაგვიგონია. სვირინგი ხომ ყოველ მესამეს ამშვენებს. მაგრამ ორად გაჭრილი ენით თავის მოწონება ნამდვილად ახალი ამბავია.

ჯერჯერობით მსოფლიოს მასშტაბით ორკაპა ენის მფლობელები თითქოს ცოტანი არიან, მაგრამ ეს პრაქტიკა სულ უფრო პოპულარული ხდება. ამის გამო ხელისუფალნი შეჩქვიფდნენ და ზოგან – მაგალითად, ილინოისის შტატში, ამგვარ "გალამაზებას" კანონით კრძალავენ. მეტსაც მოგახსენებთ – ჩრდილოეთ კაროლინაში განლაგებული სამხედრო-საჰაერო ბაზის ერთ მფრინავს კოხტად გაჭრილი ენის კვლავ გაკერვა მოუწია, რადგან სხვაგვარად შეიძლება სამუშაო დაეკარგა. პრინციპში, საკუთარ ენას ვისაც რას უნდა, იმას უზამს. მაგრამ საინტერესოა – ენის გაჭრა რატომ უნდა მოგინდეს?

ზოგი ოპერაციას გარშემომყოფთა გულის გასახეთქად იკეთებს; ზოგი ამას "სულიერ გამოცდილებას" უწოდებს; ზოგს ორკაპი ენა ლამაზად მიაჩნია. მართალია, ოპერაციის შემდეგ ასეთი ენის პატრონები ცოტას ჩლიფინებენ ხოლმე, მაგრამ, სამაგიეროდ, ენის ორივე ნახევრის ხმარება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შეიძლება, და ეს კოცნის დროს შესანიშნავი ყოფილა – რასაკვირველია, თუ კოცნის მსურველი გამოჩნდა. თუკი გავითვალისწინებთ, რომ გაორებული ენის მფლობელთა რიცხვი უკვე ორ ათას ადამიანს აღწევს, ჩანს, მასაც რაღაც კარგი განცდები ახლავს.

სილამაზე მაინც სუბიექტური ცნებაა – ზოგი მკერდში ათასგვარ ნაგავს ილაგებს, ზოგი ბოდიბილდინგით იკლავს თავს, ზოგსაც გველის ენა მოსწონს – რას იზამ, კაცია და გუნება...

# ექსპერტები ისევ ვან გოგს უტევენ



პარადოქსია, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ერთი ექსპერტის სენსაციურმა დასკვნამ, რომ ოსლოს ნაციონალურ გალერეაში დაცული ვან გოგის ავტოპორტრეტი ყალბია, მისი ხილვის მსურველთა რიცხვი სამჯერ გაზარდა. არადა, ეს ერთადერთი ავტოპორტრეტია, რომელიც ვან გოგმა ყურის მოჭრის შემდეგ შექმნა.

პორტრეტი უმალვე მუზეუმის ყველაზე პოპულარულ ექსპონატად იქცა. ხელოვნების ისტორიის სპეციალისტი, იოჰანეს როედი ნამუშევარს რამდენიმე წლის განმავლობაში სწავლობდა, სანამ დაბეჯითებით არ შეძლო იმის თქმა, რომ პორტრეტი დიდ ჰოლანდიელ მხატვარს არ დაუხატავს.

ვან გოგის ნამუშევარი პირველად როდი აღმოჩნდა ეჭვქვეშ. ასე, ცნობილი "მზესუმზირებიც" ყალბად გამოცხადდა, და მხოლოდ შარშან დაადგინეს, რომ 25 მილიონ გირვანქა სტერლინგად შეფასებული ნატურმორტი ნამდვილად ვან გოგის მიერ იყო შექმნილი.

"მზესუმზირების" გარშემო მითქმა-მოთქმა 1987 წელს, იმის შემდეგ ატყდა, რაც იაპონურმა კომპანია "იასუდამ" ის აუქციონზე ზემოთაღნიშნულ ფასად შეიძინა. ლამის მეორე დღესვე გამოაცხადეს, რომ "მზესუმზირების" ავტორი ვინმე ემილ შაფენეკერია. საქმეში სასწრაფოდ ხელოვნებათმცოდნეები ჩაერთნენ, და შარშან, როგორც იქნა, ვან გოგის მუზეუმის ორმა ექსპერტმა დაასკვნა, რომ "მზესუმზირები" ნამდვილად ვან გოგომა დახატა.

# მოდა დაავადებულთათვის

ამის შემდეგ ნამდვილად ველარავინ იტყვის, რომ მოდის სამყარო უგულოა! ტელეარხი Fashion TV აცხადებს, რომ მისი პროგრამები უფასოდ იქნება ტრანსლირებული იმ ქვეყნების მთავარ არხებზე, რომლებსაც ატიპური პნევმონიის ეპიდემია შეეხო. ამ გზით მოდების მთავარი არხი ჰონ-კონგის, სამხრეთ კორეის და სინგაპურის მცხოვრებთა შორის "პოზიტიური განწყობის შენარჩუნებას შეეცდება". თან ჰონ-კონგი აღმოსავლური მოდის დედაქალაქია, რა იცი, რაში გამოდგეს...

Fashion TV-ს პრეზიდენტის, მიშელ ადამის თქმით, მრავალი ადამიანი ვირუსისგან თავის გადასარჩენად ნებაყოფლობით კარანტინში იმყოფება და სახლიდან არ გადის. ჰოდა, Fashion TV-ც "მათი სტრესისა და განცდების შემსუბუქებას ეცდება და ტელემაყურებელს მანამდე გაართობს, სანამ ვირუსი კონტროლს არ დაექვემდებარება". ხოლო ვირუსის დამარცხების აღსანიშნავად Fashion TV სულ მალე მთელ აზიაში დიდ წვეულებებს გამართავს.

## კროსვორდი




# სწავლა ლონდონში

ხელმისაწვდომ ფასად

MBA / MSc

მარკეტინგი / ფინანსები / IT
ელექტრონული კომერცია / HRM
პროექტის მენეჯმენტი

საინფორმაციო ტექნოლოგიები
კომპიუტერული სისტემის ინჟინერია
ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი $5950 საბაკალავრო 16.

... 2-წლიანი ... კურსის + BA (Hons) მთლიანი ღირებულება 10 950$ (£ 6950 ...).
3-წლიანი კურსის ... B. Eng (Hons) მთლიანი ღირებულება £ 10 950

... 1600$-ის (£ 1000) ...

... 12 Bul Bul Ave., Student Travel International (STI),
Tel/Fax: +994 12-989906, 98 99 08, +994 50 - 201 01 69
E-mail: stmgeorgia@hotmail.com; nm@sti.az
... ტელ.: 34 61 62, 8-93 35 20 67



საოჯახო ლოტო

შეიძინეთ! გაერთეთ! მოიგეთ!

დაწვრილებითი ინფორმაცია და კოეფიციენტების ცხრილი იხილეთ გაზეთ "24 საათში"



# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.


**ტექნიკური მიზეზების გამო გაზეთის N142 (354)-ში „საოჯახო ტოტო-ს N9 გათამაშების ცხრილი დაიბეჭდა არასრულად, რისთვისაც ბოდიშს გიხდით. ვაქვეყნებთ გამოტოვებულ ბილეთებს და მოგებულ თანხებს.**

# "საოჯახო ტოტო"-ს 24 მაისის №9 გათამაშების ცხრილის დამატება

| ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 000010 | 1,0 | 000130 | 1,5 | 000204 | 1,0 | 000261 | 1,5 | 000273 | 1,5 | 000301 | 2,5 | 000349 | 15,0 | 000378 | 2,5 |
| 000033 | 9,0 | 000138 | 2,5 | 000209 | 3,5 | 000266 | 2,5 | 000275 | 1,5 | 000308 | 1,0 | 000374 | 3,0 | 000382 | 4,0 |
| 000100 | 1,5 | 000199 | 3,0 | 000259 | 1,5 | 000267 | 2,5 | 000276 | 11,0 | 000340 | 2,5 | 000377 | 1,0 | 000402 | 9,0 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 000404 | 1,5 | 000553 | 35,0 | 000585 | 1,0 | 000639 | 2,0 | 000756 | 1,0 | 000781 | 1,0 | 000811 | 3,0 | 000877 | 2,0 |
| 000431 | 1,0 | 000567 | 7,0 | 000611 | 1,0 | 000715 | 2,5 | 000773 | 2,5 | 000785 | 1,0 | 000868 | 7,0 | | |
| 000485 | 1,0 | 000581 | 9,0 | 000614 | 1,5 | 000747 | 40,0 | 000777 | 1,5 | 000787 | 1,0 | 000873 | 1,5 | | |